პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ფასი ორი შაური

# ტარტაროზი

№ 41

ოთხშაბათი, 24 მარტი 1926 წელი.




„ტარტაროზი" „მუშა-"ს

„პირველ ყოვლისა მიიღე
ჩემი გულწრფელი სალამი"...
მტერს გულში ლახვრად ესობა
შენი მახვილი კალამი.

დღეს გამარჯვებას გილოცავს
ჩვენს ქვეყნის ყველა მშრომელი.
ვისურვებ შენც მოგელოცოს
ჩემთვის ათასი ნომერი

# საბრძოლო იარაღები

ისტორიულ გამოკვლევისებური

## მუშტი

გამოგონებები, ტეხნიკის და მეცნიერების წინსვლა ეს ახალი ამბავი როდია! ძველის-ძველ დროიდან დაწყებული ადამიანი ყოველთვის ცდილობდა ყოველგვარ იარაღის, (და მით უფრო ბრძოლის), გაუმჯობესებას.

ვერავინ ვერ შეგვედავება იმაში, რომ: მუშტი არის თავდაპირველი ბრძოლის იარაღი, რომელიც გამოგონებულია ველურ ადამიანის მიერ.

მართალია, ჩვენ არ უარვყოფთ, რომ: მუშტი ეხლაც ძალიან ხმარებაშია (და კიდევ უფრო მეტად ვიდრე ძველ დროში), მაგრამ მისთვის არსებობს საგანგებო საცდელი დაწესებულებები.

ჩვენში, როგორც ჩამორჩენილ ქვეყანაში, სადაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობს, ამ პატივცემულ იარაღისათვის (მუშტისათვის) არა თუ საგანგებო დაწესებულებები არსებობენ, არამედ თვით ქუჩებშიაც კი აკრძალულია.



ასე როდის არის სხვაგან.

„განათლებულ“ ევროპის ყველა სახელმწიფოებში არის სამუშტო დაწესებულებები, რომლებსაც უწოდებენ **პარლამენტს.** რა დიდებული სანახაობაა, როცა დეპუტატები ერთმანეთს მუშტით დაერევიან! (და ასეთი ამბები კი იქ ხშირია) ჩვენ მოკლებულნი ვართ იმათ ყურებას და მხოლოდ რადიო-დეპეშები გადმოგვცემენ ამ ამბებს.

ჰო-და, მიუხედავათ ასეთი სიძველისა, მუშტი დღესაც ხმარებაშია და იქნება მანამდი, სანამ პარლამენტები იარსებებენ, ხოლო პარლამენტები იარსებებენ მანამდი სანამ ბურჟუაზია იქნება. ეს ლოღიკური დასკვნაა) *.

### მათრახი

შემდეგი განვითარების ნაყოფია **მათრახი, რომე**ლიც, როგორც მუშტი, ეხლაც **ხ**მარებაშია.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ მათრახი **ინტერპარტიული და ინტერკლასიურია.**



მართალია: ბურჟუაზია ყველაზე უფრო ხმარობს მას, მაგრამ ძალიან ხშირად მდგომარეობა პირიქით იცვლება, რასაც ისტორიაში ჰქვია: **კეხის შებრუნება.** ჰო-და მაშინ მათრახი სიმართლეს და ჭეშმარიტებას უდგას გვერდში, როგორც მცველი. დ

### ხანჯალი



ჩვენის აზრით ხანჯალი გამოგონებულია ბატონყმობის დროს. და რომ ეს ასე იქნება უეჭველად, ამას დავამტკიცებთ დღევანდელ ფაქტებით:

დღესაც ჩვენში „ბრწყინვალე წოდება“ ე. წ. თავადაზნაურობა ვერ იშორებს ხანჯალს და ჩამოკიდებული აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მშიერ მუცელს ძალიან უჭირს მისი ზიდვა.

*) წერილი იწერება ზოგიერთ მეთაურის-ყაი

## ყუმბარა და თოფი

მე მგონია ეს ორი გამოგონება საფრანგეთს ეკუთვნის, თუმცაღა მას ხელს უწყობდენ და ეხმარებოდენ სხვებიც.





თუ არა ეს იარაღები, დღეს როგორც საფრანგეთი, ისე ინგლისი და კიდევ სხვები იქნებოდენ ისეთივე უმნიშვნელო, როგორც „მცირე ანტანტის“ წევრები.

### კალამი

ჩვენ დავასახელეთ ზოგიერთი იარაღები, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვისთ.

მაგრამ დაგვრჩა ერთი იარაღი, რომელიც არის (და უნდა ჩაითვალოს) ყველაზე უფრო მჭრელ, მწარე და მძლავრ იარაღად.



ეს არის **კალამი.**

მართალია მისი ბოროტად მოხმარაც შეიძლება (როგორც ეს სხვა ქვეყნებში არის), მაგრამ ჩვენში, რადგან იგი მუშკორის ხელშია, ყოველთვის იქნება ჭეშმარიტების **დამ**ცველი.

**ჰი-რი**

# სალამი

სალამი ჩიტუნებო
სიმნო სიყვარულისა,
კეკლუცო ყვავილებო
მუშურ გაზფხულისა.
თქენ ხართ ჩვენი იმედი,
სასოება ხართ ჩვენი,
ოი, მუდამ იკურთხოს
მართლაც თქვენი გამჩენი.
მღვდლები აღარ გლოცავენ,
წყევლას კი არ გიშლიან—
რადგან თქვენი „ლოცვანი“
მათთვის გადაგიშლიათ.

დიაკონი ბუტბუტებს:
—წარღვნა არის მა რაო?
უწინდურათ საკურთხებს
ვერ ვსჭამ წარა-მარაო.
ვაჭარს ღრანჭი შეკვრია—
რადგან მელა ჩარჩია
და როყიო გინებას
მან სიჩუმე არჩია.
აზნაური შაურით
ვერ ქეიფობს დაურით,
მამულები წაართვეს
დიდი აურ-ზაურით.
შენმა რისხვამ სხვაც ბევრსა
გაკრა და აწყენინა,
დღე და ღამე გისხსენებს
ლაწვდაცლილი კნეინა.
ან და მუშა-გლეხისთვის
შენ რა ბიჭი იქნები—
დღეს, რომ ქებას გასხამდენ
ძიილი მენშევიკები!
არც თუ მოსაწონია
მათთვის შენი კვანტები
ხატზე გცემენ ეროვნულ
ჩვეული დემოკრატები.
და ყველა მათ მიყვება
ვინც ცხოვრებამ გაქუცა:
—გობეჩია ტანადი
და თავადი ქაქუცა.
ერთი სიტყვით, არ გწყალობს
თქვენ ეს წმინდა კრებული
და დღეს ჭყივლა იმათი
არის პარიტეტული.
ბევრს „სოვბიუროკრატსაც“
„სოვდურაკათ“ წოდებულს—
სიტყვას კვიმატიანსა
შენ ... ... სავით მოდებ გულს.
გამთოლანძღული, მექრთამე,
საბოტაჟის მწეველი,
მუშურ-გლეხურ უფლების
ურცხვად დამარღვეველი,
მუქთახორა ბზიკები
ფუტკრად შემოპარული,
... იბი ცხადათ შკბინავი,
შელიები-ფარული,
მრავალგვარი ორფეხი,
ჯიში მატყუარათა,
დღეს თქვენზე ბრძანდებიან
მუშკორებო მწყრალათა.
მაგრამ ძაღლმა იყეფოს,
მგელმაც მისცეს ზანია,
გაჩერდება სიმართლის
ძითი ქარავანია?
არ მომიკვდეს დღეს თავი
ამ მღვდლების და ბერების,
და არც მადლი გამიწყრეს
მათი ნაკრეჭ წვერების,
რისხვა მე არ მომეცეს
ძველებური თავადის
სიმწარე, რომ იწვნია
იმ თავით ამ თავამდი,
არც დამეხშოს მე დახლი
„კეთილშობილ“ ჩარჩების—
მოედანი აწ ამგვარ
ორფეხთ აღარ დარჩების.
მათი წირვა გათავდა,
და დაუდგათ ზამთარი,
ასაგებათ წესისა
მუშკორებიც მზათ არის.
და ჩვენც სწორედ ამიტომ
დღეს თქვენ მოგესალმებით!

## მეგობრული შარჟი



## მუშკორი

—იბრძოლეთ და იყავით
თქვენი ბასრი კალმებით!
სალამი ჩიტუნებო,
სიმნო სიყვარულისა,
კეკლუცო ყვავილებო
წითელ გაზაფხულისა,

მუშა-გლეხი თქვენ გიცქერსთ,
ბუნება გეღიმებათ
და რას გიზავთ თქვენ მტრების
დღეს უკბილო გინება!

უჩარდია.

# ტარტაროზის ფანარი



ბნელი გულის ბნელ განზრახვას ხელს უწყობდა ბნელი ღამე.
არ ფიქრობდენ:—ამ დროს იმათს შეუშლიდა ხელს თუ რამე...
მაგრამ, თურმე ტარტაროზსა, არცა ღამით არა სძინავს
და ფანარი ვით შუქურა ანათებს და ასე ბრწყინავს.

# ან რა მეთქმოდა?

ტარტაროზის დავალებაზე ან როგორ ვიტყოდი უარს; მან კი დამავალა:

— აბა, წაიღე რამდენიმე სანიმუშო წერილი და შეაფასე ჩვენი მუშკორების ავლა-დიდება!

შეაფასე!

მერე—მე რა?

ძველი სააზნაურო ბანკის „აცენჩიკი“ ვიყო, იცოცხლეთ შეფასებაზე უარს არ ვიტყოდი,—ჯალდოსაც რიგიანს მივიღებდი; საბინაო მაკლერი ვიყო—მოგებაზე გულდაწყვეტილი არც მაშინ დავრჩებოდი; სპეცი ვიყო—„ნავრუზოჩნის“ მაინც გავკრავდი; მილიციონერი ვიყო—მე მაინც გამკრავდენ; კოოპერატორი ვიყო—გაფლანგვასაც არ დავერიდებოდი; მაგრამ აბა რა სახეიროა უფასო წერილების გადასინჯვა და თავის ტეხა, არა თბილისის ხულიგნებისაგან, არამედ გაურკვეველი წერილების გასარკვევად.

მაგრამ რას იზამთ:—ტარტაროზი დავალებებს უფრო ხალისიანად ელევა, ვიდრე გონორარს, და თუ უარი უთხარი მაშინ არც „ნავრუზოჩნის“ დაგაკლებს და

# მუშკორის თვალი



ამ თვალებს არა აქვსთ ხედვითი ზღუდე.
მან იცის, სადც არის ავსულთა ბუდე.

მისწვდება სუყველგან, სადც უნდა იქა.
(ვინ დასთვლის თუ რამდენს გაძვრება სიქა).

თვით გამოგჭიმავს ჩანგლის წვერზე. უარს ვერ ვეტყოდი და არც მითქვამს.

დავიწყე:

წერილს აწერია მუშკორი „კალმახი!“

იცოცხლეთ თევზებშიც კალმახებს კაი გემო ქონდეს, მაგრამ მუშკორებში ჯერ არ მიცდია.

დავიწყე კითხვა ის სწერს:

## „ჩემი თავგადასავალი“

„დავიბადე ს. ზ-ში“...

წავიკითხე და იქვე შევჩერდი:

— რა საჭირო იყო ამის თქმა?

განა ქვეყანამ არ იცის, რომ დედის მუცლიდან წერილი ჯერ არავის მოუწერია, ისე, როგორც საიქიოდან ტელეფონით არავინ ლაპარაკობს? მაშასადამე თუ მუშკორი თვით არ დაბადებულიყო, წერილს ვიღა დაბადებდა?

ჩემი აზრიც ყოვლად ძლიერ ტარტაროზს გულახდილად მოვახსენე, მან კი დაცინვით ჩაიცინა და მითხრა:

— მორიელ, შენი შხამით სხვებს გაუმასპინძლდი, ჩემს „კორებს“ კი თავი ანებე!

— დიდო ტარტაროზ, ნება მიბოძეთ, ქვევით დავყვე!.

—ეგრე იყოს!—დამიდასტურა ტარტაროზმა.

„ნიჭი თავიდანვე მეტყობოდა, დილით საძოვარზე სამ სულ საქონელს, რომ გამატანდენ, საღამოზე—ოთხს დავკარგავდი (მეოთხე მე ვიყავი)“.

ამ სტრიქონების წაკითხვაზე ცოტა არ იყოს გულიც მომივიდა და ტარტაროზს მივმართე:

— აუკრძალეთ მუშკორ „კალმახს“ ქარაგმებით წერა, პირდაპირ სთქვას, რის თქმაც უნდა, თორემ დღეს ხომ პიონერმაც იცის, რომ საქონელი მუშკორებს კი არა, კოოპერატორებს ეკარგებათ?

— დამშვიდდი და განაგრძე!—დარბაისლათ მიბრძანა ტარტაროზმა და მეც განვაგრძე:

„საქონლის დაკარგვამ მამაჩემს წონასწორობა დაუკარგა და კარგათაც მიმბეგვა. მე კი გაჩუმებული ვიყავი, როგორც ზოგიერთ საბჭოს ზოგიერთი წევრები“.

აქ უკვე მოთმინების ფიალა ამევსო, აღარ ვიცოდი რა მექნა, ტარტაროზის მაღალხარისხოვნებასაც აღარ დავერიდებივარ და

დავიღრიალე:

— რას მიქარავს ეს ოხერ-ტიალი ვიღაცაა, რაღა სულ გადაკვრით ლაპარაკობს, რატომ არ იტყვის, რომ რაკი საქონელს კოოპერატივები კარგავენ, განა ვინ იქნება გაჩუმებული თუ არ სარევიზიო კომისიათა წევრები? საბჭოს ცოლს რაღას სწამებს?

# სტატისტიკა

## ტარტაროზის მიერ გაგზავნილი „საქონელი", ჯოჯოხეთში



— გულწრფელ კაცს ტრესტის დირექტორათ საიქიოსაც არ ნიშნავენ, შენც ძალიან ნუ ღელავ და დაათავე ბარემ! მითხრა ტარტაროზმა.

ყოველ აღშფოთებას მოსდებს ლაგამს ტარტაროზის ავტორიტეტი და მეც რა მექნა,—განვაგრძე:

„ბოლოს ჩემ ცემასაც მოელო ბოლო. მეც წამოვიზარდე. ერთ უბედურ დღეს კაბინეტში წამომასკუპეს, დავქანაობ აქეთ-იქით „ქართველ პატრიოტივით", დავდივარ გაჭიმული უსაქმო კაცის პორტფელივით, ხოლო რაც შეეხება მუშაობას, ჩემსავით ვერც ქალაქის საათი მუშაობს".

აქ ცოტა დავმშვიდდი. მივხვდი, რომ მუშკორმა დაიწყო „შესანდობარით" და „სადღეგრძელოთი" გაათავა: მესიამოვნა, რომ სუსტ თავს ასეთი ღონიერი ბოლო მოჰყვა.

ჩემი სიხარული ტარტაროზსაც გავუზიარე.

მან დარწმუნებით მითხრა:

— ბავში, რომ იბადება, ჯერ სიარულიც არ იცის და აბა ლაპარაკს როგორ მოსთხოვო. სულ 5 წლის ყმაწვილია ჩვენი მუშკორი, მას უკვე ფესვიც მომაგრებული აქვს და ენაც მოსწრებული, მაგრამ, განა შენ შეგშვენის 5 წლის ყმაწვილს ყველაფერი ერთად მოსთხოვო?

შემრცხვა ტარტაროზის მხილების და თავი დავღუნე, ხოლო ჩემთვის კი წავილუღლუღე:

კაი 5 წლის ყმაწვილი ყოფილა, დასტურ, თუ უწინდელ 50 წლის კაცზედაც უფრო საღათ მსჯელობს და საღათ აზროვნებს მეთქი.

მეტი აღარაფერი მითქვამს. ან რა მეთქმოდა?

**მთრიელი.**

მწვადი



# ერთად-ერთი საშუალება

„...და, მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ გამოუცხადეს საყვედური და მისცეს გაფრთხილება. ადგილკომი მაინც არ იღ ვიძებს“.

მუშკორის წერილიდან




სხვა აღარ დარჩა აქ საშვალება...
(ძილით იხრჩობა აგი საწყალი).
გვიშველეთ ჩქარა ზარბაზანი და
დიდ ვედროებით ცივ-ცივი წყალი.

ჯერ გაისროლეთ ეს ზარბაზანი
და გადაავლეთ შემდეგ კი წყალი
და თუ მას კიდევ არ გაეღვიძოს,—
მკვდარი ყოფილა მაშინ საწყალი.

---

# მსხვერპლი

**თბილისში კეთრის შიშის ნიადაგზე შექმნილ პანიკაში გაზეთებსაც საკმაო ღვაწლი მიუძღვისთ.**

როცა ჩვენმა სილიბისტრომ
საშინელ ხმებს მოკრა ყური,—
სთქვა:—„ქორია“ საზიზღარი,
ცრუ ლაყბობა, ცრუ ხმაური.
კეთრი თბილისს როგორ მოვა?..
რას ტუტუცობთ, თქვენ, ბებია!..
უპასუხეს—ისე მოვა,
როგორც დაგიბარებია!..
გაიცინა სილიბისტრომ
(შეგნებული იყო ბიჭი)
—როგორ ვენდო, დავუჯერო
ამ ბებრების „ქორს“ და ღრიჭინს...
და წავიდა სამსახურში
შემოუჯდა იქ მაგიდას...
გაგონილზე ერთი სიტყვაც
არ დაძრულა მის ბაგიდან.
განვლო ორ დღემ. ერთხელ გაზეთს
კითხულობდა იგი როცა,
ქრონიკაში ერთ ამბავმა
იგი ერთობ გააოცა.
შეხეთ, შეხეთ, სთქვა მან წყენით,
სად შემძვრალა ენა უძვლო.
მიკვირს როგორ, როგორ ბეჭდავს
გაზეთი ხმებს უსაფუძვლოს.
ამას როგორ დავიჯერებ
შეგნებული თუ ვარ ბიჭი..
კვლავ იცინის სილიბისტრო,
თუმცა გულში უზის იჭვი.
მეორე დღეს კიდევ ცნობა.
კიდევ... კიდევ... სულ სხვაგვარი
**დღეს ეს რჩევა, გამოკვლევა,**
**და ნათქვამზე ხვალ უარი.**
და კითხულობს სილიბისტროც,
დაეკარგა კაცის ფერი:
ამ საშინელ სენის გარდა
აღარ ახსოვს არაფერი.
დღე თუ ღამე, შინ თუ კარში
ელანდება ყველგან კეთრი,
და ხმაც მისი მიწყდა მკვეთრი.
სხდომებს აღარ ეკარება,
კაბინეტში არვის უშვებს,
(უფლებით ხომ არის გამგის)
თვითონ მოდის დილას ადრე
და თვითონვე აწყობს და გვის.
ერიდება კინოს, თეატრს,
ეშინია სმის და ჭამის,
აბანოს კი ხსენებაზე
შეუწუხდეს გული ლამის.
აღარავის ეკარება
და ქუჩებში დადის მარტო...
ამბობს, კაცმა შეგნებულმა
გავიწირო თავი რატომ?..
ასე იყო ერთი კვირა,
შემდეგ თვემაც გაირბინა,
და დაბოლოს სილიბისტრომ
საგიჟეში ნახა ბინა...*)

**სინტო.**

---

*) კიდევ კარგი, თორემ ზოგი მთლად უბინაოა თბილისში.

# რას ნიშნავს ათასი




როცა „მუშა“ გამოვიდა,
ის არ იყო გულმოსული.
მხოლოდ ეს თქვა, ტუჩზე ღიმით:
— ამოძრიება მალე სული.




შემდეგ, როცა ყოველ ერთეულს
გამოება ოთხი წული,.
მან წარბები შეიჭმუხნა,
[illegible] რაღაცას გრძნობდა გული.



შემდეგ, როცა ამ გაზეთმა
მუშის ხელში ნახა ბინა.
თქვა:—შემთხვევა არის მხოლოდ,
ან დაუგდეს განგებ წინა.!



შემდეგ, როცა ტარტაროზმა
გაუმაგრა „მუშას“ გვერდი,
მან მოუსვა, რომ მტრებისგან
არ სწვევლდა ცუდი ბედი.

**ღრმად დამწუხრებულნი ბათომის ქალაქის მილიცია აუწყებს ნათესავებს და ნაცნობ-უცნობებს რომ, ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაიკარგა მათი ნუგეში და იმედი 1926 წლის ხარჯთ-აღრიცხვა**

**რადგან არ იციან სად ასვენია ამიტომ მისი გამოსვენება არ მოხდება, პანაშვიდი უკვე გადახდილია და ამიტომ თავს ნურავინ იწუხებს.**

### სამძიმრის წერილი

რით განუგეშოთ, ძმებო,
ან რაღა გითხრათ ნეტა,
უდროოდ დაგეკარგათ
თქვენი იმედი, „სმეტა“,
ვინ იცის: სად მარხია
მისი ცივი ძვალი!
რა ვუყოთ, თუ თქვენ დაგრჩათ
ყველა მედუქნის ვალი.
თქვენთვის არავინ ზრუნავს,
ან რა გაქვთ დანაკლისი?
გეყოფათ ქეიფობა -
და დროს ტარება სხვისი.
ალმასკომს ნუ აწუხებთ;
ხომ იცით არ აქვს ფული!
ნუ მიხვალთ ხშირად, თორემ
მოუვა ძალზედ გული.
გეტყვიან: „თუ ხარ კაცი
და უსინიდისო არ ხარ,
თუ კი ხარ საიმედო
მილიციაში რად ხარ“!?
აბა, სხვა რას არ გეტყვის,
რას არ იფიქრებს თქვენზე;
როდესაც ალმასკომი
ასეთებს ამბობს ჩვენზე:..

ბჟიკვი



მოლოს, როცა მუშის გვერდზე
მან თავისი ნახა დინგი,
აუტანელ შიშისაგან
ჩაიკეცა მუხლში იგი.



ათასს აღარ დაუცადა,
რას მოუტანს ის კარგ რამეს?..
და ბინაზე თავის ხელით
დაეკიდა წინა ღამეს. სინემატო

## ...ბორი

მინდა შევბერტყო კალამი
ცოტათი შეჟანგულია,
სჯობს მისი მიქნევ-მოქნევა,
გდება რა სავარგულია.

გავლესო, ავაელვარო
ლახვარი მძლედ ნახმარები,—
ისე რომ ველარ დაუდგეს
წინ მას ალმასის ფარები.

მელნად ვიხმარო შხამის ტბა,
კალმად მხილების ისრები,
ქაღალდათ გამომადგება
მსუქანი მუცელ-კისრები.

მსურს წელში მქონდეს მარაგად
მე იგი კალამ-მელანი,
რომ შესაფერად შევღებო
ქვეყნის მგელნი და მელანი.

ჩამოვუარო სულ ყველას,
ვინც ჩვენში ღირსეულია,
და უკუღმართ გზით სიარულს
საგრძნობლად შეჩვეულია...

რა მათ ვიხილავ, ლხინითა
გულს შუქი მოეფინება;
საკბილოს თვალწინ რომ ვნახავ,
შევდგები, გამეცინება.

მე მაშინ მხოლოდ ის მინდა,
ამდენი ვიმეცადინო,
რომ ბევრს ვკრა ჩემი ლახვარი,
სისხლი კი არვის ვადინო.

ზოგს რომ ვგონივარ ის არ ვარ,
ნუ სტეხენ აურზაურებს;
ჩემი კალამი კი არ ჰკლავს,
არამედ აშინაურებს.

რადგან სისხლს არ ვღვრი, ტყავს არ
ვხდი
მაშ ნურვინ დამემდურება,—
თუ ჩამოვბერტყო ზოგიერთს
ზურგიდან უწმინდურება.

მე მას ვაშორებ, რასაცა
ჰქვიან აქ ქვეყნის მტვერია;
რაც ცოდვათ მომაკვდინებლად
ათ მცნებაშიაც სწერია.

ვგონებ შენც ასე გწადია,
სინდისიც ამას მავალებს,
რომ არ მოვაკლო წყალობა
სიმრუდის გზაზედ მავალებს.

თუმცა ჯერ ჩემი ლახვარი
მძლავრად არავის სობია,
მაგრამ ნუ იმედოვნებენ
არ მიყვარს „მეგობრობია".

თუ კი მეგობარ არ ვზოგავ,
მტერი რა საზოგავია;
ყველა მელოდეს უცილოდ
ქვეყნისთვის ვინც პირშავია.

სუყველას ვურჩევ წინასწარ,—
სიმართლის გზითა იარონ.
თუ კი ჰსურთ ჩემი მათრახის
მადლითა არ ეზიარონ.

თუ ვინმეს მაინც და მაინც
ზეჭები აექავება,—
თუ შევეყარე იმდენს ვცემ:
დაეტყოს გაძვალტყავება.

ვერ დააკავებს ჩემს მათრახს
თანამდებობის ფარები;
მოურიდებლად დავესხმი,
იდუმლად მივეპარები...

მხოლოდ-ღა მაშინ გაიგებს,—
რა იგრძნოს ზურგის ტკივილი,
მაგრამ ამაო იქნება
სამდურავი და ჩივილი.

ამისთვის ვურჩევ მეორედ
ვისაც რამ ჩემზედ სმენია,
მოინანიოს ცოდვები,
რაც სადმე ჩაუდენია.

თორემ არ ძვირად მიჯდება
მიქნევ-მოქნევა კალმისა,
ჩით მევენახეს ვენახში
მოფოცხვა გამხმარ წალმისა.

ვფიქრობ რეცეპტის დაწერას
მე დიდხანს არ მოვუნდები;
რა დავამთავრებ,—მაშინვე
მეფოსტეს მივუბრუნდები.

მრწამს, რომ მიუვა „აფთიაქს"
და მზად იქნება „წამალი"...
და შეჰსვას,—სნეულებისა
არ დარჩეს არც ნატამალი.

რა ვუკვირდები ცხოვრებას,—
არც მე ვარ წმინდა ცხოველი,
და რუსთაველის თქმისამებრ
კურნებას სხვისგან მოველი,

მიცქირონ და რა შეატყონ
რომ სამართლის გზას ვშორდები,
(მეც მადლიერი ვიქნები).
მცემონ, თუ გამოვსწორდები,

აწ გთხოვ, დროებით იკმარო,
რაცა აქ მომიწერია;
შემდეგში კიდევ ელოდე
თუ ჰკუა არ ამერია.

ვიცი წინედაც შეგპირდი;
ვერ შევასრულე პირობა,
და მომივიდა, შენც ხედავ,
ამგვარი „დეზერტირობა"

იქნებ შემდეგშიც მომიხდეს,
ვერ მოვიხადო ვალია—
მე ხომ არა ვარ მიზეზი,
გარემოების ბრალია.

არ შევშინდები, მიდამო
ავსებულ იყოს მტერითა,
მელნის წვეთამდე ვიბრძოლებ
გალესილ კალმის წვერითა! ლარიბაი

# წითელ სასადილოში



საქო—(ოფიციანტს)—ამხანაგო! რა არის სადილათ ,,ვტაროი‘‘
ოფიციანტი—ზრაზი, ბაბკი, ბიტკი....
საქო -და პეპო - ვაა! ზარაზიო! ზარაზი, კაცო, აქაც არის? ძმაო
ჯან, ა.ა; წავიდეთ აქედან.

ხალხიც ტაშს მიკრავს, მაფასებს,
კარგი კაცია ესაო;
მათ რა იციან, რომ მათთვის
პიოს უკან დანას ვლესავო!
ჩემი დრო არის ყოველთვის,
არსად აღარ ვგრძნობ ჭირსაო;
თუ ·ი სადმეა საყვლეფი,
აღარ დავტოვებ ჩხირსაო.
ჭირიმე ჩემი კუჭისა
წიხლი არა გკრას ფურმაო;
იბრუნე ჩარხო ცხოვრების
და გადმოყარე ხურმაო!!! ,,პარდონი‘‘

# სოფ. ბურნათი

ჩემი ბრალი არ არის,
ხალხმა ასე ინება,
რადგანაც მათ მობეზრდა,
ლოთები და გინება.
ვარზე არც მე გახლავარ,
რადგანც ვიცი რითმები,
ყველას ასე შევამკობ,
თუ ცოცხალი ვიქნები.
ეს სოფელი ბურნათი
ტარტაროზის ღირსია.
საქმეც ხშირად კეთდება,
გმირთა საკადრისია.
ჩვენი გმირი პროკოპი
მიუხტა სახლში მაროს
უთხრა: ხმა არ გაიღო,
სისხლი არ დაიღვაროს.
მაგრამ ჩვენმა რაინდმა,
დღე ვერ ნახა მზიანი,
და კეტებმა გვერდებში,
მიაყენა ზიანი.

მეორე დღეს რაინდი,
დიდ ბადეში გაება
საქმეს გლახად წასულსა
კომისია ჩაება.
იმ დღეისთვის დამტკიცდა,
განაჩენი ამათი.
დაუჯ.ინეს ის ღამე
ჩვენ გმირს ო/.ი მანეთი გნელოლლი



# წერილი
## ტარტაროზს

ტყიბული თოვლმა დაჰფარა,
ზამთარი მოვგდრს გვიანი.
მეც დრო ვიშოვე:—ლე.ქსებს ვსწერ
ვარ ოკრიბელი რქიანი.

ჟურნალში ლექსი დავბეჭდე,
(ეს შარშან იყო მგონია)
მაშინ ცალი რქა მომტეხეს;
(ეს შენ არც გაგიგონია).

მას შემდეგ ჩემი სტვი. ითა
მე ტკბილათ არ მიმღერია.
ასჯერ მეტს დავსწერ, რამდენიც
აქამდი დამიწერია.

ვისაც არ მოსწონს იგლიჯოს
თავისი თმა და წვერია.
არ დაიყენოს სიმწრისგან
თმების არც ერთი ღერია.

ამით ვათავებ, ტარტაროზ,
და ველი შენგნით შველასა;
შენ თუ დასტურსა კი მომცემ
მე დავიჭირავ მელასა.

,,რქიანი‘‘.

## ,,ტარტაროზი‘‘-საბან.

თუმცაღა სრულიად საქართველოს მონადირეთა კავშირის მიერ აკრძალულია ნადირობა ყოველგვარ ნადირებ-მხეცებზე, თუ თავდასხმას არ მოაწყობენ ქალაქზე, მაგრამ ,,ტარტაროზი‘‘ გაძლევს დასტურს ინადიროთ მხოლოდ იმ პირობით, რომ ნანადირევი სავსებით მას უნდა გამოუგზავნო გასუფთავებული და შესაჭმელად გამზადებული.

# გამოცნობის გამოცანა



ჟურ. „ტარტაროზი“-ს № 40-ში მოთავსებულ გამოცანის შედეგი.

# კუჭის სიმღერა

იბრუნე ჩარხო ცხოვრების,
იბრუნე როგორც გინდაო!
როდის ყოფილა, ნეტავი,
ქვეყანა სული წმინდაო?

იბრუნე ჩარხო ცხოვრების
გინდ უკან და გინდ წაღმაო!
ვიყო წყეული, ამ ქვეყნად
თუ კი მაჯობოს ძალღმაო!

იქ გავკრავ, სადაც არავის
არ შეუძლია გაკვრაო;
ახალი ხომ ჩემთ ხელთ არის,
თუ კი ძველი დრო გაქრაო?

კბილები ალესილი მაქვს
და მაგარი მაქვს კანჭიო;
ნეტავ ვიცოდე გაკვრაში
რითი მჯობია კვაჭიო.

ქირიმე მისი ავტორის,
რომ მომიტანა ცოდნაო;
აქამდის უმად ვღეჭავდი
ეხლა ვისწავლე ცოხნაო.

გაუსვი ჩარხო, გაუსვი!
კუჭზე მკიდია ყველაო:
ზოგჯერ ვეფხვი ვარ გულადი,
ზოგჯერ ქვემძრომი მელაო!

აქ ჭიანჭველას ტყავს ვაძრობ,
იქ გამოვლადრავ მგელსაო;
თუ-კი შემემთხვა ხიფათი,
უკაბ მოვძებნი ხვრელსაო.

ვხვეტავ და ვხვეტავ ქონებას,
ვაგროვებ ოქროს გუნდებსო;
არას დაგიდევ, თუნდაც რომ
ქვეყანა გადაბრუნდესო.

ბათომში ოაზია მაქვს,
სოხუმში პლანტაციაო;
მე აღარ მესმის, კეთილნო,
ეს თქვენი ნატაციაო!

უწინ ვიყავი თავადი,
მიყვარდა ნიკოლოზიო;
დაჩაგრულ ხალხის სარბევად
მარჯვედ მეჭირა როზგიო.

შემდეგ როდესაც ნიკოლა,
ტახტიდან ჩამოგორდაო;
საყოველთაო ცვლილებით,
მეც შევიცვალე მოდაო.

გავეცან ბევრგვარს პარტიებს,
კბილები გავილესეო;
ხან აქ შევედი, ხან იქა,
ყოველგან დავითესეო.

და დამავიწყდა ნიკოლოზ,
ჩემი ძვირფასი მამაო;
ეხლა სხვა პლანზე ვისწავლე,
ხალხის ყვლეფა და ჭამაო.

მენშევიკებსაც არ ვაკლდი
გავხდი იმათი წევრიო;
პატრიოტივით მოუშვი
ჩემი ძვირფაი წვერიო;

არ ვშორდებოდი რამიშვილს,
დავსდევდი ჟორდანიასო:
სავსე ფულით და ხრიკებით
ვგავდი ყოფილსა კნიაზსო.

გავსუქდი ბატის კვერცხივით,
გავხდი მე ქვეყნის თვალიო;
მუდამ გვერდს მეჯდა მსუქანი,
სხვა და სხვა ჯურის ქალიო.

ავტომობილით დავქროდი,
ქუჩებს ვადენდი ბდღვირსაო;
თუ ვინმე დამიხვდებოდა,
მოვტეხდი ტუტუც ცხვირსაო.

ვიყავი ბიჭი, რა ბიჭი!
კვარჩხალა, კვარაჭინაო!
იკურთხოს მისი მარჯვენა,
ვინც ფული გააჩინაო!

ფულად იყიდი სინიდისს
და ერთის საპალნე ტვინსაო;
და თუ ეს ორივ ხელთ გაქვს,
ყველას გაალი ღდინსაო.

ფულო, ღვთისაგან ნაკურთხო,
შენ გენაცვალოს ყველაო!
თუ ფული შემოგელია,
მაშინვე ყორა შველაო.

უნდა სულყველგან შესკუპდე,
როგორც მოქნილი მელაო;
ფულო, ეშმაკის თილისმა!
შენ შემოგევლოს ყველაო!

მენშევიკის დროს ის ვიყავ,
ბოლშევიკის დროს ესაო;
წინად ვკოცნიდი მღვდელს წვერზე,
დღეს კი წვერს ვპარსავ მღვდელსაო.

დღესაც კარგად ვარ, რა მიშავს?
არ ვზოგავ არაფერსაო!
პატარა კაცთან ლომი ვარ,
დიდ კაცთან ვგევარ ბერსეო.

სული როგორ არ მეცხონოს!
ჭირიმე ჩემი კუჭისო!
კაცს მაშინ უნდა წიხლი ჰკრა,
როცა ძალიან უჭირსო!

ბიჭი ვარ, მაგრამ რა ბიჭი,
ქვეყნის მუდმივი ხასაო!
წინ ანგელოზის მსგავსი ვარ,
უკან ტყავს ვაძრობ ხალხსაო.

სოციალურად დავცოცავ,
ზეპირად ვიცი მარქსიო;
ვიცი რომ გაიძვერობით
აღარ მომივა მარცხიო.

ხალხში რომ გავალ პორტფელით,
ვგავარ დიდს ორატორსაო;
გაიძვერებს და ორპირებს,
მივაყრი ვირის ტორსაო.




ჭადრაკი აძლევს შინაარს სიცოცხლის უქმე დღესაო.
ღმერთმა უკურთხოს გონება ვინც მოიგონა ესაო.

## ბათომი

◆ „ახალი გაზეთი“ გამოვიდა და დიდი ხვეწნით იყიდება გაზეთი: „თაქთაქაძე“, რომლის შინაარსის გასაგებათ საჭიროა წინდაწინვე მიიღოს მკითხველმა ასპირინი და ერთი ბოთლი არაყი.

◆ „სიმართლის-მთქმელი“ ადგილობრივმა ობსერვატორიამ ახლახან დაადასტურა ცნობა, რომ გასულ ზამთარში დიდი თოვლი იყო ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებში.

◆ „ძმა ძმისთვინა—შავი დღისთვინა“. მუშკოოპმა ერთი წლის განმავლობაში 12 ათასს მანეთს მოაგებინა 12 ათასი მანეთი და ეს მონაგები გადარიცხა გასული წლის ზარალის დასაფარავად. როგორც ამბობენ: 12 ათასი მანეთის მოგება და 24 ათასი მანეთის ზარალი განაწილებული იქნება წევრებზეო.

◆ „მოაგვარეს“. საბინაო კრიზისი ბათომში აღარ არის. ბინებს ანაწილებენ: პროფკავშირი, პროფსაბჭო, აღმასკომი, სამისამართო მაგიდა და სხვ. სულ გაცემულია ერთი უიატაკო ოთახი, ერთი ოთახის მსგავსი „სარაია“ და ორი დანგრეული სამზარეულო.

ცუნცულა.

## ? ? ?

დღე და ღამე სულ ფიქრში ვარ...
ფიქრი არ მასვენებს:

—

დეე იყონ და იცხოვრონ,
ჰქონდეთ ბევრი ფული;
ჩვენ კი იმათ სანუგეშოდ,
დე, ამოგვძვრეს სული.

—

იცოდნენ, რომ ჩვენც ხალხი ვართ
და იმათი მსგავსი;
მოვკვდებით და ყველას
მოგვედება ხავსი.

—

თურმე მღვდელი ისე გაძღა
მუცელზე სკდებოდა,—
მის გვერდით კი დიაკონი
სიმშილით კვდებოდა.

—

ჩვენი საქმეც ასე არის,—
მალე სულს დავლაფავთ,
ამდენხანსაც დავწყობრდით;
მაგრამ ჰაერს ვყლაპავთ.

სასამართლოელი




## თხების თავშესაფარი

საჯევახო. ადგილობრივ ალმასკომს განზრახული აქვს ზოგიერთი შენობები გადააკეთოს თხების თავშესაფარად. ეს საჭიროება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ადგილობრივი თხები დიდ გაჭირვებაში არიან მით, რომ იმათ უხდებათ საჯევახოს ბაზრის ტალახიან გზებზე



მგზავრობა, რაც მეტად ძნელია და ჯუტანელი. ამ თავშესაფარის დაარსების შემდეგ თხებს შეეძლებათ უშიშრად წავიდენ საბალახოთ, რადგან შემოღამებისას ღამეს თავშესაფარში გაითენებენ.

აჯიან ბარაშკაჯიან.

## ქუთათური გართობა

ქუთაისი. ლერმონტოვის ქუჩაზე მეთევზეებთან ხშირად იცის დასვენება მეკაჭკე ილიკო დეისამიძემ. მას აქვს ერთი კარგი ჩვეულება: დასვენების დროს ძაღლებს კუდზე ბაწრით ჟესტის კოლოფებს აბამს.




მას წინდაწინ გაფრთხილებული ჰყავს მეხაშეები, რომლებიც დაინახავენ თუ არა ძაღლებს, გამოიტანებენ ძვლებს და დაუყრიან.

როცა ძაღლი ძვალს შეექცევა, ამ დროს ილიკო მოეპარება და კუდზე ბაწრით ჟესტს გადააცვამს. ტკივლებული ძაღლი ქუჩაში გავარდება; ხარაზები ასტეხენ ყიჟინას, რაც ძაღლს კიდევ უფრო აფრთხობს.

ამ ქუჩიდან ძაღლი გავარდება მეორე ქუჩაზე, სადაც თავს იყრიან ფუთქის გამყიდველი ქალები, რომლებიც მოულოდნელად გამოვარდნილ ძაღლის დანახვაზე ასტეხენ წივილ-კივილს. „მაყურებელი — საზოგადოება“ მხიარულობს ამ სანახაობით და კმაყოფილი იშლება. ინ—მა.

## კურთხევა უფლისა

ქუთაისი. როცა რომელიმე მღვდელი შეიკერავს ახალ ანაფორას, ამას გაიგებენ სხვა მღვდლები; შემოესევიან და „ასოლებიებენ“ (ე. ი. მაყარიჩის გადახდა ახალის შეკერვისათვის). ბოლოს, როცა ღვინო მაჭარსავით




თავში დუღილს დაიწყებს, მღვდლები ღვთაებრივის ნიშნზე მიდიან (ან რადის არ არიან) და მოყვებიან თავრანთ „საგმირო საქმეებს“.

მა—ინ.

## კონფისკაცია თუ რეკვიზიცია?



კიდევ იქიდანვე. რკინის-გზის დარაჯები დიდ დახმარებას უწევენ მედოქეებს იმით, რომ სადგურში წყლის წასაღებათ მოსულ მცხოვრებლებს ართმევენ დოქებს.

„ჯაბა“.

## ჭკუიანი ალმასკომი

იქიდანვე. ხაშურის ალმასკომმა ქუჩების ატალახების წინააღმდეგ საბრძოლველად დაკეტა წყლის ონკანები რომლებიდანაც დაღვრილი წყალი ატალახებდა ქუჩებს. ტალახი შემცირდა სანახევროდ.




**მ ა მ ა** (მღვდელი).

თუმც ვნატრობდი მე შენს მღვდლობას და ამისთვის გასწავლიდი,
მაგრამ რაკი შენ ისედაც მოგაქვს მუდამ ძღვენი დიდი, დიდი,—
სულერთია რაც იქნები: მღვდელი, ბერი თუ მიწკომი,
მხოლოდ გვქონდეს ჩვენ სადილზე საცივი და ცხელი ღომი.

**შ ვ ი ლ ი**

ჩემს ხელშია გლეხთა ბედი: მიწკომი ვარ სამ კუთხისა...
მომაქვს, მამა, შენთვის ძღვენი, ძღვენი მსგავსი საკუთხისა.
მოგაგონე, გაგიცოცხლე ძველი დრო და ძველი წესი,
როცა იყვენ ქვეყნის მჭმელი: ღმერთი მეფე და ხუცესი.

---

## ცნობათა მიღება



**გინა-ს** (ჩოხატაური. გურია) იბეჭდება თქვენი:

### „მისაბაძი მაგალითი“

„...მტკვარში თავს ისრჩობდა, მაგრამ, რადგან წყალი ცივი აღმოჩნდა, თავის დახრჩობა გადასდო ზაფხულამდი“.

ტარტაროზიდან.

სწორედ ასე დაემართა
ხიდისთავში ორ ბარიშნას.
მათ სახელად ეძახიან:
მარუსიას და ანიჩქას.
თურმე იმათ კომკავშირში
არშიყობას მიჰყვეს ხელი.
ამიტომაც ამ ბარიშნებს
თავს დაადგათ საქმე ძნელი.
გამორიცხეს კავშირიდან
და გაუხვეს იმათ ხაზი.
ეს კი ველარ მოითმინეს,
რადგან იყვენ მეტად ნაზი.
ერთმანეთზე მკლავმიკრულნი
გუბაზეულს მიაშურეს;
შიგ დახრჩობა გადასწყვიტეს,
თავი აღარ დაიშურეს...
მაგრამ წყალი რომ ეცივათ,—
მოაშურეს კვლავ ნაპირსა...
ასე სთქვეს რომ:—გვირჩევნია
„ჩვენი თავი კომკავშირსა“
. . . . . . . . . .
რადგან ეხლა ცივი არის
წყალი ყველა მდინარეში,—
გაათბონ და აადუღონ
და დაიხრჩვან მდუღარეში.

კარგი რჩევაა თქვენი რჩევა... მაგრამ თუ ცოტას დაიცდიან, მდინარეებში წყალი გათბება,—და აღარ დასჭირდებათ წყლის ასადუღებლად შეშის დახარჯვა.

თქვენმა წერილმა უკვე ჰკრა ფეხი „მდუღარეში“.

**კმახაძეს.** (დიდი-ჯიხაიში) და მართლადაც:

„ენაზე მომდგარ სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა?“

შე დალოცვილო, ეს თუ კი იცი,—რაღას სწერდი ასე გრძელს წერილს?!

**„ჯამაათ პროგრესიას“** (ქუთაისი) თქვენი წერილი რომ არ იბეჭდება, თქვენ თუ იცით: **ვინ არის დამნაშავე?** ჩვენ გვგონია, რომ დამნაშავეა ავტორი, რადგან მას კარგად ვერ დაუწერია.

**მეც მიყვარხარ-ს** (ბათომი) სიზმარში **„მანდატი ბუხარში დაგიმალავს“.** ჩვენ კი ცხადში მასეთივე ხვედრი ვარგუნეთ თქვენს სიზმარს.

**კრაპელს.** (შემოქმედი) სურვილი კარგი გქონებიათ: **გახდეთ ტარტაროზის თანამშრომელი,** ხოლო ამნაირ წერილებით ამ სურვილის ასრულებას ვერ შესძლებთ.

**ოქტო...შვილს.** (ტყიბული) გვწერთ, რომ:

**„...ამ წერილის შინაარსი ოთხმოცდაათი პროცენტით შეეფერება სინამდვილეს“-ო**

ჩვენ არ შეგვიძლია ათი პროცენტი დაგითმოთ. წერილის სინამდვილე ყოველთვის უნდა იყოს ასპროცენტიანი.

## „ჭკუასთან ახლოს“



რონოდას სად უნდა განათება; რკინის ლიანდაგზე მიმყავს ორთქლმავალს, ტყეში და ღრეში ხომ ვერ გადაუხვევს?! მე უფრო მესაჭირეოება, რადგან ღამით ხშირად მიხდება დანგრეულ ქუჩებში სიარული და გზას გავინათებ, რომ არ დავიმტვრე.

---

მაუზერს (ლენინის ქუჩა № 44) საკვირველია: მაუზერი როგორ დააშინა წყლის ფულის ამკრეფმა ქალმა. (ვერ ყოფილხართ კარგი მაუზერი).

კარის გაღების დროს ვხედავთ
გოგიას გაფითრებულსა;
მას დანა პირსაც არ უღებს,
ხულ დამგხავსა ბებიას.

ერთი რომ: თქვენი დანა ძალიან ბლაგვი ყოფილა, რომ გოგიას „პირსაც ვერ უღებს“ და მეორედ: ჩვენ როგორ და საიდან უნდა ვიცოდეთ, რომ გოგია დაემსგავსა თქვენს ბებიას და არა სხვის ბებიას?! ამის დასამტკიცებლად საჭიროა ბებია თქვენის და გოგიას ფოტოგრაფიული სურათი წარმოადგინოთ, რის შემდეგ, მოსალოდნელია, თქვენი წერილი, რომელსაც, როგორც სჩანს მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონებია, დაიბეჭდოს.

**კვანტის მეზობელს.** (ოზურგეთი) არასოდეს არ უნდა იყოთ კვანტის მეზობლად, თქვენც ისეთივე მარცხი მოგივათ, როგორც თქვენს წერილს. ტარტაროზმა კვანტი გამოჰკრას მას და ისე შორს გადაისროლა, რომ თავი ამოყო უფსკერო გოდორში.

ოზურგეთის მონადირეები ხელცარიელი დაბრუნებულან სანადიროდან...ეს რა გასაკვირია? გასაკვირი ის იქნებოდა, რომ ისინი ხელდატვირთული დაბრუნებულიყვენ.

შეჭქნეს ძაღლებზე ბაასი
თუ ვისი უკეთესია.
ძაღლები სწრაფად შეებენ
ერთი-მეორეს ყელშია.
შალვა მეზავედ ჩავარდა,
გათიშოს არის წესია.
მაგრამ ძაღლები ჩვენს შალვას
ერთბაშად შემოესია.
კურდღლის და შველის მაგიერ
ის ინადირეს საწყალი.

იქაურს (კვირიკეთი. ოზურგეთი) თქვენ გვწერთ, რომ კვირიკეთელი მეჩექმე ოჯახში შტატის შემცირებას ახდენსო... შემცირება ყოველთვის არის კარგი მაგრამ ხშირად კი ძალიან საჭიროა და კარგიც. მაგ. თქვენი წერილის შემცირება საჭირო იყო და აუცილებელი; ამიტომ თქვენ ეს, იმედია, არ გაგიხარდებათ;

**ობოლ ნაძვს.** საწყალი!!! ძალიან გვეცოდებით, მაგრამ ამ წერილს მაინც ვერ დავბეჭდავთ. შეგვატყობინეთ დედით თუ მამით ხართ ობოლი.

ტიკჭორას. (ნიგორზღვა) დაკმაყოფილდით ამით:

ტიკჭორა ხარ,—ასეთი ხარ:
მიწა წულათ, ცა კი ქუდათ.
მაგრამ მაშინ რა იქნები,—
როს გახდები შენ დიდ გუდად:

**„ბაცს“** (ხაშური) თქვენ გვატყობინებთ, რომ:

საყუდის უფროსის თანაშემწეს დაჰყვება ძაღლი, რომელიც იხე ავია, რომ, თუ ვინმემ კანტორაში ფეხი გაანძრია, მაშინვე ეცემა. დაშინებული მოსამსახურენი მაგიდაზე შესტებიან და თვითონ როსსი კი იცინის.

ძალიახ კარგი ძაღლი ყოფილა. მანდ ეს ძაღლი დიდ საქმეს გააკეთებს შრომის ნაყოფიერების აწევაში, რადგან მოსამსახურე, რომელიც უჯდის მაგიდას, ველარ წამოდგება წარა-მარა, როგორც ეს ეხლა ხდება თითქმის ყველა ჩვენს დაწესებულებებში.

**„პროკოპის მეგობარს“** (ოზურგეთი) თქვენც კარგად იცით, რომ: „თევზი წყალში არ დაფასდება“.

**„პროკოპი ლიპაძე“**-ში შიგადაშიგ გვარიანი ადგილებია, მაგრამ ჩვენ მაინც შევასრულეთ თქვენს ორს თხოვნაში ერთი, სახელდობრ: **„...წინააღმდეგ შემთხვევაში მოათავსეთ თქვენს კალათში“.**

**ბაღლინჯოს** თქვენი გამოჩენა ამტკიცებს, რომ ჰავა საკმაოდ დამთბარა და თბილი დარები დაიწყება. სერგოზე მაშინ ვილაპარაკოთ.

**მახარბელას** (ჩოჩხათი) შე კაი კაცო, რომ გვპირდები: მერე გამოგიგზავნი კარგს მასალასო, ეხლა რატომ არ აგზავნი? თუმცაღა მანდ მღვდლები ძალიან ბევრი ყოფილან, მაგრამ ჩვენი მღვდელი თქვენს მღდელსავით არ სწირავს... ანდა, იქნებ ეს ქრთამია წერილის დაბეჭვდისათვის?!... არა ძმაო, თუ ქრთამია, ასე გლახა ქრთამის გამოგზავნა ვერ უნდა გაგებედა.

**ტარზანს** (ქ. სიღნაღი) ვერ ყოფილხართ ტარზანი, თორემ არც ასე შეგეშინდებოდათ საბილიარდოში, სადაც მაშინ მოიყრიან თავს, როცა მთვრალები არიან. (რა ტარზანობა უნდა მთვრალი კაცის გალახვას? ისედაც ძლივს მაგრდება ფეხებზე).

**გრ. არეულს** (ფოთი) თქვენ გვწერთ, რომ:

„...დააქვთ ყოველდღე პუდრები...
ამოსვრილი აქვთ ცხვირია,
არ გაგიკვირდეს, ტარტაროზ,
—აქ ასეთები ხშირია“.

არაფერიც არ გაგვიკვირდება. აქ ხომ კიდევ უარესის მოწამენი ვართ, მაგრამ რა გაეწყობა. (მოგვაწოდეთ სხვა მასალები).

**„პირპილას“** თქვენი პილპილს სიმწარე აკლია და ამიტომაც მხოლოდ აჯაბ-სანდალის შემზადებაში გამოგვადგა.

თავდიდას (ლანჩხუთი—შუხუთი) თუმცაღა, როგორც თქვენი ფსევდონომიდან სჩანს, თქვენ თავი დიდი გქონებიათ, მაგრამ შარადის დაწერისათვის ეს სრულიად არ არის საჭირო. საჭიროა დიდი (ანდა ზომიერი) გქონდეს ის, რაც შიგ თავში არის მოთავსებული.

ამ შარადის შედგენას და გამოყვანას რომ ხლაფორთი და შრომა დასჭირვებია, იმდენი არ დასჭირვებია ჩვენი ქვეყნის გასაბჭოებას, რომელსაც თქვენ უძღვნით შარადას.







საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე




№ 43 | კვირა, 4 აპრილი, 1926 წელი. | № 43

„მუსოლინმა აეროპლანებიდან მიიღო აღლუმი და მიესალმა ჯარებს.

„მუსოლინმა განაცხადა: ჩვენ ყოველთვის მზად უნდა გვახსოვდეს, რომ ცხოვრება ბრძოლაა“. (დეპეშებიდან).




დონ-კიხოტის მემკვიდრე

# ბიურო კრატიძე

ამ ამბავს მე აქ არ მოვყვებოდი, რომ მხედველობაში არ მქონდეს მიღებული ერთი გარემოება: ამ ბოლო დროს, პროფკავშირებში, სხვადასხვა დაწესებულებებში, ჟურნალ-გაზეთებში, კედლის გაზეთებში, კერძო და საზოგადოებრივ ხასიათის გამოცემებში, პასუხისმგებელ პირების ოფიციალურ და არაოფიციალურ წრეებში ძალიან ხშირად გაიგონებთ:

**„სასტიკი ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ! ზიზღი ბიუროკრატიზმს! წყეულიმც იყოს ბიუროკრატიზმი!“ და სხ.**

ასე წარმოიდგინეთ, საქმე იქამდე არის მისული, რომ საერთო ძახილს პირწავარდნილი ბიუროკრატებიც (იგულისხმება ჩვენი ბიუროკრატები, ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში ჩასახული, წარმოშობილი და ფეხადგმული ბიუროკრატები, რომლებიც... მაგრამ ამაზე შემდეგ) აყვენ ფეხის ხმას და თითონაც გაიძახიან:

„ზიზღით“.

რამდენად გულწრფელია მათი განცხადება თუ გაბახება, ამაზე აქ არ ვილაპარაკებთ, საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს, რომ ბიუროკრატობა, როგორც ასეთი, ფრიად არა სიმპატიური მოვლენაა და ხშირად უკმაყოფილების გრძნობას იწვევს ხოლმე **საზოგადოებაში**. მაშასადამე, ბიუროკრატობას ჩვენ მართლაც ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ და ჰოკით ვსდიოთ.



სოფლიდან ჩამოსულ გლეხებს სითობით აცდევინებდა.

საიდან წარმოიშვა ბიუროკრატიზმი, ვინ არის მისი მამამთავარი, შეიძლება იგი ერთ დროს დადებითი მოვლენა იყო საზოგადოების ცხოვრებაში? ასეთი კითხვები მართლაც მრავალ ჩვენგანს ებადება და დაებადება და თუ ამდენ ხანს არ დაებადა, მომავალში მაინც უნდა დაებადოს, ან თვით მან დაბადოს.

ბიუროკრატიზმი მეფის დროს სასარგებლო მოვლენაც იყო: მუშათა კლასი მონარქიზმის პირობებში, ბიუროკრატიზმით გაჟღენთილ ქვეყანაში უფრო ირაზმებოდა და სწორედ ეს ბიუროკრატიზმი უფრო ამწარებდა მათ და უფრო მეტად აცხოველებდა ბრძოლის სურვილს.

ეს იყო მაშინ.

როგორ მოვიდა ჩვენთან ბიუროკრატიზმი, როგორ შემოგვეპარა იგი, ან — ვინ შემოიტანა ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში?

ბიუროკრატიზმის შემომტანი ჩვენში გახლავთ პატივცემული (მხოლოდ არა ჩვენგან) ბიურო კრატიძე, რომელიც ეხლა უკვე ღრმად მოხუცებულია მაგრამ კიდევ საკმაო ჯანღონით არის სავსე.

ბიურო კრატიძე დაიბადა უხსოვარ დროში. ადგილმდებარეობა, თუ სად იყო მისი სამშობიარო ბაგა, ან რა პირობებში მოუხდა მას ქვეყნად გაჩენა, საბოლოოდ გამორკვეული არ არის; რადგანაც ბიურო კრატიძის განსვენებული მშობლები არ იყვენ დაზღვეული. საკითხი მათი დაუზღვევლობის მიზეზის შესახებ ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ ბიუროს არ მიუღია, არც სამშობიარო დახმარება, არც რძის ფული, არც კონსულტაციაში გაუტარებია.

ბიუროს ეროვნება, სამწუხაროდ არ რის საბოლოოდ გამორკვეული. ყოველ შემთხვევაში, ის კი უდაოა, რომ ბიურო კრატიძე ქართველი არ არის. მართალია, მისი გვარი ძე-ზე თავდება, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს: ბიურო მოხერხებული ყმაწვილია და რომელ ქვეყანაში მივა „იმ ქვეყნის ქუდს იხურავს“, გვარს დაბოლოებას უცვლის. მაგალითად: საქართველოში ბიურო კრატიძეა, რუსეთში კრატოვი, სომხეთში კრატიანცი, აძერბეიჯანში კრატი ოღლი და სხვა.

ბიურო კრატიძე, სხვათა შორის მრავალ პიროვანია; მას შეუძლია ერთ და იმავე დროს საქართველოშიც იყვეს და ვოლოგდის გუბერნიაშიც, ქარხანაშიც შევიდეს და დაწესებულებაშიც მოიკალათოს, გამგეც იყოს და ადგილკომის მდივანიც.




...იჯდა კაი დიდი კაცის ადგილზე და განკარგულებას იძლეოდა.

ბიუროს ბევრი მტერი ჰყავს, მაგრამ იგი მაინც ყურს არ აპარტყუნებს, ცხოვრობს თავისთვის არხეინად.

თუ როგორ ჩამოვიდა ბიურო საბჭოთა საქართველოში, ეს არ არის გამორკვეული, ისე კი დაბეჯითებით ამბობენ, რომ ამოვიდოდა, ან ეტლით, ან ჰაეროპლანით, ან ფეხით, ან სხვა რაიმეთი, ოღონდ მატარებელს არ გამოყვებოდა, რადგანაც იგი მეტად ფრთხილი კაცია და ჩვენს მატარებლებს, რომლებსაც ეგრეთ წოდებული „კრუშენია“ ჩვეულებათ გადაექცათ, არ ენდობოდა.

როდის ჩამოვიდა ჩვენში ბიურო?

ისტორია არც ამის შესახებ ამბობს გარკვეულად რამეს. ბოროტი ენები ამბობენ, რომ იგი გასაბჭოების დროს ჩამოვიდა დიდის ამბით, სხვები კი ამტკიცებენ, რომ ბიურო გასაბჭოებისას ჩამოსული კი არა, საქართველოს მკვიდრი მცხოვრებიაო. ზოგიერთები იმასაც კი ამბობენ, თითქოს მათ საკუთარი თვალით დაენახოთ, როგორ ზეიმით შეხვდა საქართველოს გასაბჭოებას ბიურო და თავის სახლზე წითელი დროშაც კი გადმოჰკიდა.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია მეორე ამბავს უფრო დაუჯეროთ, რადგანაც ბიურო მეტად მოხერხებული კაცია და თავის დროზე მიხვდა რა უფრო იყო უმჯობესი. თბილი ადგილის თავის დროზე მოსაპოებლად.

რევოლიუციამდე, თურმე ბიურო დიდი რიხით ცხოვრობდა, რევოლიუციის შემდეგ ცოტა გადემოკრატდა, მაგრამ მენშევიკების დროს ისევ გავლენიანი კაცი შეიქნა, ისე, რომ ყოველი დიდი კაცის კაბინეტში და დაწესებულებაში მისთვის კარები ღია იყო. გასაბჭოების პირველ ხანებში ბიურო სულ გადაიქცა, გზაში რომ შეგხვედროდა, ველარ იცნობდი, სულ მთლად პროლეტარიატის ყაიდაზე ეცვა და ხელშიც ყასიდათ ნამგალი ეჭირა. ბიუროს ერთხელ საუცხოო ბინა წაართვეს, მაგრამ მას კრინტიც არ დაუძრავს, რადგანაც, როგორც თითონ ამბობდა „პროლეტარ კაცს ბინა არაფრად ესაჭიროებოდა“. მიუხედავათ ამისა, არ გასულა მაინცა და მაინც დიდი ხანი, რომ მან უკეთეს ბინაში მოიკალათა და ამჟამად შიგ ცხოვრობს.

საინტერესოა ბიურო კრატიძის მოღვაწეობის ამბავი: გასაბჭოების პირველ ხანებში ისიც სხვებთან ერთად „პაიოკს“ იღებდა და იმით იკვებებოდა. შემდეგ იგი დაითხოვეს,—შტატის შემცირებაში მოყვა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უკეთესი ადგილი იშოვა. ბიურო ყოველგვარ შრომის ბირჟის გარეშე იცვლიდა და იცვლის ადგილებს და თანამდებობებს. იგი ხან გამგეა, ხან გამგის მოადგილეა, ხან დირექტორი, ხან ქარხნის ადგილკომი, ხან ყრილობის დილეგატი. ხან მისი თავმჯდომარე.



შეუდგა საგმირო საქმეების განხორციელებას.

მე მახსოვს ბიურო ერთ საბჭოთა დაწესებულებაში მიიღეს რეგისტრატორის თანამდებობაზე. აქ მან იმდენი „მუყაითობა“ გამოიჩინა, რომ ორ დღეში დაითხოვეს: სოფლიდან ჩამოსულ გლეხებს იგი საათობით აცდევინებდა და განგებ არ ატარებდა ქაღალდს რეგისტრაციაში. დათხოვილი ბიურო სხვაგან წავიდა და საქმეთა მმართველის თანამდებობა იგდო ხელში. აქ იგი ერთი თვე მსახურობდა, შემდეგ უკმაყოფილება მოუვიდა ერთ-ერთ პასუხისმგებელ მუშაკთან და იქიდანაც მიაბრძანეს. ბიუროს წარბიც არ შეუხრია და ერთი ქარხნის დირექტორის მოადგილის თანამდებობა იშოვა. აქ მან უფრო გაშალა თავისი შემოქმედებითი უნარი. საქმეზე მასთან მისულ მუშას იგი კარებში არ უშვებდა, სალამსაც არ ხძლევდა, ასეთ კაცს, რასაკვირველია, ქარხანაში დიდხანს არ მოაცდევინებდნენ: ჰკრეს პანღური და გამოაგდეს. ეს პანღური ბიურომ ისე მიიღო, თითქოს მისთვის ბუტერბროდი მიერთმიათ: ადგა და ღიღინით წამოვიდა. მეორე დღეს კრატიძე სამეურნეო დაწესებულებებში იჯდა კაი დიდი კაცის ადგილზე და განკარგულებებს იძლეოდა. აქაც დიდი ხანი არ უბოგინია ბიუროს. დაწესებულების კოლეგიამ დიდი ბოდიშით გამოისტუმრა იგი. ამას შემდეგ ბიურო სახელმწიფო მომარაგებათა მყოფ (გოსბიუჯეტნი) დაწესებულებაში შევიდა და გამგის ადგილზე მოიკალათა. ვინ იცის, აქ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მისი ბატონობა, რომ თითონ მას არ დაეწუნებია თავი ამ დაწესებულებისათვის: ჯამაგირი ასეთ დაწესებულებებში, როგორც მოგეხსენებათ, მეტად მცირეა და იმასაც თავის დროზე ვერ ღებულობენ ხანდისხან; კრატიძეს კი კვაჭანტირაძეზე ნაკლებ ხელგაშლილად არ უყვარს ცხოვრება და ამიტომაც იყო, რომ უფრო მსუქანი ადგილის ძებნა დაიწყო. ამრიგად მან მოიარა თითქმის ყველა დაწესებულება და მრავალ ადგილას ღირსეული მემკვიდრეები დატოვა, რომლებიც დღემდისაც ერთგულად განაგრძობენ მის საქმეს.

ბოლოს კრატიძეს მოსწყინდა გამგეებათ და ადმინისტრატორებათ ყოფნა და გადასწყვიტა პროფესიონალური მუშაობისთვის მოეკიდა ხელი. ეს დარგი მისთვის უწინაც კარგად ნაცნობი იყო, ამჟამადაც კარგი მეგობრები ყავდა შიგ, მაგრამ მან განიზრახა გულმოდგინეთ მოეკიდა ხელი პროფმუშაობისათვის და თავისი საქმე საბოლოოდ დაეყენებია მისთვის სასურველ (ჩვენთვის, რასაკვირველია, არასასურველ) ნიადაგზე.

თავდაპირველად ბიურო ქარხანაში შევიდა უბრალო მუშად და დაიწყო მუშაობა. ცოტა ხნის შემდეგ იმდენი მოახერხა, რომ საქარხნო კომიტეტის წევრად აირჩიეს, წევრობიდან იგი ადგილკომის პასუხისმგებელ მდივნის თანამდებობაზე გადასკუპდა და შეუდგა თავის საგმირო საქმის განხორციელებას. მუშებმა დიდხანს ველარ აიტანეს მისი ქარხკომობა და წარმოებიდან გამოაბრძანეს.

ბიურო მაინც არ დაცხრა და მეორე ქარხანაში შევიდა, იქიდან მესამეში გადაეიდა, შემდეგ მეოთხეში და ამგვარად შემოიარა მრავალი წარმოება. ყველგან თავისი კვალი დატოვა, ყველგან მემკვიდრეები გაიჩინა, რომლებიც ასე თუ ისე, მაინც აკეთებენ მის საქმეს.

პროფკავშირთა საბჭოს გადამწყვეტი ზომები აქვს მიღებული კრატიძის წინააღმდეგ: ხშირად აგდებს მას სამსახურიდან, ხან გამასწორებელ სახლშიც მიაბრძანეს, ხან იქით, ხან აქეთ, მაგრამ დაუდევარი კრატიძე მაინც ახერხებს გამოძრომას და ხანდისხან კავშირის ცენტრალური გამგეობაშიც შეიპარება ხოლმე. პროფსაბჭოს გარდა, კრატიძის წინააღმდეგ გამოდის ბევრი ჩვენი დაწესებულება.

გამოტანილია უამრავი დადგენილებები, გადაწყვეტილებები, რეზოლიუციები და გამომუშავებულია გეგმა მის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მართლაც დაუდგრომელი ბიურო კრატიძე დაწყნარდა, დამშვიდდა, შეშინდა და თითქოს სადღაც გაიპარა, მაგრამ იგი მაინც ცოცხლობს, მისი მემკვიდრეები განაგრძობენ მისგან დაწყებულ საქმეს.

ბიურო კრატიძის მიერ დაწყებულ და გაგრძელებულ საქმეს ბიუროკრატიზმი ეწოდება. იგი მეტად მავნე სნეულებაა. იგი კეთრზე უარესია. გადამდებიც არის. ამიტომ საჭიროა ჩვენ ყველამ ვიცოდეთ მისი ბინა, მისი მისამართი. კრატიძეს განსაზღვრული ბინა არა აქვს, იგი ყველგან არის: თვითეული ჩვენგანი უნდა ჩაუკვირდეს საკუთარ თავს და აუცილებლად აღმოაჩენს ბიუროკრატიზმის ცოტაოდენ ნამცეცს მაინც. ეს ნამცეცები ყველა ჩვენგანმა გახურებული შანთით უნდა ამოიწვას. მხოლოდ მაშინ დამარცხდება კრატიძე და მისი მოძღვრებაც.

ტერსიტი.

—:—

# „ამერიკული“ მანქანა ტეხნიკა

„ამერიკაში სწარმოებს მუშაობა, რომლის მიზანია ამერიკის საზოგადოებრივი აზრის მომზადება საფრანგეთში ფაშისტურ გადატრიალებისათვის“. (დეპეშებიდან).




# „ხელი-ხელ ჩაკიდებული“

**(აზრი ნასესხებია ზოგი სხვისგან, ზოგი სინამდვილიდან)**

პროკურორმა მოხსენება დაათავა:

— მაშ ასე ამხანაგებო, მუშკორი და გლეხკორი საბჭოთა ხელისუფლების თვალი და ყურია, მას არაფერი არ უნდა გამოეპაროს, იგი ყველაფერს უნდა ფსიზელი გონებით სწონიდეს და საბჭოთა მტრებს კალმის წვერზე აგებდეს მიუდგომლათ და მოურიდებლათ. ამ შემთხვევაში, ამხანაგებო, პროკურატურამ და კორესპონდენტებმა უნდა ხელი-ხელ ჩაკიდებული იარონ!

პროკურორის სიტყვას ყველა აღფრთოვანებით შეხვდა, ხოლო განსაკუთრებული აღტაცება სახეზე მუშკორ ღდინჩამყოლაძეს შეუთამაშდა!

— : —

სამსახურის საქმენი აიძულებენ ღდინჩამყოლაძეს ბათომში იმგზავროს. უკვე თბილისის სადგურიდან უთვალთვალებს, სწონის, არკვევს, ისმენს, იგებს ყველაფერს. როდესაც ვაგონის კიბეზე ადიოდა, ისე მძიმეთ მიაბიჯებდა, რომ ეტყობოდა—სადგურშივე მას საკმაო სიმძიმის ამბები მოეგროვებია და მითი დატვირთული, თავსაც მძიმეთ გრძნობდა.

შევიდა ვაგონში. ეძებს ადგილს, ვერსად მიაგნო. კანდუქტორს მიმართა:

— გთხოვთ დასაწოლი ადგილი მიბოძოთ!

— თუ არის—თქვენც მონახავთ, თუ არა და „ნა ნეტ ი სუდა ნეტ“!

მიუგო კონდუქტორმა.

— აი, სწორედ, თუ გნებავთ საქმე „სასუდოთ“ არ გაგისდეთ,—ადგილს მომცემთ!

— კი, მაგრამ რით იმუქრებით ყმაწვილო?—შეეკითხა კონდუქტორი.

— არაფრით, მხოლოდ... იცოდეთ, რომ მე მუშკორი გახლავართ!

— ვაი, შენს კონდუქტორს; მან კარგად იცის თუ რა არის ზოგიერთი მუშკორი, მართლა როგორ ღდინში გდევს, ვაგონში მთელ ღამეს ფხიზლობს, რომ ეგებ შემთხვევით თვალი მოჰკრას თუ როგორ წათვლემს რევიზორს ან კონდუქტორს, და, აი, ესლა ამ ჭირმა თითქოს კიდეც დუკაკუნა კონდუქტორის წათვლემილ თვალებს.

„ძალა აღმართს ხნავს“—მუშკორის „პრეტენზია“ კონდუქტორმაც მალე დააკმაყოფილა.

ამგვარათ: **მუშკორის** პირველი ვალი ღდინჩამყოლაძემ „კეთილ-სინდისიერათ“ შეასრულა.

— : —




— ოხ, ზინა, რომ იცოდე რა დღე დამაყენა შავდლიანის კოოპერატივის გაფლანგვის საქმემ. რა ჭირი გადამწყდა, რა უბედურება, მაგრამ მადლობა ღმერთს, გადავრჩი!

ამ სიტყვებით მიმართა კუპეში მჯდომმა ახალგაზრდა ყმაწვილმა ახალგაზრდა ლამაზ, სუფთად ჩაცმულ, ლურჯ-თვალება ქალს.

— აბა, აბა! იმ ხანებში მეც რა დღე დამადგა;—არსად წასვლა, არსად გავლა, არც ოპერა, არც დრამა! წარმოიდგინე „ნიბელუნგებზედაც" კი ველარ წავედი!—ამოოხვრით მიუგო ქალმა.

გვერდით ზედა „კოიკაზე" წევს მუშკორი ღდინჩამყოლაძე და მარჯვენა ყურზე ხელ-მიფარებული იჭერს ქალ-ვაჟის საუბარს.

— გაფლანგვა! ეს ხომ უბრალო საკითხი არაა, კოოპერატივის გაფლანგვა „ჭირი გადაწყდა", არა ტუჩზე აკოცებდენ, მაგრამ მაინც თავი როგორ გაინთავისუფლა? აქ რაღაც „მახინაციაა"—ფიქრობს მუშკორი.

მაგრამ გატვრინავს სულს, რომ უკეთ ჩასწვდეს ქალვაჟის საიდუმლოს.

— მაგრამ, ჩემო ზინა,—განაგრძობს უცნობი ყმაწვილი,—კოოპერატივს კიდევ ისეთი შავი დღე არ დაუყენებია ჩემთვის, როგორც ტაბტრესტმა დამაყენა. მერე რამხელა თანხა: 15 ათასი მანეთი! აქ სიკვდილის განაჩენი ხელთ გიკავია! გახსოვს, რა დღე დამადგა—დღე-ღამე არ მძინებია!

— ბიჭოს! ტაბტრესტშიაც ღვაწლი მიუძღვის, 15 ათასი გაუფლანგავს, ოხო, ხო, ხო აქ უკვე არც თუ სახუმაროა საქმე!—კმაყოფილებით იზმორება მუშკორი.

— ყველაზე უფრო,—კვლავ განაგრძობს უცნობი,—დიდი დანაშაული კიდევ მატყლის შემყიდველი ტრესტის ფლანგველობის საქმეში ჩავიდინე. საქმეს ვილა წუხდა. ის იყო კინაღამ უდანაშაულო კაცი გავხვიე შიგ. მაგრამ, მადლობა ღმერთს, გადაურჩი და ის ყმაწვილი აღარ დამიღუპავს, თორემ სინდისის ქენჯნა სამარეში ჩამიყვანდა!

— ბიჭოს, ეს ვაჟბატონი ძალიანაც ტრაბახობს, რომ მოუხერხებია და თავთან ერთად ამხანაგიც გამოუძვრენია პასუხისმგებლობიდან! აი, რა პატარა ხაფანგში გაყო თავი დიდმა ავაზაკმა!—უკვე დაეკარგა წონასწორობა მუშკორ ღდინჩამყოლაძეს, მას სული ყელში მოებჯინა:—როდის იქნება, რომ მატარებელი შემდეგ დიდ სადგურს მიაღწევს და იქიდან შესაძლებელი იქნება საზოგადოებას ამცნოს ეს დაფარული დიდი ბოროტმოქმედება!..

— : —

მატარებელმა ერთი დაიკივლა და შორაპნის სადგურთან გაჩერდა. იწკუპ გადმოხტა ვაგონიდან ბაქანაზე მუშკორი ღდინჩამყოლაძე და მოუთმენლად იკითხა:

— დეტეჩეკას თანამშრომელი სად არის?

— რა გნებავთ, ყმაწვილო?—ზრდილათ ჰკითხა მას იქვე მდგომმა წითელ ყალიმიანი ქუდით, ერთმა ბრგე ვაჟკაცმა.

— თქვენ ბრძანდებით?—ჰკითხა ღდინჩამყოლაძემ.

— დიახ მე გახლავართ!

— მაშ, გთხოვთ, წამობრძანდეთ!

და გაუძღვა ვაგონისაკენ.

ვაგონში მყოფი ქალ-ვაჟი ალერსის თვალით უცქერდენ და ალერსიანათაც ეჟღურტუნებოდენ ერთმანეთს.

— აი, ეს ყმაწვილი გახლავთ, რომელსაც სამი დიდი დაწესებულება გაუცარაცვავს, ალბათ ეხლა სადღაც მიიპარება!—„დარწმუნებული და თან ამაყი კილოთი მიმართა ღდინჩამყოლაძემ რკ.-გზის განს. კომისიის თანამშრომელს" და ქალთან მოსაუბრე ყმაწვილზე მიუთითა.

— : —

— დაპატიმრებული ბრძანდებით!—გადამწყვეტი კილოთი მიმართა უცხო ყმაწვილს განსაკ. კომისიის თანამშრომელმა და დასძინა:

— გთხოვთ პირადობის მოწმობა გვაჩვენოთ!

გადაშალა განს. კომისიის თანამშრომელმა. „პირადობის მოწმობა“ და გაშეშდა.

შიგ ეწერა:

— მოწმობა ესე ეძლევა...... ის პროკურორის მოადგილე რიკრიკაძეს მას შინა, რომ ის „.. და სხ.

თეთრმა ფერმა გადაჰკრა წითელ მუშკორსაც.

— კი მაგრამ, როგორ გადაურჩით შავდლიანის კოოპერატივის გაფლანგვას, ტაბტრესტის 15 ათასს მანეთს, მატყლის შემყიდველი... ერთი სიტყვით ამდენ გაფლანგვებს?— ოდნავ დარცხვინებული კილოთი შეეკითხა „უცნობს“.

— სულ ადვილათ. სამივე პროცესი საგულისხმო იყო, ბრალდებულთა და მოწმეთა დაკითხვამ, შემდეგ საბრალმდებლო სიტყვამ დიდი ენერგია მოითხოვეს, მაგრამ, მადლობა ბედს, შრომას გადავრჩი და ეხლა მცირე ხნით დასასვენებლად სოფლად მივდივარ!

ამ დროს კონდუქტორმა სანთელი ზედ უცნობ ყმაწვილის ცხვირთან მიიტანა.

აქ უკვე ღდინჩამყოლაძის განცვიფრებას და გაფითრებას საზღვარი აღარ ჰქონდა:

— უცნობი ფრიად ნაცნობი „მომხსენებელი“ პროკურორი გამოდგა!

გაახსენდა მუშკორს პროკურორის სიტყვები:

„მუშკორი და პროკურატურა ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიოდენო“.

ღრმათ ამოიხვნეშა მუშკორმა და დაღონებული კილოთი წარმოსთქვა:

— ხელი-ხელ ჩაკიდებული, მაგრამ არა ისე, როგორც დღეს ვაპირებდი!

უჩარდია.

# მუშკორაში




ასანთის საყიდლად
შევიდა იგი.
ჩეკის და სალაროს
გრძელია რიგი...



და ბოლოს ელირსა:
იყიდა ასანთი,
რომლისა ყიდვასა
მოუნდა საათი.

# ნიგვზიანი

მე პოეტობის სახელს არ ვეძებ,
არ მაქვს უნარი, არ ვიცი წერა,
მაგრამ თუ შევხვდი სუნოვან კერძებს
არ შემიძლია ვუცქირო ცერად.

ვიცი, რომ ბევრი ცუდს ფიქრობს ჩემზე,
და მე კი მათი არ მინდა წყენა.
როცა შეგვისვამს სიკვდილი ფრთებზე,
იქ განაჩენით შეგვხდება ზენა.

მსურს რომ ერთგვარათ ვხედავდე ყველას,
მაგრამ კი არის სხვადასხვაობა.
(ზოგი განაგრძობს სოფელის წველას,
ზოგიც უცქერის სანახაობას).

ვიფიქრე: ჩავალ ბაზარში ერთი.
სახლში ფიქრებმა გადამიყოლა.
მომიტყდა სარი, ჩამენგრა ფერდი,
როცა ღობეზე ვცადე გაყოლა.

იქნებ თქვენ მკითხოთ,—ღობე—მესერით
რად მოვისურვე ბაზარში წასვლა?
მაგრამ ხომ გზები არის მეწყერი
არ შეუძლია კაცს რაშით გავლა.

აქ სკოლის ეზო დანგრეულია
და გადადიან ურმებით ხალხი.
ვშიშობ, როდესაც გვერდში უვლიან,
რომ წამოიქცეს თვით სკოლის სახლი.

ქარები არწევს, აღარ ასვენებს,
ბოკნები არ აქვს, კიბე და მინა.
თუ უგულობა ვსთქვი და ვახსენე,
ვფიქრობ: იქნება ვინმეს ეწყინა..

— როგორღაც იყო ვეწვიე ბაზარს,
ამოგანგლული ტალახში სულ მთლად.
ხუთშაბათია და მქონდა აზრად
ბაზრობას ვნახავ და მრავალ სუფრას.

აგერ შალომა ჰყვირის და ჰყვირის:
**აბა ფართალი აქ არის მუქთად.**
აგერ ვიღაცა ფულებზე სტირის
ჯიბგირისაგან ჯიბე აქვს სუფთად

... და კვლავ ტალახი. ფოსტა და ეპო,
არ შეგიძლია, რომ ინახულო.
აქ ალმასკომი, მაგრამ რა უყო...
საბჭოსაც მინდა ჩაურახუნო.

მაგრამ იჭვები გულს სწურავს ავად,
ვაი თუ ვინმემ გამიგოს მანკი,
მაშინ მჭირია ვგრძნობ დასაცავად
თავზე, რომ მადგეს დრედნოუტ-ტანკი.

ჩახუნდარიძე.

# „კეთილ-მოწყობამ“ მიშველა

დღეს მე თავისუფლად ვგრძნობ თავს და ამაში ტფილისის „კეთილ-მოწყობას“ დიდი ღვაწლი მიუძღვის.

ერთი ჩემი კარგ მეგობარი ანტონ კოტრიკაძე ტფილისში ჩამოვიდა სამსახურის საშოვნელად და ჩემთან „ჩამოხტა“.

იგი ჩემს ბინაზე ეტლით მოვიდა; უკანასკნელი ფული შეეტლეს მისცა. მის „ჩემოდანში“ (სამსახურის მაძიებელმა მოინტელიგენტო ხალხმა მამაპაპური ხურჯინი უარჰყო) აღმოჩნდა: ორი ხაჭაპური, ერთი ბოთლი ჭაჭის არაყი, სამოცდახუთგრადუსიანი (?), ერთი მოხარშული



განუწყვეტელი ხმაურობა ისევ გრძელდებოდა.

დედალი, „ერთი-ცხრა“ ჯანჯუხა (ჩურჩხელა) ტკბილის კვერში შეხვეული და ტყლაპი (ეს უკანასკნელი ჩემი ცოლის საპატივსაცემლოდ). ამის გარდა, ჩემს სახელზე ორმოცამდე წერილი, რომელთა წაკითხვას იმდენი დრო და შრომა დასჭირდებოდა, რამდენიც არქეოლოგიურ წარწერებს.

მე მაშინვე ვიგრძენი საფრთხის მოახლოვება და, სანამ ჩემი მეგობარი ანტონი ჩემს ცოლს ელაპარაკებოდა იმის შესახებ, თუ ჩვენ სოფელში ვინ გათხოვდა, ვინ მოკვდა, ვინ ცოლი მოიყვანა, ვინ მორჩა და სხვა, მე გაფაციცებით ვეძებდი და ცალკე ვაწყობდი ჟურნალ-გაზეთებს და ბროშურებს, სადაც კი რაიმე ეწერა უმუშევრობის და დევიზი „პირი სოფლისაკენ“-ის შესახებ.

მე ძალზე დამაფიქრა „ტარტაროზი“-ს იმ ნომრის დაკარგვამ, სადაც ძალიან გარკვევით იყო განმარტებული, რომ კაცი კავშირის წევრი ვერ გახდება, თუ არ მსახურობს, და სამსახურში არ მიიღებენ, თუ კავშირის წევრი არ არის.

ვაფრინე უფროსი ვაჟი „ტარტაროზი“-ს რედაქციაში. რადგანაც ვჩქარობდი, ვუთხარი ტრამვაისათვის არ დაეცადნა და ფეხით წასულიყო. თან შიშით გული მისკდებოდა: ვაი, თუ ისევე უგზო-უკვლოთ დაიკარგა ის ნომერი, როგორც „საბჭოს ნაკაზი“-მეთქი.

ანტონმა დაწვრილებითი ცნობები მომაწოდა იმის შესახებ, თუ როგორ გაფუჭდა გზები ჩვენს სოფელში, როგორ დაინგრა სკოლა, რატომ გაკოტრდა კოოპერატივი (მან კარგად იცის, თუ ვის რა თემაზე უნდა ელაპარაკოს). გარეშე მაყურებელი იფიქრებდა, თითქოს მე მუშკორი ვიყავი და ანტონი გაგზავნილი მყავდა სოფელში ცნობების შესაკრებად.

ის იყო ანტონს უნდა დაეწყო სამსახურის შესახებ ლაპარაკი, რომ ჩემი ვაჟი ქლოშინით შემოვარდა „ტარტაროზი“-თ ხელში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ანტონ კოტრიკაძეს გათავებული აქვს „ძველი ორკლასიანი“, ყანის კარგი მუშაა, იცის დურგლობაც; მთელ სოფელში იციან, რომ ანტონი საუკეთესოდ სთლის თოხის ტარებს და აკეთებს სამფეხა სკამებს.

წარმოიდგინე, მკითხველო, ჩემი მდგომარეობა. ასეთი „სპეცი“, პრინციპიალური მტერი სასტუმროების და რესტორანების ფინანსიური მოსაზრებით,—უნდა იყოს ჩემთან მანამდე, სანამ სამსახურს და ოთახს იშოვნის?!

არ შემოადგმევინებ ფეხს ოთახში,—ხომ სამუდამოდ მოგჭრა თავი და ვეღარასოდეს ვეღარ ჰქენი **„პირი საკუთარ სოფლისაკენ!“** შემოადგმევინე ფეხი ოთახში, მოასწრო ქუდის მოხდა,—მერე ხომ აღარ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ოთახიდან მისი გამოსახლება.

ეს იყო ჩემი შეშფოთების მიზეზი, როცა ჩემ ოჯახში პირველად ფეხი შემოდგა ჩემმა საუკეთესო მეგობარმა ანტონ კოტრიკაძემ.

მე მტკიცედ გადავწყვიტე, რაც შეიძლება ადრე დამერწმუნებია ანტონი, რომ სამსახურს ვერ იშოვნის.

მოსვლის პირველ დღეს მთელი ლექცია წავუკითხე, უმტკიცებდი, რომ ყველა პატიოსანი კაცი სოფლისაკენ მიილტვის, სოფელს შველა უნდა, რომ ტფილისში ამდენი და ამდენი ათასი უმუშევარია კავშირის წევრი და პირველ რიგში მათ აძლევენ სამსახურს, რომ ჯამაგირს თავის დროზე მაინც არ მოგვცემენ, რომც მიგიღონ და სხვა. მოვიშველიე ჟურნალ-გაზეთებიც.

ამის შემდეგ ჩვენ შორის ხშირად იმართებოდა ასეთი საუბარი:

— კაცო! აი კომუნისტები რომ კი აწყობენ ხალხს სამსახურში, ჩვენი სოფლის კომუნისტებს რა ღმერთი უწყრებათ, რომ ვერ მომაწყვეს?

— ეს წინედ იყო, ეხლა კომუნისტებს ნაკლები გავლენა აქვთ, მგონი პარტიიდანაც რიცხავენ, ვინც პროტექციაზე ჩამოაგდებს ლაპარაკს; ამის გარდა, „სპეცები“ საჭირო.

— ქე რომ მპირდებიან? აქ ივანეს შვილი რა „სპეცია“, გამგეთ რომ დანიშნეს?!

— **რომ** არ დაგპირდენ, საშველს არ მისცემთ, თავს აბეზრებთ იმ ხალხს. ივანეს შვილი წინედ მიღებულია და სამსახურიდან დათხოვნა შეუძლებელია ეხლანდელ დროში.

— კაცო, რომ სწერენ „პირი სოფლისაკენ“-ო და ყველა აქ არის, მარტო მე წავიდე სოფელში?!

— ასეა, ჩემო ძმაო, ზოგი სწერს, ზოგიც უნდა წავიდეს.

— არა კავშირის წევრი რომ კი მიიღეს სამსახურში?!

— (გაბრაზებით) რანაირად შეიძლება ეს მოხდეს; ტფილისში 60.000 უმუშევარია (ა.-კ- უმუშევრები ტფილისს მივაწერე გაჭირვების დროს და თანაც მათი რიცხვი გავადიდე).

ასე მიდიოდა კვირეები, თვეები.

ლიტონ სიტყვებს თავი დავანებე. გამოვიყვანდი ჩემს მეგობარს ქუჩაში და ვეუბნებოდი:

— ხომ ხედავ, ტფილისში ამდენი ბალი შენდება, სახლები ინგრევა (ორი დღე სამსახურში არ ვყოფილვარ და სომხის ბაზარში სახლების ნგრევას ვაჩვენებდი). ქუჩებიც ინგრევა: ეს იმის ნიშანია, რომ სახლების მაგიერ ტფილი-

# სახელმძღვანელო




პირველ დღეს—ტარტაროზმა გააჩინა სალარო.




მეორე დღეს—ტარტაროზმა გააჩინა სამოთხე.

სელები ბაღებში იცხოვრებენ; მიმოსვლა ბაღებს შორის ჰაეროპლანით იქნება-მეთქი.

— არა უშავს,—მეუბნებოდა ანტონი,—შენ წუნობ, თორემ ასეთი გზები სოფელს სიზმარშიაც არ უნახავს. სახლებს რომ ანგრევენ—ეს იმიტომ, რომ ქალაქმა კარგად იცის, თუ როგორ სჯობია; ალბად, მეტია... ბაღებში ყოფნას და ჰაეროპლანზე ჯდომას რა აჯობებს! ტფილისში ზამთარი არც კი სცოდნია, თოვლი არ მინახავს და წვიმა.

იმედი აღარაფერის იყო. ჩემმა ცდებმა უნაყოფოდ ჩაიარა. ანტონი ჩემი ოჯახის წევრად ჩავთვალე. სამსახურს მისთვის არ ვეძებდი—შოვნის იმედი არ მქონდა.

---

ერთს ჩემთვის ბედნიერ დღეს მომნახა ამხ. კონსტანტინემ (ამაზეა ნათქვამი: „ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკა"-ო) და მთხოვა სესხად ხუთი თუმანი. გამოირკვა, რომ ოთახის გამოცვლა უნდა და მაკლერი „ოტსტუპნოის" 200 მანეთს სთხოვს.

კონსტანტინე დღესაც ანასტასიას ქუჩაზე სცხოვრობს და ცოტა უფრო ცუდ პირობებში, ვიდრე წინად.

წყნეთის, ანასტასიევის და ყორღანოვის ქუჩები მიემართებიან პარალელურად. წყნეთის ქუჩაზე ტრამვაის გან დიდი კაცი სცხოვრობს, მილიციელის განკარგულებით იგივე მდგომარეობაა. დარჩა ანასტასიევის ქუჩა. აი ამ ქუჩაზე ღამის პირველ საათზე სწყდება ხმაურობა და დილის ოთხ საათზე იწყებს შეშით და ნახშირით დატვირთული ურმები მოძრაობას.

— ცოლშვილს გეფიცები, ცოლშვილს,—შეწუხებული სახით მეუბნებოდა კონსტანტინე,—არ შეიძლება იმ ქუჩაზე ცხოვრება.

ერთს ქვეყანაში ასეთი სასჯელი ყოფილა: კაცს დააძინებენ და ძილში ჰკლავენ დამნაშავეს. ჩვენი მთავრობა რომ ამ წესს შემოიღებდეს, მაშინ ანასტასიევის ქუჩა საუკეთესო ადგილი იქნებოდა ამ საჭიროებისათვის.

მეც მოვყევი ჩემს გაჭირვებაზე.

— იცი რას გეტყვი: გადმოიყვანე ჩემთან შენი მეგობარი, თუ სამ დღეში ბარგი არ აიკრას და სოფლისაკენ არ ქნას პირი,—ერთი თვის ჯამაგირზე ხელს ავიღებ. იგი სოფლის სიწყნარეზეა მიჩვეული და ხმაურობას ვერ აიტანს.

— არა,—ვეუბნები მე,—ჩემი ჯამაგირი ხუთი თუმანია! შენი კი—ათი; წააგებ. თუ მაგას მომიხერხებ, ერთი ერთ სალაროდან გამოვიტან სესხს ხუთ თუმანს (ვითომ მაშინვე მივიღებდი, როგორც განცხადებას შევიტანდი) და შენ გაძლევ არა სესხად, არამედ სანაძლეოს სამუდამოთ.

შევთანხმდით.

ანტონ კოტრიკაძე კონსტანტინესთან გადავიდა.

საწოლი ფანჯრის ახლოს მოუწყვეს.

განუწყვეტელი ხმაურობა ისევ გრძელდებოდა.

„აბა უგლეეეეეირიი",—გაიძახის გათენებამდე მენახშირე.

„ლოქო, ლოქო"!—სასიკვდილო კაცის ხმით გაჰკივის მეთევზე გობით თავზე.

„ეიც... ეიც-ეიც!"—იძახის კვერცხის გამყიდავი და ისე გარბის, თითქოს დაიძახა და ამით თავისი წმინდა მოვალეობა მოიხადა.

— „ქარენი სემიჩკიაააა... ბატი ბუტიაააა!"—დუდუნებს სპარსელი მოხუცი, ინით წვერებშეღებილი.

ყოველ დილას ფანჯარას კომბალი მოხვდება; ანტონ კოტრიკაძე გადაიხედავს და დაინახავს, რომ უზარმაზარი ტანის კაცს წამოუკიდია ტომრით მიწა და ისეთი კილოთი ეუბნება:—წაიღე „სამოვრის" საწმენდი მიწაო,—თითქო გუშინ ყოფილიყო მათ შორის შეთანხმება.

კონსტანტინეს იმედი გაუცრუვდა.

სამსახურის შოვნის იმედით ანტონ კოტრიკაძე ამ მდგომარობას ადვილად ურიგდებოდა და წასვლაზე არ ჰფიქრობდა.

კონსტანტინე თითქოს ყოველ დღე მხვდება ქუჩაში და თავს აღარ მიკრავს.

ოჯახში სავალდებულო გავხადე, რომ ერთი წევრი უსათუოდ იწვეს. ხმა გავავრცელე: ტიფით ავადმყოფობა გაჩნდა ჩემსას-თქო.

ამ გარემოებით დაშინებული, ჩემსას მოსვლას ველარ ბედავენ სოფლიდან ჩამოსული სამსახურის-მაძიებელნი.

მართალია: მე მიშველა ქალაქის კეთილ-მოწყობამ და გვარიანად მოაწყო ჩემი საქმე, მაგრამ ამხ. კონსტანტინესთან კი ვარ ცოტა უკაცრავად, რომ ჩემი ჭირი მას გადავულოცე.

თუმცა ეს მე სასიხარულოდ არ მაქვს, მაგრამ:

**„ღმერთმა ერთი რით აცხონოს, თუ მეორე არ წასწყმიდოს".**

**სიმონიკა.**

# მოზრდილთათვის



მესამე დღეს—ტარტაროზმა გააჩინა ადამი.



მეოთხე დღეს—ტარტაროზმა გააჩინა გასალები.



მეხუთე დღეს—ტარტაროზმა გააჩინა ევა.



მეექვსე დღეს—ტარტაროზმა ადამი და ევა დაასახლა სამოთხეში.



მეშვიდე დღეს ადამმა... მოისვენა საამქვეყნო მოღვაწეობისაგან.

---

## შ ო რ ა პ ა ნ ი

ჩალხია ერთგვარი აქ მოვლინებული
ქეიფში, ჭამაში ღვთით მირონ ცხებული,
გინება ლანძღვაში ცეცხლმოკიდებული,
ყვირილში, გრიალში ვაჟკაცათ ქებული.
ოთხნია, ტოლნია და განა ცუდია?!
ყველას თავს უმშვენებს წითელი ქუდია!
  შრომობენ ძალზედა ოფლი სდით ღვარადა
ისვრიან ფრაზებსა მთა-ველზე-ბარადა.
„მოშორდი ტელეფონს“, „მომეცი ძირულა“
„ვინა ხარ, ეი შენ“ (სჩანს რომ განწირულა),
„ოხ! შენი“—და შემდეგ წამოვა ხმებია...
ათასად ნაქარგი (ყალყზე სდგას თმებია)
და ეხლა ზესტაფონს უყვირის ვიშითა.
„ვანიიჩქა“ კუნჭულში კანკალებს შიშითა.
ყოველდღე ასეა აქ აყალ-მაყალი.
(ამდენს არ იყვირებს მანდ გეო ბაყალი!)
არ გჯერათ? ჩამოდით და ნახეთ თვალითა.
  გზის ფულს ჩვენ მოგვართმევთ ცხადია ვალითა,
თუ თვალწინ დაგიდგესთ შეითან ბაზარი
შენც წამსვე ზოგს მათგანს მოაბი ბაწარი.

წყეული.

# ლევარსი როხროხაძე

## ლევარსი როხროხაძე ხაშურში

წავიკითხეთ „ტარტაროზში" ლევარსის და მისი ოჯახობის განცხადება ლევარსის დაკარგვის შესახებ. დიდი მწუხარება გამოიწვია ამ ამბავმა და ამიტომაც ხალხი შეუდგა მის ძებნას. ზოგი სადგურზე იცდიდა და გამვლელ გამომვლელებს ათვალიერებდა.

უცებ იელვა, იქუხა, შეიძრა მიწა, დაჰკრეს ზარი.

სადგური მაძებლებით გაივსო. ხმაურობა, ჩოჩქოლი, ტირილი, გლოვა და გარეთ წვიმა ერთმანეთში არეული იყო.

თუმცა გვიან, მაგრამ „მაქსიმ გორკი"-ც გვეახლა. მაძებრები დანაწილდენ და ერთი ნაწილი რონოდების ,კარებთან აიტუზა, მეორე ნაწილი კი მეორე მხარაზე გადავიდა: ვინ იცის იქნებ უბილეთო არის და იქიდან გაგვეპაროსო...



ლევარსის მოსვლა „მაქსიმ გორკით" სადგ. ხაშურში.

ყველა წვერიანს ეკითხებოდენ სახელსა და გვარს.

უცებ მოისმა მხიარული ხმაურობა:

— აჰა, ჩემს ლევარსის ვახლავარ!

— ვახლავარ ჩემ იპოლიტეს!

მთელი სადგური დაიძრა აქეთკენ და ათვალიერებდა ბუმბერაზ ლევარსის.

იპოლიტე და ლევარსი ლაპარაკში გაერთვენ.

ლევარსიმ აუწყა თავისი განზრახვა, რომ სოფელს თავი დაანება და ქალაქში მიდის მსუქან ადგილის საშოვნელად.

ამ ბაასის დროს ლევარსიმ მრავალი რამ ახალი გაიგო.

— ასეა, ჩემო ლევარსი, საქმე. ეხლა კიდევ ახალი ამბავი: ხაშურის ცხრა-წლედში მთავრობის კრიზისია: კაბინეტის შედგენა არავინ იკისრა: გამგეების 9 სერია უკვე ვნახეთ ამ ერთ კვირაში.

— მერე და ამდენი ხანია უგამგოდ არის ცხრა წლედი?

ლევარსის სახეზე ღიმილი დაეტყო, წვერზე ხელი გადაისვა და ჩაფიქრდა.

— მოდი ლევარსი გაქებენ და შენ მოჰკიდე ამ საქმეს ხელი!

— ? ? ?.

— რაღას ფიქრობ, ჩემო ლევარსი? კარგი ჯამაგირი, ოთახიც შიგ სასწავლებელში, ხალხი პატიოსანი. მასწავლებლები რამდენიც გინდა.

ლევარსი ჩაფიქრებული უსმენდა იპოლიტეს.

— წამოდი, ლევარსი, ერთი ბოთლი ღვინო დავლიოთ; დეე ,ეს საკითხი გადაკვრითი წესით გადავჭრათ! რას იტყვი? პირი ცხრა-წლედისაკენ!

ლევარსი გაჰყვა, შევიდენ სასადილოში, მოიკითხეს ღვინო: „ხვანჭკარა" ლიმონათით და შეექცენ.

— რას იტყვი, ლევარსი; ეს პროვინცია არის, მაინცდა მაინც დიდი განათლებული ხალხი არ არის. შენი აქ დარჩენა დიდ ნაყოფს გამოიღებს, სასარგებლო კაცი ხარ.

— რა გლახა იღბალი მაქვს, ოხერი,—და მოჰკიდა ღვინით სავსე ჭიქას ხელი,—ყოველთვის წამხდარი საქმის გასაკეთებლად მიძახიან,—და უნდოდა ღვინო გადაეკრა, რომ ამ დროს ფეხებში ვირთხამ დაუწყო არშიყობა.

ლევარსის შიშით ჭიქა ხელიდან გაუვარდა, წამოვარდა და იყვირა:—არიქა, ფეხდასხმაა.. მაჰახელა.. თოფი.. ზარბაზანი.. პულემიოტი.. ტანკა..

ყვირილზე ხალხი შეგროვდა.



ლევარსის შიშით ჭიქა ხელიდან გაუვარდა. წამოვარდა და იყვირა.

ლევარსი არ წყნარდებოდა

— დათვი, ქურდები.. სპილო, არიქა, ჩქარა,—ყვიროდა იგი და გმირულ თვალებს ცეცხლივით ატრიალებდა.

ხალხს შეეშინდა ლევარსის რისხვის და როგორც იქნა, დაწყნარდა. ლევარსიმ და იპოლიტემ განაგრძეს ჭამა, საკმაოდ შეზარხოშდენ.

— დამთაანხმდი, ლევარსი, ხაშური კარგი ქვეყანაა: მრავალი გასათხოვარი ქალები, კლუბი ყოველდღიური წარმოდგენით, კინო, სამიკიტნოები და მეტი არაფერი.

— მე მასწავლებლობა არ მინდა.

მაშ რა გინდა?

— უკეთესი ხელობა, მაგალითად: ვექილობა, კონდუქტორობა, ან და მოლარეობა, ფულბარაქიანი ადგილი მინდა!..

ამ დროს სადგურიდან მოისმა მეორე ზარის რეკა. ლევარსიმ მიატოვა ღვინო, მოახტა მატარებელს და გაჰყვა თბილისისაკენ.

**ხაშურელი შმაილა**

## მგონი ლევარსი იყო

ამხ. „ტარტაროზო“, სწორედ დღეისწორს თქვენ აცხადებდით ლევარსი როხროხაძის დაკარგვის შესახებ.

მე, როგორც დაინტერესებული, ყურადღებას ვაქცევდი და თვალყურს ვადევნებდი მას.

დანამდვილებით არ შემიძლია იმის თქმა, რომ აუცილებლად ის იყო, მაგრამ ბევრ რამეში ჰგავდა, და ამიტომაც ვალდებულად ვსცანი თავი თქვენთვის მომეწოდებინა ეს ცნობა.

გასულ კვირას, სწორედ დღეის სწორს, განათლების მუშაკთა სახლში გიმართა შემოქმედელების კრება, რომელზედაც თათბირი იყო შემოქმედ-ოზურგეთს შუა რკინის-გზის გაყვანის შესახებ...

და ამ კრებაზე მოხსენების შემდეგ გამოვიდა ვიღაც უცნობი, რომელიც თუმცა სავსებით არა, მაგრამ ნაწილობრივად მაინც ჰგავდა ლევარსი როხროხაძეს.

მან სთქვა:

**ამხანაგებო, თქვენ აქ უსაყვედურეთ მომხსენებელს, რომ მოხსენება ძალიან სუსტი იყოო.**

**ეს არ არის მართალი.**

**მოხსენება სავსებით ამოსწურავდა მდგომარეობის დახასიათებას, და თუ, მიუხედავათ ამისა, იგი მაინც სუსტი იყო, ეს მომხსენებლის ბრალი კი არ არის, არამედ თვით თქვენი მდგომარეობის.**

**როცა მდგომარეობა სუსტია, ცხადია, მოხსენებაც სუსტი იქნება.**

**თქვენ გქონიათ რამოდენიმე რელსი (ლიანდაგი) და ამით ცდილობთ რკინი-გზის გაყვანას.**

**ეს ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ ძალაუნებურად მე მაგონდება ერთი თქმულება (და თქვენც ხწორედ ისე გემართებათ):**

**ვიღაცამ, თურმე, გზაზე ცხენის ერთი ნალი იპოვნა. შემდეგ კი ეს კაცი რიხიანად ლაპარაკობდა მეზობლებში, რომ მას სულ მალე ეყოლება ბედაური ცხენი... საამისოდ უკვე გაკეთებულია მთავარი საქმეო...**

**ამბობდა: ეხლა მაკლია მხოლოდ: სამი ნალი, უნაგირი და ცხენიო.**

**ასე ყოფილა ამხანაგებო, თქვენი მდგომარეობაც.**

როგორც კი დაასრულა სიტყვა, მაშინვე დასტოვა კრება. მე მხლოდ შემდეგ მომაგონდა, რომ: შესაძლებელია ეს ლევარსი იყო, მაგრამ გვიან-ღა იყო.

ეხლა კი არ ვიცი თუ სად იმყოფება.

აშის ცნობა იმიტომ გავბედე, რომ ხალხში ხმები დადის, თითქოს ლევარსი თბილისში იყოს.

**ყიმეთი.**

**„ტარტაროზი“ ყველას მადლობას უძღვნის, ვინც კი რაიმე ცნობა მოგვაწოდა ლევარსი როხროხაძის შესახებ.**

**საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ ლევარსი ჩვენი აგენტების მიერ ახლო ხანში იქნება ნახული და საზოგადოება ნუ ჩავარდება დიდ მწუხარებაში.**

---

## აჭარ-სტიპ-ბიურო

ჩვენ აჭარიდან მოვედით
მუშფაკში მსმენელებია,
ჩამოვიტანეთ ჩვენ-ჩვენი
შარტო, საბანი, ლებია.
გვითხრეს: ქალაქში რომ ჩახვალთ
**ბიურო არის იქაო**
**თუ სტიპენდია არ მოგცენ**
**გააძვრე ისულმთლად სიქაო.**
მაგრამ წევრები (როგორც სჩანს)
ერთმანეთს ამხანაგობენ.
**თქვენც ცოტა მოითმინეთო;**
ჩვენ ამ სიტყვებით გვამკობენ.
ხშირად აწყვია ფულები
დალოცვილ სალაროშია.
მაგრამ ჩვენ თუ კი მოვსთხოვეთ,



მაშინ არ არის გროშია.
არ არის ჩვენი ბიურო
ჩვენთვის საქები დიდია,
თვითეულ წევრებს კისერში
ხუთი „ღალსტუკი“ ჰკიდია.
ჩვენ გვკვებავს ტკბილი სიტყვებით,
თვითონ კი მაძღრად იძინებს;
იმ კვირას დალოცვილებმა
პორტფელიც კი შეიძინეს.

**სულეიმან შავი-ოღლი.**

## სისინი

**ჩოხატაურისათვის**

კარგი ხანია წერილი,
რომ აღარ დამიწერია.
არ გივარგაო მაცნობეს
საწერათ კალმის წვერია.
მეც ჯავრმა გული დამიდნო
მოუშვი თმა და წვერია,
ვფიქრობ, რაც გავჩდი მას შემდეგ,
იქნება ასი წელია.
ზოგი მიყვირის და ზოგი,
მკბენს ჩუმად როგორც მელია,
და ზოგი სიტყვებს გალმომკრავს;
უთმინო—ესეც ძნელია,
ბოროტის გული არ ძღება,
შხამს ანთხევს როგორც გველია
და მითი ფიქრობს დაჰფაროს
საქმე შავი და ბნელია.
სული რომ კიდევ მიდგია
ვერ ითმენს მეზობელია;
დროს უცდის სახელდახელოს,
როდის გამომჰკრას ყელია...
კვლავ ამოძრავდა ბინძური
ორი ყმაწვილის ხელია;
ორ სკამზე მჯდომნი, რომლებსაც
არაფრის აღარ სრცხვენია...
ვისზე ვსწერ კარგად მისვდება
ნაცნობი წამკითხველია,
ყალბი „დანოსის“ დამწერი,
გონებით ჰკუათხელია
გაიძვერაა აშკარა,
მრავალი ცუდის მქმნელია;
ყველანი ხედავს, მაგრამ ჯერ
არავის გაუმხელია.

და ამის შემდეგ ტარტაროზ,
სათქმელად რა დამრჩენია?
ქიშპობა-გაიძვერობა
არსებობს უეჭველია...
და გთხოვთ, სოფლებსაც ესტუმრო
ნახოთ რაც გულის მწველია,
რომ ბოროტ სულებს უნდობლად
ჩაჰკრათ ჩანგალის წვერია!

**ალა ოსმან.**

## სახლის პატრონი

მდგმურებს ქალაქსა თბილისში
ვერათუ უბნის მხარეში
გვიკლებს და აღარ გვასვენებს
სახლის პატრონის თარეში.

ფიცხი არ არის, დღეს საშა
როგორც „ნიკოს დროს“, სჩვევია,—
მაგრამ ტკბილ ენით ის მდგმურებს
ვით მელა-კუდა გვჩვევია.

გვითხრა:—კეთილი კაცი ვარ,
არ მსურს მდგმურებთან ჩხუბიო,
რა საჭიროა მეჭიროს
ხელში ფარი და შუბიო.

არ შემაცვლიოთ მე თქმენზე
ჩემი კეთილი გულიო,—
და ჯამაგირი მე თქვენი
უნდა მაძლიოთ სრულიო.

ასე სჭირდება ჩემს ხარჯებს,
ცარიელი მაქვს დახლიო.
ვინც არ მიიღებთ ჩემს რჩევას,
სჯობს რომ დასცალოს სახლიო.

თუმც ჩვენი სახლის პატრონი
„სპეცი“ და ბუღალტერია
მაგრამ ასეთი იტოგი“-ს
მაინც ვერ დაგვიჯერია.

ტარტაროზ, ეხლა დაგვჭირდა
ჩვენ შენი სამსახურია,
გაგვაგებინეთ სიმართლე
გთხოვთ თორმეტამდე მდგმურია.

**ტყის ასული.**



# „უზნეო ბავში“

„გერმანია. ისე გაათამამა მოკავშირეების დათმობამ, რომ იგი ახალშენების დაბრუნებასაც კი თხოულობს“.

უცხოეთის გაზეთებიდან.




რა გატირებს და რა გინდა არ გასაზრდელო?!
ნუ თუ კიდევ გვთხოვ შენ რამეს?.. ო, შენ უზრდელო.
დაიძინე, ნანას გიმღერთ დოუესი და მე..
ნუ გგონია ტირილითა გამოგვტყუო რამე.

# ცხელ-ცხელი ამბები



## რეპერტუარი რუსთაველის თეატრში

### სამშაბათის გაზეთი

(ამონაწერი საგაზეთო ქრონიკიდან)

— „დეზერტირკა“. დღეს, სამშაბათს, რუსთაველის სახელობის თეატრში წარმოდგენილი იქნება „დეზერტირკა“ სამ მოქმედებათ.

### ოთხშაბათის ნომერი

— აზიანის პიესა. დღეს, რუსთაველის თეატრში იდგმება აზიანის პიესა „დეზერტირკა“.

### ხუთშაბათი

— **მხიარული წარმოდგენა.** დღეს, ხუთშაბათს, რუსთაველის თეატრში დაიდგმება მხიარული პიესა „დეზერტირკა“. ბილეთები გაყიდულია.

### პარასკევი

— **კომედია დეზერტირკის ბაზრიდან.** პარასკევს, იდგმება აზიანის მიერ დაწერილი კომედია; სიუჯეტი აღებულია დეზერტირკის ბაზრის ცხოვრებიდან.

### შაბათი.

— **ახალი ტრაგი-ვოდევილი,** სახელად „დეზერტირკა“, იდგმება დღეს რუსთაველის თეატრში.

### კვირა.

— **რუსთაველის** სახელობის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება ახალგაზრდა მწერალ აზიანის ოპერეტკა „დეზერტირკის“ სახელწოდებით.

### ორშაბათი.

— **დღეს, ორშაბათს,** თბილისის თეატრებში, ჩვეულებრივად წარმოდგენები არ იმართება. მხოლოდ, საზოგადოების დაბეჯითებული თხოვნით, რუსთაველის თეატრში წარმოადგენენ ჩვენი მხცოვანი დრამატურგის აზიანის დრამას „დეზერტირკას“.

### საზაფხულოდ.

აკადემიური დრამის თეატრი მიემგზავრება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. თვითოეულ ადგილას, დღეში სამჯერ, წარმოდგენილი იქნება დრამ-კომედ-ვოდევილ-ოპერეტ-ოპერ-პანტომიმა „დეზერტირკა“.

### ახალი კინო-სურათი.

რეჟისორი ზაბოზლაევი ამზადებს დასადგმელად ახალ კინო-სურათს. სიუჟეტი აღებულია დეზერტირის ბაზრის ცხოვრებიდან. სცენარი გადაკეთებულია უძველეს დროის ხალხურ თქმულება „დეეზრტირკადან“.

### ოპერა ახალი.

კომპოზიტორი კოკოლიკი უკვე შეუდგა ახალი ოპერის წერას. ლიბრეტოთ გამოყენებულია ახალგაზრდა პროლეტარულ პოეტის რომანი „დეზერტირკა“.

### ახალი საზოგადოება.

თბილისში დაარსდა სავაჭრო-სამრეწველო-სააქციონერო - საყალთაბანდო საზოგადოება „დეზერტირკა“, რომელიც ხსნის თავის განყოფილებებს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ყველა კუთხეებში.

### — ერიდეთ ყველა —

თბილისში გაჩნდა ახალი სენი, ინფლუენცას სახით. ეს სენი მოედო თითქმის მთელ თბილისს. სენის საწინაალმდეგოდ რუსთაველის თეატრში დაარსებულია საავადმყოფო, პოლიკლინიკა და ამბულატორია.

## ლანჩხუთი

ეს ჩვენი დაბა, ტარტაროზ,
რომ ინახულო ჯერია...
ბევრი გვყავს შენი ერთგული
და ბევრიც დასაჭერია,—
ვისაც ცხონებულ ნიკოს დროს
ხელში მათრახი სჭერია.
მათ შორის მე ერთს გაცნობებ,
ამბავი დასაჯერია.
აღმასკომის თავმჯდომარის
სეხნიაა იგი ძველი;
ცალი ყური მოჭრილი აქვს,
ცალი დარჩა ისევ გრძელი...
და ეს „გმირი“ ვექილობაში
ცნობილია ჩვენში კარგად.
ბევრი „მავნე“ პიროვნება
ციმბირისკენ გადაკარგა.
მაღალია ტანით, ცხვირით
და გამხდარი როგორც ფარგა.
ლანჩხუთიდან საბჭოს „ქებით“
თავი ლამის აიბარგა.
გვესტუმრეთ და პირველ რიგში
უსათუოდ გაგაცნობთ მას,
ვინც ჩვეულა გლეხის ტყავის
მოუხარშავ—უმად ჭამას
მგელი არის,—მისი გვარიც
ამ ცხოველით დაიწყება...
მოსე მწერლის გაზრდილია,
მას არა აქვს დავიწყება. ქვა.



# „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი ჯობდეს მამასა!“

„დეკანოზ იოსებ წერეთელს სურდა შვილი მღვდლათ ეკურთხებინა. შვილმა ვიქტორმა არ დაუჯერა, „ლესნიჩათ“ ეკურთხა და... არც წაუგია“. ნამდვილი ამბავი.




ვიქტორმა გადინადირა
თვის „სალესნიჩო“ ტყიანი;
— შინ მოიტანა ბატები,
ცხვარი და თხანი რქიანი,
თან მოაყოლა გოჭები—
ხორცი აქვს მარილიანი,
ინდაურსა და ქათმებსაც,
მან მისცა დიდი ზიანი.
მიართვა მამა დეკანოზს—
ხუცესი არის სვიანი,

თან მივგორა ტიკებიც—
ღვინოა გემო სმიანი.
შვილმა მიმართა მამასა:
— გაფიცებ ანაფორასო,
გახედე ერთი—ურმებზე
ტიკები როგორ გორავსო!“.
შეხედე—წვერნისკარტობენ
დღეს მომხიბვლელათ ბატები—
და ნუ თუ მამა-ხუცესო
ამას შექმნიდა ხატები?

ხომ სჯობნებია, ლესნიჩი,
დღეს უსაკურთხო ხუცესსო?,
ამის შემხედავს—მამაო,
სიმღერა გააქვს მუცელსო!
ან რას ეტყოდა ხუცესი,
პირზე ღიმ შენათამაში;
სთქვა:—მამას გაუმაძღარსა,
ვხედავ, შვილი სჯობს ჭამაში!

## ცნობათა მიღება



ჩაილურიძეს (ოზურგეთი). თქვენ გვწერთ, რომ მანდ ხშირი ყოფილა ლოთობა და ნარტ-ნარდის თამაში.

მილიცია თუმცა ცდილობს
ეს გმირობა შეანელოს;
მაგრამ ჯერ კი არვინ იცის
ვინ გაიტანს ბრძოლის ლელოს.

და ჩვენც მაშინ მოვათავსებთ თქვენს წერილს, როცა ბრძოლის საკითხი გადაწყდება და ერთ-ერთი ლელოს გაიტანს.

**დიფტიპიტოს** (სამტრედია). თქვენ გვწერთ:

მღვდელ ბესარიონ გელაშვილმა შეკრიბა გლეხები და სახარებით ხელში დაუწყო ლაპარაკი, რომ ეკლესიას პატრონობა უნდათ.

გლეხები ქვეშ-ქვეშ იცინოდენ და სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ ბესარიონის დარიგება, ჭკუის სწავლება; ეს იმ დროს, როცა გლეხები მღვდელს შესაჭმელად უცქერენ“.

აი სწორედ ასეთ შემთხვევისათვის არის ნათქვამი:
**ამაო „მგლის“ თავზე სახარების კითხვა.**



კოლხიდა (ბათომი). ჩვენ სასტიკ პასუხს მოვსთხოვდით მოქ. ვაჩაბერიძეს, რომელიც „არ იხდის დავალიანებას“, მაგრამ იგი უარს არ ამბობს გადახდაზე და ასაღებად გაგზავნის „მაკოსთან გუდაუთაში“. მიდით მაკოსთან,—იქნებ მაკომ გაისტუმროს მისი ვალი.

რაც შეეხება კარიკატურას, ეს ხომ კიდევ ხარჯს გამოიწვევს. ჯერ გადაიხადოს ჩვენი ვალი,—და შემდეგ კი მოვათავსებთ, თორემ მისგან ზარალი და ხარჯი ისედაც ცმარა.

ნ. კორნოვს. თქვენს ლექსებიდან ამოვიღეთ მხოლოდ ეს სტრიქონები:

„ვლესავ მუდამ ჟამს საომრად ჩემსა გრძნობას და ჰკუასა“.

და მიუხედავად მუდამ ჟამ ლესვისა,

„თუ პირი აღარ გამიჭრის, თავზე დავიმტვრევ ყუასა“.

ძალიან კარგსაც იზამთ. გულმოსულობა თუმცაღა მავნებელია, მაგრამ როცა კაცს მოთმინებიდან გამოგიყვანს გარემოება, მაშინ გაიმეტებ თავს,—სხვა რაღა დაგრჩენია.

ხითხითს. სადაური ერთა ლიგა გვნახეთ, რომ თქვენს მღვდელს და დიაკონს შორის მომხდარი დავიდარაბა ჩვენ მოვაწესრიგოთ?

თქვენ გვწერთ:



„მიცვალებულის სულის მოსახსენებლად ცხვარი შემოსწირეს. მღვდელს და დიაკონს გაყოფაზე ჩხუბი მოუვიდათ. ეცენ ცხვარს და დაუწყეს თავისკენ წიწვა. ამ წიწვაში დუმა დიაკონს შერჩა, ხოლო რქები მღვდელსო.

კარგადაც გაყოფილა. მღვდელს ძალიან დაშვენდება რქები. რქების შემდეგ ბევრი გადაკეთება აღარ დასჭირდება, რადგან წვერი გრძელი აქვს და მისგან მივიღებთ ცხვრის მონათესავე ცხოველს.

სხივს (ქუთაისი). საკვირველია: „გრძელ-ენიანობას“ სხვას დასცინით და თვითონ კი ასე გაგიგრძელებიათ საკუთარი.

ერთს წვეთს. არა თუ ერთი,—არც ერთი წვეთი სიცილისა არ არის თქვენს წერილში.

ეს არც ახალი ამბავია და არც კარგი.

„მოდვა“-ს (ქუთაისი). თქვენი ფსევდონის პირველი ასოს მაგიერ დასწერეთ ასო „ბ.“ და მიიღებთ თქვენი წერილის დახასიათებას.

„კუჭის-ძმა“-ს (ქუთაისი). როცა ჭირში ჩავარდით; მაშინ მოგინდათ ჩვენი ძმობა?! როცა ლხინში იყავით, მაშინ რატომ არ გაგახსენდით და რატომ არ მიგვიპატიჟეთ „ნეტარების დროს“?! არა, ძმაო,—ჩვენგან დახმარებას ნუ ელოდებით.

ბატკანს. თუ კი თქვენ გახსოვთ თქვენი წერილის უკანასკნელი სტრიქონი (კინტოს პასუხი), მის უკანასკნელ სიტყვას ასო „ც“ მაგიერ დაუწერეთ ასო „ტ“,— და მიიღებთ. შემდეგ ისევ წაიკითხეთ მთელი წინადადება და მიიღებთ...(თუ გნებავთ) ჩვენს პასუხს.

კიკნას (ქუთაისი). ახირებული ხალხი ყოფილხართ კინო „რადიუმი“-ს მუშა-მოსამსახურენი. თქვენ უნდა გიხაროდეს, რომ „სად. რიონში „ტრაღიკულად გარდაიცვალა ავაზაკების ხელით „ბილეტიორ“ დათიკო ცნობილაძის ფეხსაცმელები“, რომელიც სამი დღის უკან დაუჯდა 37 მანეთი.

კიდევ კარგი, რომ თავი არ მოჰპარეს, თუმცაღა ზარალი მაშინ ღირებულობის მხრივ უფრო ნაკლები იქნებოდა, მაგრამ თქვენ გულს უფრო ეტკინებოდა.

დიკის (ქუთაისი ზდანოვიჩის ქუჩა). შემწვარი გოჭი მიიზიდავს მღვდელ ცინცაძეს და დიაკონ იობა შავგულიძეს კი არა,—ყველას,—და გასაკვირიც არ არის: თუ ესენი გამოედევნენ ბავშებს, რომლებსაც შემწვარი გოჭი მიჰქონდათ სახლში მიცვალებულისთვის ორმოცის საწირავად.





განა თქვენთვის სულერთი არ იყო შემწვარ გოჭს ესენი შეჭამდენ თუ მღვდელი ცინცაძე და დიაკონი მგალობლიშვილი? (სულოცოდვილო, შემწვარი გოჭი მღვდელს და დიაკონს კი არა, ტარტაროზსაც არ აწყენს).

# „კაცთ" სისხლ-მოყვარეობა

„კაცთმოყვარეობის გრძნობა ჩვენ გვაიძულებს დავრჩეთ ახალშენებში".

(ბრიანის სიტყვიდან).




მე აქიდან არ წავალ,—ეს ადგილი კარგია...
სისხლი ბლომად... სისხლი ხომ ჯანმრთელობას არგია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. 68.

ტარტაროზი

№ 44 | კვირა, 11 აპრილი, 1926 წელი. | № 44

## ქორწ[illegible] [illegible]ლი კანონ-პროექტის გამო



დღიურ შრომით დაქანცულს, ღამით ტკბილად ეძინა,—
მაგრამ მწარე სიზმარში ცოლები შეეძინა...

იხ. მეორე გვერდზე: „ძველი ცოდვები".

# ძველი ცოლები

სურათები მრავალი მის კაბინეტს ამშვენებს,
ტელეფონის წკრიალი ჩვენს გამგეს არ ასვენებს,
როს მორჩება ლაპარაკს და გადაშლის გაზეთებს,—
ქორწინების ახალი მას პროექტი ამზეთებს.
წაიკითხავს წერილს და შეუკურთხავს ავტორებს.
ამბობს:—ნეტა რად სწერენ გაზეთები ამ ჭორებს?!—
ნუ თუ აგი ამბავი მართლა დასაჯერია.
და მის თვალწინ გაირბენს სატრფოების სერია:

დღიურ შრომით დაქანცულს, ღამით ტკბილად ეძინა,—
მაგრამ მწარე სიზმარში ცოლები შეეძინა...
ხედავს: თითქოს ისინი, ვისთან „საქმე" ჰქონია,
რადგან ეხლა სხვაგვარი ახალი კანონია,—
ყველა მასთან მოდიან, ახლავსთ შვილთა ლაშქარი...
უძახიან თვის შვილებს: მამაშენი აქ არი.
ესევიან საბრალოს შვილები და ცოლები,
რომლებიც არ არიან ერთმანეთის ტოლები.
ზოგსა მათში სიბერის გარევია ჭაღარა...
მაგრამ ახალ კანონმა დღეს იგი გაახარა,—
და ამიტომღ მოსულა, ძალაც მოუკრეფია,
პატრონობას ავალებს, თითქოს მისი შეფია.

სხვებიც ეუბნებიან: მოიგონე წარსული.
შენგან უკვე მეყოლა მე ვაჟი და ასული.
თუ კი ვზარდე ამდეხანს, აწ ხომ შენი ჯერია...
სამართალთან მიგიყვან. თუ არ დაგიჯერია.
ბავშვებიც მას ესევა:—ეს მიყიდე და ესო...
სიზმარი არ თავდება, გულა იხარი დაესო...
ბოლოს როგორც ელირსა გაელვიძა საბრალოს...
ფიქრობს: ცოდვა ამდენი ცოტა სხვას ვის აბრალოს...

ღმერთს მადლობა შესწირა რომ ეს იყო სიზმარი,—
და ცხადში რომ არ ახდეს ეს სურათი საზარი,
თავზე არა დაატყდეს შემთხვევა რამ ავია
(სიფრთხილეს ხომ არასდროს არა სტკივა თავია),—
გადასწყვიტა ჩვენ-გამგემ, რომ იმ წამსვე წავიდეს,—
რა წამსაც ეს კანონი მიიღონ და გავიდეს.

ისელი.

---

# „პოეტი"

...არა, ბატონო მოსამართლე, მაგი სტყუის; ჩემი ერთად-ერთი დანაშაულება მხოლოდ ის არის, რომ მე შემიყვარდა მაგი უსინდისო და ცოლად გავყევი... თუმცა, ესეც არ ჩაითვლება დანაშაულებად; მოდი-და ნუ შეიყვარებ ქალი კაცს, რომელიც გპირდება: კონტრაბანდ ინდიგო-კოვერკოტის უამრავ კოსტუმებს, ლორიგანს, ლაკის ტუფლებს, რედიკულს, ლორნეტს, თეატრებს და სათეატრო პატარა ბინოკლს, ოთხოთახიან ბინას ხავერდის „ზანავესკებით და ელექტრონის სინათლით, კარეტას და ავტომობილს, მოსამსახურეს და ოქრო-ვერცხლის დანა-ჩანგალს... დიახ! დიახ!.. ყველა ეს მე კი არა, სხვასაც გააბრიყვებდა... მომატყუილა... სასტიკად მომატყუილა... ბატონო მოსამართლე, მეტის მოთმენა მე აღარ შემიძლია... გთხოვთ პირობა შემისრულოს... მე კომპრომისზე შევდივარ, კიდევ მეცოდება მაგი გაჭირვებული, სულრომ რა იყოს, ჩემი ნაქმარევია.. კიდევ მეცოდება და ტყავს ვუთმობ... მაგრამ ნახევარი მაინც გადამიხადოს, რაც დამპირდა...

აქ მაიკომ ველარ მოითმინაა და ატირდა.

— გთხოვთ დამშვიდდეთ—მიმართა მოსამართლემ მომჩივან მაიკოს და შემდეგ შეეკითხა მოპასუხე კოზმა ხვიტაძეს, რომელიც მომჩივნის ლაპარაკის დროს თავჩაქინდრული იდგა და ქვეშ-ქვეშ იცინოდა.

— თქვენ რას იტყვით თქვენი ყოფილ ცოლის საპასუხოთ?

— ჩვენს დროში ბევრი რამ ხდება საკვირველი, მაგრამ ეს კი ყველაფერს აჭარბებს. მართალია ეს ქალი ჩემი ცოლი იყო, მაგრამ „რაზაშლის კაკ ვ მორე კარაბლი".

— ვაი, შენ გაგიწყრა ღმერთი და იესო მაცხოვარი, მაგ პოეტობამ იყო რომ დაგღუპა... ბატონო მოსამართლე, თქვენც სასაცილოდ გიგდებს.

— მე არავის არ ვიგდებ სასაცილოდ და მით უფრო მოსამართლეს, და თუ ვლაპარაკობ არა მხატვრულად, იმიტომ რომ მე სხვა გვარად არ შემიძლია ლაპარაკი. მე მე პოეტი ვარ და ჩემი გამოთქმები ყოველთვის მხატვრული იქნება და არა ისეთი პროზაიკული, როგორიც შენი. გთხოვ ოქმში შეიტანოთ, რომ ეს ქალბატონი პოეტობას დაცინვით იხსენიებს...

პოეტობა, თორემ კიდეც გიბეჭდავენ სადმე შენს ნაჯღაბნ ლექსებს. ქვეყანა გონორარებით გაკეთდა და მაგან კი გემოც არ იცის გონონარის. მისი ლექსის ერთი ასოც არ ყოფილა არსად დაბეჭდილი. სწერს და თვითონ კითხულობს.

— მე ვარ უმუშევარი—განაგრძო ხვიტაძემ.

— იმიტომ ხარ უმუშევარი, რომ არაფრის გაკეთება არ შეგიძლია—წამოიძახა მაიკომ.

— თუ ხელს შემიშლის, მე არაფერს ვიტყვი... დიახ! იმას მოგახსენებდით, რომ მე მაგ ქალთან ცხოვრება არ შემიძლია.



„დუქანში ვესხედით"

— შენ კი შეგიძლია, მაგრამ მე არ შემიძლია.

— გთხოვთ დამშვიდდეთ... ხელს ნუ უშლით...

— მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ეს ქალბატონი გამოსულა აქ და, ღმერთო ჩემო, რას არ თხოულობს... როდის იყო რომ მე მაგის რამე მემართა, როდის იყო, რომ მე მაგას ხელწერილი მივეცი ასე და საე გაცხოვრებ მეთქი... თუ კი მე ამას დამიმტკიცებს ხელწერილით, მე თანახმა ვარ გადაუხადო... თორემ ცარიელი და ზეპირი სიტყვით მტკიცება, ეს ხომ, თქვენც კარგად იცით, ბატონო მოსამართლენო, მხედველობაში არ არის მისაღები... ეს მეც კარგად ვიცი, რადგან სამი წელიწადია იურიდიულ ფაკულტეტის პირველ კურსზე ვარ და ეს კარგად მახსოვს, მე ამით ვასრულებ ჩემს სიტყვას, წარმოადგინოს დოკუმენტები, ხელწერილი და შემდეგ ბატონი ბრძანდებით.

— დოკუმენტები და ხელწერილი გინდა? მაგის მეტი რა მაქვს... აჰა ინებე—და მაიკომ უბიდან ამოალაგა ქაღალდების დიდი შეკვრა.

ხვიტაძეს დასცხელა:—ვაი, თუ რამე ყალბი დოკუმენტები შეადგინა?. მაგრამ ლონდონში არ ყოფილა და როგორ მოახერხებდა-ო.

—გთხოვთ მომისმინოთ, ბატონო მოსამართლენო— და მაიკომ აიღო ერთი დოკუმენტი.

აი, უყურეთ, რას მპირდება აქ:

დღეებს ვალამებ, ღამეს ვათენებ შენზე ფიქრებში...
მრწამს მე ვიქნები უკეთესი შენს ტოლთა ქმრებში.

აი, ბატონო მოსამართლენო, რას მეუბნება, რას მპირდება ამ სიტყვებით.

— ყველაზე უკეთესი ქმარი მე მეყოლება... თვალებს დაუმსებ ჩემს ამხანაგებს... ისინი შენატრებენ ჩემს ბედს... მეტყვიან: „რა ბედნიერი ქალი ხარ, მაიკო, რომ ასეთი ქმარი გყავს... დიახ! ასე ვფიქრობდი მე უბედური, როცა ამ ლექსს წავიკითხავდი.

ეს ერთი... აგერ კიდევ ვნახოთ.

დავიწერთ ჯვარს ჩვენ: პრინცი, პრინცესა
და კარნავალი გაივლის რაშით.
ყველა იკითხავს: ვინ არის ესა?
და შემოგვეგებება ხალხი ჩვენ ტაშით.



უფასო კინო

— დედა... დედა... დედა.... ხედავ რა სურათია? ჩვენ კი არა,—მეფეებიც ვერ ეღირსებიან ასეთ ჯვარის წერას....

ეს მეორე... ეხლა ეს.

ნიკელის ტახტი... თეთრი ლოგინი
ახლოს ელექტრო და აბაჟური...
მე აღარ ძალმიძს მეტი ლოდინი,
და ტანზე ამდის ვნების ალმური.

უკაცრავად, პატონო მოსამართლენო, შეიძლება ეს ცოტა უცენზორო იყოს, მაგრამ ასე კია-და. ამ ლექს აღარ გავაგრძელებ და გადავიდეთ შემდეგზე.

და გადვიხდი ქეიფს შენს სახელის დღისას.
სუფრას დავამშვენებ ყელზე ბრილიანტით.
მოგილოცავ მრავალს ძვირფას ქვებით ქისას
და მეც დაგამშვენებ ყელზე ბრტყელი ბანტით.

ა.... ა... მეტი არც კია საჭირო... ხედავთ რა ნეტარებაა? თითქოს ჩემი ქმარი წარმოკავშირში მსახურობდეს და ფულები თავზე საყრელად ჰქონდეს და ისე იქცეოდეს, როგორც ეხლაც ბევრი დიდ თანამდებობის პირები იქცევიან.

აჰა კიდევ:

ლოჟაში ვართ... ჩვენებრ კარგი სხვა არ არის ასე მჯდარა.
აეხადა სცენას ფარდა... კულისებში ისმის ზღერა.
ჯერ ლორნეტი მოიშველე, მას ბინოკლი მიაშველე.
ვიგრძენ ჩვენი „დიდკაცობა" და ბოხის ხმით ჩავახველე.

ხედავთ? თითქოს ოპერაში ისხდეთ და უსმენდეთ „დაისს". ჩვენ კი ლოჟაში ვისხდეთ და ყველა ჩვენ გვიცქერდეთ.

—კარგი, კმარა....

—უკაცრავად, უკაცრავად... კიდევ ერთი.

ნუ უცდი ტრამვაის... მძულს მე ეს ხმაური...
ჩაჯდომას უნდება აური-ზაური.
რელსიდან ვარდება,—არც კი ღირს შაური.
მზად არის კარეტა და ავტომობილი...
დღეს იმით დაჰქრიან: „დობილი", „ძმობილი",
შენც იცი საჯდომი შიგ არის რომ რბილი.

აი, ბატონებო, რა სჯობია ამას?! მე არც კი ვიცოდი —ავტომობილის საჯდომი რბილი იყო თუ მაგარი, რადგან შიგ არ ვმჯდარვარ არასოდეს, მაგრამ შევიფერე თითქოს ვიჯექი და კიდეც ვიცოდი რომ ავტომობილის საჯდომი რბილია.

მე კიდევ ბევრ დოკუმენტებს და ხელწერილებს გიჩვენებთ, მაგრამ მგონი საჭირო არ არის...

ეხლა გთხოვთ—შეეკითხოთ კოზმა ხვიტაძეს: ეს მისი ხელებით არის დაწერილი თუ არა?.. ბიჭია და ივაროს... ანგელოზებს დაუფეთებ... ა? რას იტყვის?—და მაიკომ მრისხანე თვალებით შეეკითხა მოპასუხეს.



„კერსინკამ" დამამპლექა

— მე არ უარობ... ეს ჩემი ნაწერია...

— ხომ ცნობ ამ წერილებს—არ ეშვებოდა მაიკო...

— ვცნობ ყოველ მხრივ: „დე იურე", „დე ფაქტო".

—ჰო-და თუ კი ცნობ, ამას განაღდება არ უნდა? სად არის შენი პირობა? როგორ მაცხოვრებდი? ბატონო მოსამართლენო, მე ეხლა უნდა გიამბოთ, თუ როგორ ვცხოვრობდი მაგის ხელში.

ნაცვლად იმისა, რომ ეკლესიაში დამეწერა ჯვარი დიდი ამბით, მან წამიყვანა ზაქში, ვიღაც მისებრ გაფხეკილი სტუდენტი დაისწრო და ხელი მოვაწერეთ.

როგორ წამოვედით... ავტომობილი და კარეტა კი არა, ტრამვაის ფული ჩემელის აფთიაქამდი ეყო და მერე კი ფეხით გაუდექით ვაკესკენ, მაგის კარნავალი და ტაში ის იყო, რომ მწყნეთის ქუჩაზე ვირებმა გაგვიმართეს თორმეტ საათის ყროყინი.

როგორი იყო ჩვენი ბინა და ლოგინი.

ერთი ბნელი ოთახი, უკაცრავად, ოთახი კი არა, საკუჭნაო. ერთი ფიცრის „კუსეტკა", ორი „ტაბურეტკა" და ერთი ფიცრის სტოლი, რომელსაც სამი ფეხი ჰქონდა და რომ არ წაქცეულიყო, თაროზე ჰქონდა კიდე ჩამოდებული.

დილით დაკონკილ საბნიდან ძლივსღა გამოძვრებოდით.

ეს ნივთებიც სახლის პატრონის ყოფილიყო, და როცა წაიღო, ჩვენ „ტლინკვად“ დავრჩით. ხმელა პურს ვსჭამდი და ისიც იატაკზე თათრული წესით.

საღამოობით მეტყოდა:

— აბა, მაიკო, წავიდეთ კინოში—მეც სიხარულით შევხტებოდი,—და წავიდოდი.

დავყიალობდი რუსთაველის პროსპექტზე, როცა დაბნელდებოდა, გავჩერდებოდით „ზარია ვოსტოკას“ წინ და ვუყურებდით ქუჩაში სარეკლამო განცხადებებს. ხანდახან თუ გამოერევოდა რამე სურათი: დემონსტრაცია ან ფიზკულტურა.

ეს იყო და ეს მთელი ჩვენი დროს ტარება და თეატრებით გართობა.

უფასო კინოზე ქვეყანას დავპატიჟებ...

ელექტრონი კი არა, ლამპის შუშაც არ ჰქონდა. „კერასინკამ“ დამაჰლექა; ნავთის ფულიც არ იყო.

ჩვენთან სტუმრები კი არა, ვირთხებიც არ შემოდიოდენ, რადგან პურის ნამცეცს ვერ ნახავდენ ვერსად.

სიკეთე თქვენ გაქვს,—ჩვენ კი დავდიოდით სტუმრად, იქნებ სადმე საჭმელს „წავაწყდებოდით“.

თეატრი კი არა, „კინო გლობუსშიც“ ვერ წამიყვანა, რომ „ბაღდადელი ქურდი“ მენახა.

ავტომობილი და კარეტა კი არა, ტრამვაიში ჩაჯდომა მომენატრა, ფეხის გულს ტყავი გადამძვრა სიარულით.

ერთი სიტყვით, კოზმა ხვიტაძემ მე ყველაფერში მომატყუილა, დამპირდა და არ ამისრულა.

ამისათვის გთხოვთ მისი ხელწერილის თანახმად დააკმაყოფილოთ ჩემი სრულიად სამართლიანი მოთხოვნილება...

— მე სახელის და გვარის მეტი არაფერი გამაჩნია, სახელს ვიტოვებ, მხოლოდ გვარს თქვენ გაძლევთ და დაკმაყოფილდით ხვიტით.

ჭინჭარი..

# „გახსნილება“

## რომანი

განშორებოდა იგი ქალაქსა
და წუთი სოფლის უკუღმა ბრუნვას,—
და სადღაც მისთვის ის შესდგომოდა
საიმქვეყნიოდ თვის სულზე ზრუნვას.

ადამიანთან მას გაეწყვიტა
მეზობლობის და კავშირის ძაფი,—
და ბინის კრიზისს მისთვის მიეცა
გარე-უბანში ბნელი სარდაფი.

იქ აკეთებდა: მაგიდებს, სკამებს
და შაბათობით ჰყიდდა ბაზარზე.
დაბრუნდებოდა და დაიწყებდა
ღმერთის ლოცვას და კურთხევას ჯვარზე.

II

მარტია.... თვეა ის გაზაფხულის,
მაგრამ იანვარს რით ჩამორჩება?!
ისევ სიცივე... ისევ თოვს და ჰქრის...
(ნეტა ზამთარი როდის მორჩება).



„ო, შემიბრალეთ, გამიღეთ კარი“,

ცეცხლი უნთია ბუხარში დიდი...
კარები შიგნით ჩაურაზია
და რას დააკლებს დურგალს, რომ ქარი
კარს ეხეთქება განაზრახია!

იჯდა ბუხართან და თვალწინ უდგა
ბაზარში ქალი რომ დაინახა...
ქალმა რომ ჰკითხა მაგიდის ფასი,—
ვერ უთხრა, ისე გაუშრა ხახა.

და ამ ფიქრებში მას გაახმორა,
და ვნებამ დაჰკრა მას ტანში „ტოკი“...
მაგრამ საჩქაროდ ვნების საქრობად
პირზე მოიდო წყლის სავსე დოქი.



კართან მეტოქი ატუზულიყო.

ღალია წყალი—დავრილდა კაცი
გადაისახა სამჯერ პირჯვარი...
და ამ დროს... ჩუმად... ისმის კაკუნი:
„ო, შემიბრალეთ, გამიღეთ კარი“.

თმა აებურძგლა შიშისგან მოხუცს
და გაუშეშდა ორნივ თვალია,—
მაგრამ ასეთ დროს გაჭირვებულის
დახმარება ხომ მისი ვალია.

გააღო კარი... და ქართან ერთად
სახლში შემოდის გოგო პატარა,
რომელიც ბედმა თუ უბედობამ
სხვების კარის-კარ დიდხანს ატარა.



აკვანთან იჯდა ქალი—„ქრისტინე".

### III

— შემოდი, შვილო... დაჯექ ბუხართან
გაითბე ტანი გაცივებული...
როგორც გეტყობა უსახლკარო ხარ,
გადმოხვეწილი, მიტოვებული,—

— დიახ! არავინ აღარ მყავს სოფლად,
მოხუცსა მშობლებს დღეს ფლობს საფლავი.
ეს სთქვა გოგონამ და მწუხრისაგან
ცრემლით აევსო თვალები შავი.

— ნუ სტირი, შვილო... შვილად მიგიღებ
და შენც მიმიღე როგორც მშობელი...
გამოვექეცი მეც წუთი სოფელს
და იქ ცხოვრების მეც ვარ მგმობელი. —

### IV

ქამწ[illegible] ეამს [illegible]... და გაიზარდა
[illegible] ბავში...
[illegible] ღამეა... [illegible]
(ვით [illegible] ჩვენს დროს). [illegible]
[illegible] არის... [illegible]
[illegible] იძინებს
და ძის მახლობლად იქვე დურგალი
მაგიდის ფეხებს აშალაშინებს.

—:—

გადასძრობია. ქალსა საბანი...
ნანაობს მისი ბროლის გულ-მკერდი,
უცქერს მოხუცი და ასე ფიქრობს:
— მე არ მეღირსა ისე დავბერდი—
და დაეკონა მძინარეს ვნებით
გადაავიწყდა ღმერთი და ჯვარი...
გამოეღვიძა შიშისგან ქალსა,
მაგრამ გვიანი იყო აწ ვარი.

მიუალერსა და ანუგეშა:
— ასეა ჩვენი წუთი-სოფელი!
ადამიანი ვერ გაექცევა
მის ადათ-წესებს მასში მყოფელი.
კართან მეტოქე ატუზულიყო,—
რა ეს იხილა,—მას ელდა ეცა.
— წყეული იყავ, კრულო მოხუცო,
ეს ქალი ჩემთვის მინდოდა მეცა. —

### V

გავიდა ხანი... და ცხრა თვის შემდეგ
აკვანთან იჯდა ქალი—„ქრისტინე"
და უმღეროდა შვილსა ნანინას:
— ჩემო ბიჭიკო, ტკბილად იძინე.

„ვაიზინტი".




გუშინ, დღის 12 საათზე, „ტარტაროზმა" მიიღო შემდეგი ტელეფონოგრამა:

ლევარსი როხროხაძე აღარ არის. მან ვერ გადაიტანა კუჭის ოპერაცია და განუტევა სული.

მიცვალებული მოთავსებულია...

აქ კი ტელეფონში ლაპარაკი შეწყდა... მრავალჯერ გამოვიძახეთ ცენტრალური სადგური, მაგრამ ამაოდ: არაფერი არ ისმოდა.

სხვა რაღა დაგვრჩენოდა: გავაგზავნეთ სპეციალური აგენტი, რომელმაც დაიარა თითქმის ყველა საავადმყოფოები, მაგრამ მაინც ვერაფერს შედეგს მიაღწია და კუდ ამოძუებული ისევ რედაქციაში დაბრუნდა.

გაბრაზებული ტარტაროზი თვითონ წავიდა ამბის გასაგებად... ველოდებით მის დაბრუნებას,—თუ რა ამბავს მოგვიტანს.

„ტარტაროზი"-ს რედაქცია.

წ. შ. ამ თავზარდამცემ ამბის შემდეგ, ჩვენ ხალისი აღარ გვაქვს ანდა რა საჭიროა, როცა ჩვენზე ასეთი უბედურება ტრიალებს) მოვათავსოთ ჩვენი აგენტების და შემდეგ ნომერში ყველაფერს ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს. ემზადეთ სატირლად და სამგლოვიაროდ. არც ერთი წვეთი ცრემლისა არ დახარჯოთ ტყუილ-უბრალოდ, შეინახეთ, მოიმარაგეთ ძალზე დაგვჭირდებათ: ლევარსი როხროხაძე აღარ უნდა იყოს.

„ტ". რ.

# ქორწინების კანონი

ჯერ პატარა შესავალი:

ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ მან კეთილი დღე ვეღარ ნახა, დაიწყო ხერე-ქვერე უგუნებობა და ბოლოს ლოგინს მიეკრა.

ან კი რა უნდა ჰქონოდა საკეთილო?

ჯერ იყო და ამ ღვთისაგან შერჩვენებულმა კომუნისტებმა მრევლი გადაურიეს, საყდარზე ხელი აალებინეს ხალხს, სულის საქმე შეუბილწეს და თუმცა კი რა სათქმელია ასეთი უმნიშვნელო რამ, მაგრამ.... საკურთხები და საწირავები დაუკარგეს. მერე იყო და „სობოროს" კლუბად გადაკეთება მოუნდომეს, ფლავიანს გასაღები ძალით ჩამოართვეს და თვითონაც ჯიუტობისათვის მიაბრძანეს როგორც თვითონ ამბობდა „სასუფეველსა ცათამცულთასა", საერო სიტყვით რომ ვსთქვათ—ჩეკას სარდაფში.

მერე იყო და თვით ფალიანის თანადასწრებით ჩამოათრიეს სობოროდან ყველა ხატები, კომსომოლებმა პირჯვარიც კი არ გადიწერეს, ისე გამოზიდეს წმინდა ჯვარცმანი და სახარებანი, ზოგს ფეხით შესდგენ, ზოგი გახიეს, ზოგი ისროლეს. და ყველა ამას თავისი თვალით უყურებდა მამა ფლავიანი.

ბოლოს, როცა გამოირკვა, რომ ეკლესიის განძს ბევრი რამ აკლდა და მრავალი ნივთი „ჩაიმასქნილიყო", ფლავიანს მეტეხის კედლებიც ალესინეს. (ღვთის წინაშე ფოფოდიამ კი გააბრიყვა და გადაამალვინა სულ ერიოდე თვალმარგალიტი, ზოგიც სიოსის უბანში გააყიდვინა).

მეტეხში ფლავიანმა დიდი სულიერი ტანჯვა გამოიარა, სხვა ყველაფერს რომ შერიგებოდა, ცილის წამების ატანა მისთვის მაინც შეუძლებელი იყო. ეკლესიის ნივთების მითვისება დააბრალეს... ღმერთო ჩემო,.. ჩვენში დარჩეს და მან გაყიდული ძვირფასი ნივთები მხოლოდ ღვთის სამსახურის საქმეს მოახმარა. რამდენი რამ სჭირია ჩვენს დროში ფარულად ღვთის სამსახურს? და ისიც მაშინ, როცა არავითარი დასამტკიცებელი საბუთი არ არსებობდა.

ამ წყეულმა ჩეკამ საიდან მიაგნო კვალს? ფლავიანი არ გამოტეხილა, მაგრამ მეტეხი მაინც ალესინეს... სად არის კანონი და სამართალი? განა ცხონებული მეფე ამას იზამდა?

ყველა ამან ფლავიანის გული დალია, ჰალარა გაუმრავლა, მუცელი დაუპატარავა და სახე დაუღარა.

ამას დაუმატეთ ფოფოდიას ღალატიც... გათხოვდა ის უპირო დედაკაცი, „მშაჩით" გაჰყვა გაკრეჭილ ნახუცარს არქიფო ტაბლაძეს, რომელიც ახლა გლავბუხათ არის ქალაქის ერთ დიდ დაწესებულებაში და კეთილ ცხოვრებას ეწევა.

ერთის სიტყვით, მიწიერი ყველაფერი დაკარგა მამა ფლავიანმა და მეტეხიდან უკვე მიხწნეული გამოიყვანეს.

მისი დღეები ლოგინზე ითვლებოდა, წამლისა და საჭმელის ფულს ღვთის ერთგულად დარჩენილი მევობრები უგროვებდენ, თვითონაც ხშირად იკრიბებოდენ მის პატარა ოთახში და მსჯელობდენ ქვეყნის უკულმართობაზე, სწყევლიდენ ბოლშევიკებს და სიტყვას სდებდენ, რომ საფლავში გაუკრეჭავად ჩავიდოდენ, რომ სამოთხეში პირნათლად წარსდგომოდენ გამჩენელ ღმერთსა და ძეღვთისას ქრისტესა ჩვენსა ამინ...

ფლავიანი უკვე მომაკვდავი იყო, როცა ვარძიელმა ქორწინების ახალი კანონ-პროექტი შეიმუშავა, ნაძალადევში საჯარო კრებაზედაც კი წაიკითხა და ამის გარშემო აურ-ზაური ასტეხა. გაზეთებში გაიმართა კამათი, ყველამ მხარი დაუჭირა ამ კანონს. ერთი სიტყვით ახლოვდებოდა ქვეყნის წარწყმენდისა და მეორეთ მოსვლის ჟამი.

ამან სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მთელი სასულიერო კრება და მომაკვდავ ფლავიანის დღეც შეამოკლა. გარდაიცვალა მამა ფლავიანი.... ღმერთმა მოჰკითხოს მის დამღუპველ ბოლშევიკებს სამაგიერო პასუხი...

ფლავიანი დიდის პატივით დაასაფლავეს და შემოსილმა მღვდელმთავრებმა დალუქული და ბეჭედდაკრული პაკეტი ჩააყოლეს კუბოში, ქრისტეს მისამართით, რომელშიაც აწერილი იყო ღვთისმშობლის წილხდომილ საქართველოს გაჭირვებანი და კომუნისტების ურჯულოებანი. მღვდელმთავარნი სთხოვდენ ქრისტეს —„მოხედოს ქვეყანასა დატვირთულსა და გარდამოავლინოს რისხვანი ღვთისა ურჯულოთა მათ ბოლშევიკებსა ზედა". კონვერტში იყო აგრეთვე ნარკომიუსტიდან მოპარული ქორწინების კანონ-პროექტის ასლიც.



ოკის.

# მე და აგენტები

მე, როგორც ადგილკომის პასუხისმგებელ მდივანს, საქმე მქონდა სხვადასხვა აგენტთან.

ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ გავხდი ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი.

ჩემი წინამორბედი სუსტი გამოდგა და „გადაირჩიეს". ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მან ვერ გაატარა სისწორით ის ხაზი, რომელიც უნდა გაეტარებინა. მოვიყვან სანიმუშოდ ზოგიერთ სუსტ მხარეებს მისი მუშაობიდან:

მას ევალებოდა გამოენახა საერთო ენა ადმინისტრაციასთან და ნაკლები შეხლა-შემოხლა ჰქონებოდა.

ადმინისტრაციამ დაითხოვა ერთი თანამშრომელი, იმიტომ. რომ მან აიღო და უარი სთქვა ადგილის გადანაცვლებაზე. პასუხისმგებელმა მდივანმა იმის მაგიერ, რომ ადმინისტრაციისთვს მხარი დაეჭირა, აიღო შრომის კოდექსი, მონახა შიგ მუხლები 37 და 89 და დაასაბუთა: ადმინისტრაციას შეუძლია ამ შემთხვევაში დაითხოვოს თანამშრომელი, მაგრამ 15 დღის გაუფრთხილებლობის უნდა მიეცეს თანამშრომელსო. შეიქნა დავი-დარაბა, დაინიშნა, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის სხდომა და ადმინისტრაციამ თავისი გაიტანა. აქედან ცხადია: ადგილკომის პასუხისმგებელ მდივნის პოლიტიკა შემცდარი იყო. რა ვუყოთ, რომ კოდექსში ასე ეწერა; მას უნდა სცოდნოდა, რომ თუ ადმინისტრაციამ მოინდომა თავისას გაიტანს.

მოსამსახურეებს არ მისცეს ერთი თვის ჯამაგირი, ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი გაექანა სასამართლოში, მართალია: საქმე მოიგო, აღმასრულებელი ფურცელიც აიღო, მაგრამ ფურცელი ფურცლად დარჩა და ამ საქმეს ტყვილა-უბრალოდ დაერქვა კონფლიქტი. ერთი სიტყვით, ძველმა მდივანმა ვერ გაითვალისწინა, რომ „კამეჩის მოპიდავე ხარს რქები არ შერჩება".

კავშირმა დააგდო მდივანს, საწევრო ფულები კი არ გამოერიცხა ჯამაგირიდან, როგორც ეს წინად ხდებოდა,

არამედ კავშირის ყველა წევრს თითონვე უნდა შეეტანა ნებაყოფლობით და შეგნებით. ცხადია: ყველას არ შეჰქონდა წესიერად და კავშირმა იზარალა: რა ზომები მიიღო ყოფილმა მდივანმა?—თითქმის არაფერი. გააკრა კედელზე განცხადებები: „შეიტანეთ დროზე კავშირის ფული“, „მოიხადეთ კავშირის მოვალეობა“ და სხვა; ამან ნაყოფი ვერ გამოიღო.

ერთი სიტყვით, არჩევნების წინ ცხადი გახდა, რომ მისი საქმე წაგებული იყო. მართლაც საერთო კრებაზე წამოდგა დაწესებულების უფროსი, დაასახელა ჩემი კანდიდატურა და თუმცა იგი არც თავმჯდომარე ყოფილა და არც მდივანი, შეუდგა ხმების თვლას. არც ერთი ხმა ჩემს წინააღმდეგ არ ყოფილა, და არც არავის შეუკავებია თავი.

ჰო და ასე გავხდი ადგილკომის პასუხისმგებელი მდივანი.

გამოვნახე საერთო ენა ადმინისტრაციასთან.

დაწესებულების უფროსი იღებდა სამსახურში თავის ნათესავებს, მეგობრებს და გვარის კაცებს. ზოგი ამ მოვლენას პროტექციას უძახოდა. ჩემის აზრით კი აქ არაფერი გასაკვირი არ არის. უნდა ყველამ კარგად იცოდეს: „ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო“. მართლაც: დაწესებულების უფროსი გიჟი ხომ არ არის, რომ გარეშე მიიღოს და თავისიანი ულუკმა-პუროდ დასტოვოს! „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს“.

შრომის კოდექსი მეც ისევე უარვყავი, როგორც ადმინისტრაციამ და ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენ შორის არავითარ კონფლიქტს ადგილი არ ჰქონებია.

კავშირში ფული წესიერად შედიოდა. დავავალე ჩვენს ბუხჰალტერს, რომ გამოექვითა ყველასათვის ყოველნაირი გადასახადი. ასეც ხდებოდა. არც მოწოდება დამჭირდა და არც ხვეწნა ამისათვის. ერთი სიტყვით საქმე ჩინებულად მიდიოდა. არც ერთი საყვედური ჩემს წინააღმდეგ: ვისაც ღებულობდენ, იმათ რა ჰქონდათ ჩემს წინააღმდეგ, ვისაც ითხოვდენ უკანონოდ, ისინი რას დამაკლებდენ, ჩვენთან ბუნებრივად სწყვეტდენ კავშირს.

—:—

ერთ დღეს ჩემი მყუდროება აგენტებმა დაარღვია:

შემოვიდენ წიგნების, ჟეტონების, ბელადთა სურათების გამყიდველთა აგენტები.

მე ამ მოვლენამ დამაბნია და ყველა მეორე დღისათვის დავიბარე. მოვნახე ადგილკომის ყოფილი პასუხისმგებელი მდივანი (დამავიწყდა აღმენიშნა, რომ ის ჩვენგან დაითხოვნილია) და ვსთხოვე ერჩია რაიმე, თუ როგორ მომეშორებია თავიდან ეს ხალხი. მან გულიანად გადაიხარხარა.

— ალბად გაუგიათ, რომ იქ აღარ ვარ, თორემ ვერ შემობედავდენ“.

დაწვრილებით მოვისმინე მისი რჩევა-დარიგებანი და მეორე დღეს წელ-გამართული გამოვცხადდი დაწესებულებაში.

დილის 10 საათზე მოვიდა ჩემთან მაღალი, ქერა ახალგაზრდა, ოდნავ ზევით აწეული ცხვირით და უზარმაზარი პორთფელით ხელში. ჩვენი დაწესებულების ქალთა წრეში მისმა გამოჩენამ ფაცი-ფუცი გამოიწვია. ყველამ მოიმარჯვა პუდრი და ტუჩების საღებავი.

აგენტი საქმეს შეუდგა.

— მე ვარ—დაიწყო მან „ესეროს კისტრპომ პრომის“ წარმომადგენელი, ვავრცელებ ლიტერატურას, ჩვენი ჟურნალი „ხოსკონტრი“ ყოველ-თიურია, წელიწადში ღირს 30 მანეთი; თქვენ დაწესებულებაში ყოფილა 65 კაცი, ყველამ უნდა გამოიწეროს; ამას გარდა ადგილკომისათვის 5 ცალი, სულ 70 ცალი. ეხლა თქვენ უნდა ჩამაბაროთ მხოლოდ 700 მანეთი, დანარჩენი 1.400 მანეთი ორი თვის განმავლობაში.

აგენტმა ქვითარი ამოიღო და ნომერი დაუსვა...

— მოითმინეთ!—გაისმა ჩემი დამშვიდებული ხმა—თქვენი მანდატი?

აგენტმა არშინ-ნახევრიანი მანდატი ამოიღო. მე გულდასმით ვკითხულობდი მანდატს, ის კი ნერვიულად დადიოდა კუთხიდან კუთხეში და პაპიროსს ეწეოდა.

— ამხანაგებო! მე მეჩქარება—გაისმა მოთმინებიდან გამოსული აგენტის ხმა.

— ამ წუთში, ამ წუთში—უპასუხე მე—ეხლა ჩვენ პირობებსაც გაეცანით. მანდატის გასინჯვა არ უნდა გეწყინოთ. თქვენ პირადათ ზედმიწევნით პატიოსანი კაცი ხართ, მაგრამ ქვეყანაზე ბევრი უპატიოსნო და თაღლისტია—მოუყევი და მთელი ერთი საათი ველაპარაკე ცნობილ სმოლსკის შესახებ. ვინ იყო იგი, როგორ დაიჭირეს, როგორ მანდატებს ატარებდა, ვინ იცავდა სასამართლოში და სხვა. ჩემი დაუსრულებელი ლაპარაკი აგენტზე საშინლად მოქმედებდა, ის პაპიროსის ბოლში გაეხვია, ფერი ეკარგებოდა.

მე განვაგრძობდი.

ჩვენი პირობა ასეთია: თქვენი მანდატი უნდა გადათარგმნოთ, ქართულ, სომხურ, თათრულ, ბერძნულ და ასირიულ ენებზე, დაურიგოთ ყველა თანამშრომელს ასლი. ამას გარდა თქვენი ჟურნალის ერთ ნომერს დაწვრილებით უნდა გაეცნოს ჩვენი კულტკომისია. თუ კარგი გამოდგა, ადგილკომში გამოიწერს ერთ ნომერს 3 თვით, თანამშრომლები კი ვერ გამოიწერენ; ფული არ აქვთ. ისე კი შევეკითხოთ ყველას. ყველაფერი ამის გაგება შეიძლება ორი თვის განმავლობაში.

აგენტი გაშეშდა.

— ამისათვის მაცდევინეთ მთელი დღე?!! ადგილკომისთვის მაინც გამოიწერეთ 1 ცალი 1 წლით, ნომერი დაუსვი უკვე ქვითარს...

— არავის დაუვალებია ნომრის დასმა... ჯერ ვერ გამოვიწერთ.

აგენტმა სასწრაფოდ დასტაცა პორთფელს ხელი და შურდულივით გარეთ გამოვარდა. მე კი მხოლოდ მის სიტყვებს მოვკარი ყური: „ბეზობრაზიე! ოტსტალიი მესტკომ“...

—:—

ლამაზი ქალი—აგენტის გამოჩენამ მამაკაცებში გამოიწვია ერთი არევ-დარევა. ყველამ მოინდომა თავი მოეწონებია მისთვის.

სამწუხაროა, რომ საბჭოთა წყობილების დროს ჩინები არ არსებობს. ჩინების მაგიერობას დღეს ყვირილი ასრულებს.

„ბალანსი, ორდერები, კასის წიგნი, ასიგნობა“—უყვიროდა მთავარი ბუჰხალტერი მოანგარიშეს და ცალი თვალით ლამაზი ქალისკენ იცქირებოდა.

„სად ჯანდაბაში წავიდა პატაკი, რატომ არ გაგიტარებია № 718. მომიტანე საქმე № 515“ გაჰკიოდა საქმეთა მმართველი და სრულიად უდანაშაულო რეგისტრატორი უსიტყვოდ ასრულებდა მის ბრძანებას.

# მუშკოკის „პა




ვისაც ჯავრი აწუხებს
ახალ-ახალ „მოდისა“,—
იგი ამ ვიტრინასთან
დღე-ღამ მიდის-მოდისა.

აქ კი ქალები არის
სინჯვასა და ტრიალში.
ვის აქ ტუფლი აბოდებს,
და ვის „საკვოიაში“

აი: ქალთა სამოთხე;
„დუხები“ და პუდრები.
აქ სხვა რამის მონახვას
ტყუილა მოუნდები.

შოკოლ
არის თავ
უპატრონ
პირზე ნერ

# თ ა ვ შ ე



1. უპატრონო გავშთა. 2. „სოვბიუროკრატისა“ და „სოვბარიშნის“ 3. მოლარის

— ალექსეი, მიმიტანე ერთი „სოვეტსკი“—ხმამაღლა ეუბნებოდა ერთი „უბრალო“ თანამშრომელი დარაჯს და უკანასკნელ გროშებს პაპიროსში აძლევდა, თუმცა არ ეწეოდა. სულ მთლად ბეცი უნდა ყოფილიყო ამ სურათის მაყურებელი, რომ ვერ გაეგო, თუ ვინ იყო დიდი და ვინ პატარა ჩვენს დაწესებულებაში...

ეეტონების, სურათების და პლაკატების გამყიდველი ქალი თავაზიანად მივიღე, მაგრამ ერთხელ ალებულ კურსს მტკიცედ გავყევი.

ეეტონების და სურათების გარეშე რასაკვირველია დიდხანს ველაპარაკე, უხსნიდი თუ როგორ გაჩნდა ქვეყანაზე კერპთაყვანისმცემლობა და სხვა.

მის მიერ მოტანილ პლაკატებში აღმოვაჩინე ასეთი რამ „ჩტობ სოიუზ ზაბოტი ნიოს, ვნოსი აკკურატნო ჩლენსკი ვზნოს“.

აგენტ ქალს წარუდგინე ადგილკომის საქმე, ვანახვე აღმასრულებელი ფურცელი № 696. დავარწმუნე დოკუმენტების საშუალებით, რომ ყოფილ წყალშენის თანამ-

# ...უი“-ს წინ




...ტების
...ი.
...ებიც
...აქ არი,

დააკვირდით, შენიშნავთ
საწყობია აქ რისი,
რასაც ცხვირგაგრძელებით
შესცქერს დიახახლისი.

ხედავთ თბილ კამპანიას
თუ ვისკენ აქვს თვალები?
—შემწვარ გოჭის პირიმე,
ზუთხო გენაცვალები.

„ღვინო კახურო,
ვარ შენი მსმელი
გინდ იყო თეთრი,
გინდა წითელი“.

# ... ა ზ ა რ ი



4. ჩარჩის

5. მფლანგველთა

შრომლებს არ მიუღიათ ს. მ. უ. საბჭოსაგან 1923 წლის იანვრის ჯამაგირი 3.500 მანეთი.

„სანამ „ხოზიაისტვენნიკები“- ასე ითარეშებენ, ჩვენ საქმეს საშველი არ აქვს. სახალხო მეურნეობის უმ. საბჭოს 1924—25 წელში მოუგია 1 მილიონი მანეთი. ეს მე კარგად ვიცი. ამ მოსაგებში ჩვენგან წანაღლეტი 3.500 მანეთი შედის!“ აუწიე მე ხმას. მაგიდაზე შევხტი, მუშტებს ვატრიალებდი, ყელი გამიშრა, იქ მდგომ ვედროს ხელი დავსტაცე. (ადმასკომმა წყალი დაუკეტა ჩვენ დაწესებულებას და ყველა განყოფილებაში დგას ვედროთი წყალი) და მოვსვი წყალი.

უკვე ორი საათი იყო, შეშინებული ქალი უკან დახევით გამოდიოდა ადგილკომის ოთახიდან და კარებში გამოსვლისას დაეჯახა დაწესებულების უფროსს, რომელიც ის-ის იყო გამოცხადდა სამსახურში.

ეს იყო და ეს—ამის შემდეგ ჩვენს დაწესებულებაში აგენტები აღარ შემოდიან.

**სიმონიკა**

# „მიძინება“

ძველი ისტორიის ზღაპრული ნაწილი გადმოქვცემს: „მიაძინა მამა ღმერთმა ადამი, გამოუღო გვერდი და გაუჩინა ცოლი—ევა“.

ახალი ისტორიის იგივე ზღაპრული გადმოცემა გვეუბნება: „მაცხოვარმა დედა თვისი მარიამი მიაძინა, გამოგზავნა ანგელოზი და სულიან ხორციანა გადააფრინა ქალწული იგი სამოთხე'ში“.

ამნაირათ: მიძინება და მისგან გამომდინარე კარგი საქმენი ძველთა ძველია; ხოლო ახალი მიძინება სინიდისსაც მოედო, როგორც მოარული სენი; თუმცა სიტყვა სინიდისი და ნამუსი უცხოა: ერთი სპარსულია და მეორე კიდევ თათრული; ალბათ, ამ დროებით მოხეტიალე სტუმარმა ძველი სამშობლო მონახა და გადასახლდა, რასაც ცოტაოდნათ ადასტურებს ჩვენი აგენტების შემდეგი ცნობა: მიძინება, სინიდისის დამოუკიდებლათ საქმიანობა და აქედან გამომდინარე „კაი საქმე“ ფართეთ მოედვა ზოგიერთ დაწესებულებებს, მათ არჩეულ და დანიშნულ პასუხისმგებელ და უპასუხისმგებლო თანამშრომლებს, სარევიზიო კომისიებს და საქმეთა მმართველებს.

უკანასკნელათ მიძინებას შედეგათ მოჰყოლია სასწრაფო განკარგულებათა მიძინება, ე. ი. საქმის მიწერ-მოწერა ხშირად უმოძრაოთ გდია „ობში—კანცელიარიაში“, ანდა მისამართ-არეული დაეხეტება უგზო უკვლოთ.

სარევიზიო კომისიები კი წლის ბოლოს ელოდებიან: გადახედავს წლიურ ანგარიშს, მოიწონებს, ან დაიწუნებს და ვალიც მოხდილია. მოკლეთ: „კამეჩი წევს და იცოხნის, თავის ამინდი ჰგონია“. სამაგიეროთ განახლებულ სენს—მიძინებას არ ემორჩილება და ებრძვის ზოგიერთი „სპეცები“, რწმუნებულები, გამგენი, ნოქარნი და პასუხისმგებელი—უპასუხისმგებლო თანამშრომლები: ზოგს ნავაჭრი შემოეხარჯაო, ზოგს საქონელი შემოაკლდაო, ზოგმა „კომანდიროვკა“ გააჭიანურაო და მთლიანათ განხორციელებულიაო ჩვენებური შესასწრები სადღეგრძელოს შინაარსი: „ღმერთმა მრავალი კარგს შეგვასწროს გამოსარჩენსაო“. ყველა ეს და მრავალი სხვა გაითვალისწინა ტარტაროზის ჯარისკაცთა საბჭოს პლენუმმა და ჰაჭვეთის დელეგატთა გაერთიანებულმა ყრილობამ დაადგინა მფრინავი რაზმი მიძინებს და მის შედეგებთან ბრძოლის საწარმოებლათ: წონასწორობა, შრომის განაწილება და დოვლათის გაყოფა უნდა სწარმოებდეს კანონიერათ: ერთმა მიიძინოს და მეორემ ჭამოს,—ეს არაა სამართლიანი ბალანსი. ამას ქვია: „შეიმასქნება“.

მოუწოდებთ ადგილზე დაბრუნებულ და უძრავ უჩინმაჩინ ამხანაგებს, ჩვენს მომხრე ჯოჯოხეთის მაშხალებს—უტყუარი ცნობები მოგვაწოდონ მოარული სენით შეპყრობილთა შესახებ, რათა შესაფერი რეცეპტი და შესაზხაპუნებლი წამალი დავამზადებინოთ ჩერეკ-მერეკის აფთიაქს დაავადებულთა გასაკურნავათ. ან და ღოსტაქრული წესით სამოთხეში გადასაფრენათ.

ჯადო.

---

# ლევარსი როხროხაძე

აი, ეხლა, ამ წუთში, როცა ამ გვერდს ვკრავდით გაისმა ტელეფონის წკრიალი.

— გესმით...

— საიდან?

— რედაქცია „ტარტაროზი“... პ. მ. მდივანი.

— მე ვარ ტარტაროზი..

— რას გვიბრძანებ?

— მეხუთე გვერდი შეკრულია?

— დაიხ, ამხანაგო ტარტაროზო.

— რომელ გვერდს ჰკრავთ ეხლა?

— მეათეს.

— რა წერილს უშვებ?

— „კბილის მატლი“.

— გადადევით და დამიცადეთ...

— ძალიან კარგი... სხვა ლევარსის შესახებ. ხომ არაფერი გაგიგიათ?..

— გავიგე და სწორედ ამიტომ მესაჭიროება მეათე გვერდი.

— რა გაიგუთ...

— მოვალ და გაიგებთ...

—:—

ვის-ღა ჰქონდა მუშაობის სურვილი... ყველა ნერვიულობდა... არ ვიცოდით: რა უბედურება ტრიალებდა ჩვენს თავზე.

— ტრამვაით თუ წამოვდა ტარტაროზი, საღამომდი ვერ მოვა... დალუპოს ღმერთმა ახლანდელი ტრამვაი... ეს ახალი ვაგონები ჯერ ვერ არიან შეჩვეულნი ლიანდაგზე სვლას და ურჩევნიათ ულიანდაგოთ სიარული.

— არა, მასე არ არის... ცდებს ახდენენ: შეუძლია თუ არა ულიანდაგოთ მოძრაობა ტრამვაის...

— აი აგერ მოდის ტარტაროზი...



იგი იწვა

— ალბად ფეხით წამოსულა...

— მხიარული სახე აქვს... მგონი კარგად არის საქმე...

—:—

— გილოცავთ, გილოცავთ მეგობრებო—მოგვაძახა ტარტაროზმა როგორც კი რედაქციის კარებში ფეხი შემოსდგა.

— რა გაიგეთ? ცოცხალია?

— თქვენთან ლაპარაკის დრო არა მაქვს ეხლა... ეს ამბავი დღესვე უნდა დაიბეჭდოს ჩვენს ჟურნალში—ტარტაროზმა ხელი წაავლო კალმის ტარს და შეუდგა წერას.

—:—

ავლაბარში, ყოფილ არამიანცის საავადმყოფოში წავედი პირდაპირ როგორც კი რედაქციაში მივიღეთ შემაძრუწუნებელ ცნობა.

იქ ჯერ მკვდრებში ვეძებე... შემდეგ ცოცხლებში და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ლევარსი, ჩვენი ლევარი, როხროხაძე დავინახე.



სად. ნავთლუღის მუშა (მწონავი) საშა ყუჯრიშვილი, რომელსაც მეტად უყვარს ღვინო, უცაბედათ ქვაშ მოჰყვა ღვინით სავსე გუდას და დააშავა.

მოსამსახურეების მიერ აღძრულია თხოვნა, რათა განსაკურნავათ იგი გაგზავნილ იქნას კახეთის რომელიმე სადგურში, სადაც უფრო ადვილად შეეძლება ჯრომა.



—:—

ამავე სადგურის მემანგარე ქალს ოლიას, ხელზე კოცნის დროს მოქალაქეს პირი დაუცდა და მკლავზე უკბინა. საჭიროა სასწრაფო დახმერების გამოძახება, რათა იგი გადაყვანილ იქნეს აქედან, თორემ მოსალოდნელია შემდეგში მარცხი მოხდეს.



—:—

იგი იწვა.

მე გამოვკითხე ყველაფერი და მან ეს მიამბო:

— ამხ. ტარტაროზო, თქვენ იცით ჩემი სოფლიდან გამოპარვა და დაკარგვა.

ანდა რა მომაცდიებდა სოფელში. დღეს ხომ სოფელს ყველა გაურბის და ქალაქისკენ ეშურება.

ჰო-და იმას მოგახსენებთ: როცა თბილისის სადგურიდან გამოვედი,—ცოტა არ იყოს შემეშინდა: უცხო ქალაქი, არავინ ნაცნობი. ამ დროს მომაგონდა ბებია ჩემის დარიგება:

— თუ სადმე უცხო ალაგას მოხდე,—კენჭი გადაყლაპე და გული ქვასავით მაგარი გექნებაო.

მეც ასე მოვიქეცი:

ავიღე და კაი მოზრდილი კენჭი გადავყლაპე...

ერთხანს არა მიშავდა რა... მეორე დღეს შემოქმედელების კრებასაც კი დავესწარი და სიტყვა წამოვსთქვი. (ჰო, მართლა: ვარგებული აგენტები გყოლიათ. ჩემი იქ ყოფნა თქვენ უკვე გქონდათ ტარტაროზში. № 43).

მაგრამ მეორე დღეს უცბად, როცა ქუჩაში მივდიოდი, ოთხმოცდაცხრმეტი გრადუსი სიცხე მომცა და წამაქცია კაცი კუჭის ტკივილმა. ხელად, საიდანღაც სასწრაფო დახმარება გაჩნდა, ჩამსვეს შიგ და სადღაც გამაქროლეს... შემდეგ კი არაფერი არ მახსოვს... მახსოვს მხოლოდ, რომ ის რაღაც სასწრაფო დახმარება ისე პატარა იყო ჩემთვის, რომ შიგ ვერ მოვთავსდი მთლად და სანახევროდ გარედ ვიყავი თავგამოგდებული.




ხუთი დღის უკან კუჭის ოპერაცია მიქნეს და, მადლობა ღმერთს, ქე გადამიტანია, როგორც სჩანს და აწ სიკვდილით არაფერი მიშავს...

გთხოვთ აცნობოთ ყველას, რომ მე ლევარსი როხროხაძე ცოცხალი ვარ და ახლო ხანში შეუდგები ჩემს საქმეს.

—:—

„ტარტაროზი"-ს რედაქცია და „ზმუკი" სიხარულით აუწყებენ საზოგადოებას, რომ **ლევარსი როხროხაძე ცოცხალია.**

ჩვენი ჟურნალის დღევანდელ ნომერში მე-5 გვერზე, მოთავსებული ცნობა **ლევარსი როხროხაძის** გარდაცვალების შესახებ გაუქმებულია და გთხოვთ ნურავინ წააიკითხავთ. რედაქციას საშუალება არ ჰქონდა ნომრიდან ეს ცნობა ამოეღო, რადგან ეს იწვევდა მთელი ნომრის ჩავარდნას—არ გამოსვლას.

ბოდიშს ვიხდით აგრეთვე თვით ჩვენი გმირის წინაშე ასეთი შემთხვევის გამო, მაგრამ როცა მოკვდება (ყველა ადამიანი მომაკვდავია) მაშინ სიჩუმით შევხვდებით მის სიკვდილს, რითაც ამოვალთ ამ სირცხვილიდან.

**ზმუკი.**

—:—

-✦- აგრონომიულ დარგის სტუდენტები გაემგზავრენ მუხრანში პრაქტიკულ მუშაობის საწარმოებლად. მიუხედავად იმისა, რომ ავდარმა ხელი შეუწყო, ისინი დააივრენ,—და რადგან ცხვრები გარეკილი იყო მთებზე პრაქტიკული მუშაობა ერთმანეთზე აწარმოეს.



—:—

-✦- ახლო ხანში სოფლებში გაიგზავნება აუარებელი ზარები, მოიხმარებიან როგორც ხალხისათვის „ყარაჩოღელთა" მთრის მომხდარ ჩხუბის შემატყობელი საშუალება.



—

გუშინ, საღამოს, 7 საათზე, მოხდა საშინელი კატასტროფა: ძალზე დამთვრალი ვირი დაეტაკა მეხუთე ნომერ ტრამვაის, რომელიც იმ წამსვე ყირამალა გადატრიალდა და იმსხვერპლა მრავალი ხალხი. დამნაშავე ვირი შეიპყრეს და წააბრძანეს კომისარიატში.

—:—

წუხელის, ღამის სამ საათზე ჩვენს მხატვარს დონს თავს დაესხა დიდი უზარმაზარი ვირთხა. ორი საათის თავგანწირული ბრძოლის შემდეგ ვირთხა დანებდა და შეპყრობილი გადაეცა სამედიატორო სასამართლოს, რომელმაც გადასწყვიტა სიკვდილით დასჯა. განაჩენი დილის ცხრა საათზ ჩაის დალევამდე სისრულეში იქნა მოყვანილი თვით დონის მიერ. ავსტრალიის გაზეთების აზრით, ვირთხა სახლის პატრონის მიერ იყო გამოგზავნილი.



—:—

ამავე დღეს, დილის 11 საათზე, მუშკოოპის ტკბილეულობის განყოფილების ვიტრინაში ვირთხამ ცხადათ ხალხის თვალწინ შესჭამა ორი შოკოლადი და სირხეინად კუდის ქნევით მიიმალა. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ვირთხა მოშინაურებული არაყო და ამიტომაც არ სდევნიან მასო.



—

-✦- ქუთაისში გამოიგონეს ისეთი პანღური, რომელიც ერთი დაწესებულებიდან თუ ვინმე გამოაგდეს, სამაგიეროდ სხვა უკეთეს დაწესებულებაში ამოაყოფინებენ თავს.



# ჩვენი მუშკორების
## მეგობრული შარჟები



„ნაპოლეონი“



„ოტელო“

# საბჭოთა არჩევნები
## (დიდი-ჯიხაიში)

მ ღ ვ დ ე ლ ი

ნეტა, რა გცოდეთ, უფალო,
რად დაგვივიწყე, რადაო.
ნუ თუ გავიდა ამ ქვეყნად
ჩვენი ცხოვრების ვადაო?!

მოგვხედე ვითა მორწმუნეს,
თორემ საქმენი წახდაო.
ღამისა სარწმუნოებას
ახადონ შავი ფარდაო!

ხომ ხედავ ქვეყნის მპყრობელო,
დღენი დაგვიდგა შავია.
თუ ოდნავ ძალა კი შეგწევს
თუ გიჭირს ღონე-მკლავია,—

მუსრი აქ გაავლე უგნურებს,
თუ გიყვარს ჩვენი თავია,
რომ მათგან აღარ გვესმოდეს
სიტყვები დაცინავია.

მ ღ ვ დ ე ლ ი

არჩევნებში არ დაგვიშვეს,
ყველას წაგვართვეს ხმებია
და მოიყიდეს ზოგ-ზოგი,
ჩვენი ყოფილი ძმებია.
ტიტეც აქ არის საბჭოში;
შეუკნაჭია თმებია;
სექციებშიც კი ყოფილა,
(ასე გამოდის ხმებია).

ღ მ ე რ თ ი

გამაგებინეთ: რა არის
თქვენი სულისა მტანჯავი.
ანდა რა მოხდა მანდ ქვეყნად
საქმე მზაკვრული და ავი?

ღ მ ე რ თ ი

ნუ აჩქარდებით, შვილებო,
ნუ გაგტეხიათ გულია.
კაცი თუ ფიქრსა მიეცა
იქ ბრძოლა წაგებულია!
ცოდოს ნუ ამბობთ ტიტეზე,
თქვენ წრიდან გამოსულია:
მას აღარ ძალუძს მიყიდოს
ეშმაკს ხორცი და სულია.
იყო და მღვდელად მოკვდება,
მასთან სხვებიცა ბევრია.
ტაქტიკის არის ნაყოფი
დღეს თუ საბჭოსა წევრია.

—:—

ეს სთქვა უფალმა და გაქრა,
გადაიარა მთებია.
ნუგეშად მხოლოდ ჩვენს მღვდლებსა
შერჩათ კაბა და თმებია.

ზაზაიკა

— —

# ჭიათურა.

ბაზარში როცა გაივლით
ნახავთ სანახავს ლამაზსა:
ბევრი მოდიან მუშები
ხარჯავენ მრავალ აბაზსა.
    დალევენ და დათვრებიან,
    ასტეხენ აყალ-მაყალსა;
    ერთმანეთს დაერევიან,
    თავში დასცხებენ მრავალსა.
მიდიან გინებ-გინებით
თავგატეხილნი კეტითა;
ცხვირპირზე სისხლ ჩამოსდისთ,
დაბნეულნია რეტითა...
    და მიჰყავთ მილიციაში...
    იქ სძინავთ დამვალბილებულთ;
  მეორე დილით ადრიან
    უშვებენ გამოძინებულთ.

იადონი.

— —

# ხუნწი.

ტარტაროზო, ყური მიგდე
უნდა გითხრა ერთი რამე:
აქ ჩვენს პავლეს ფირცხალავას
აღარ სძინავს დღე და ღამე.
    ჩვენს გზისკომში ჩვენი პავლე
    დიდი ხნიდან დამდგარია,
    მაგრამ იმის ყოფა-ქცევამ
    მთელი ხალხი გადარია.
ხალხში ყმედობს პავლე ისე,
როგორც ძველი ჟანდიერი.
ტარტაროზო, ჩვენ ვერ ვბედავთ,
შენ უქენი მაგიერი.

ტინტრავა.



# ამბულატორია (ოზურგეთში)



— უკვე გამოლეულია საგზალი; ორი დღეა ვიცდი და ავადმყოფს მაინც არ ღებულობს ექიმი.




## აბა, რა ქნას?

სოფ. ნიგოიწლევის ყოფილ აზნაურ იესე არდიშვილის შესახებ შემდეგს სწერს „ტინტრავა“:

„რა კი მამულ ჩამორთმეულ იესეშ სხვა ვერაფერი გააწყო, ეხლა გინებას მიყო ხელი“.

შე პატიოსანო კაცო:—იესეს მამულები ჩამოართვეს და გინების უფლებასაც ართმევ? დაე, იგინოს, აბა რით მოიოხოს გული?—იღრენს, იღრენს და გაჩუმდება, მართლაც და ყბები საკუთარი შისია, საფონდო ხომ არა?

## ცემა გმართებს გამზრდელისა...

შორაპნის მაზრის, დაბა საჩხერიდან „აიეჟნგო“ გვწერს:

„საჩხერის პირველ შვიდწლედში მასწავლებლობს ამბროსი ჩინჩალაძე. ეს ვაჟბატონი სამჯერაა გაპარსული და კვლავ მღვდლათ ნაკურთხი. იშვიათი ლოთია. 18 მარტს, ქუჩაში ირდი-გარდმო ქანაობდა ძალზე გალეშილი. მან ვერ შესძლო ქუჩიდან მოფარებულ ადგილას გადასვლა და ზედ შუა სამკითხველოს პირდაპირ გავიდა შარდზე. გაშვლეული ხალხი თვალებზე ხელს იფარებდა, ხოლო ამბროსის მოწაფეებმა სიცილ-კიჟინა ასტეხეს შორიდან“.

უზრდელი მოწაფენი ყოლია, რომ თავისავე მასწავლებელს როგორც ხედავთ ამ „ზრდილ“ მასწავლებელს ძალიან სიცილს აყრიან. ამაზეა ნათქვამი:

— ცემა გმართებს გამზრდელისა, როს ყრმა ნახო ცუდათ ზრდილიო!

ვფიქრობთ, განათლების განყოფილება ცემას არ შეკადრებს სამჯერ ნაკურთხ ღვდელს, ეხლა გაკრეჭილს და გამასწავლებულს, არამედ თავდაბლათ გაუღებს შვიდწლედის კარებს და სთხოვს სასწავლებელი დასტოვოს.

## აი, ინჟინერიც...

სატყეო ტრესტის გრეხილ ავეჯეულობის ქარხანას მოვლენია გამგე ინჟინერი სტეფანე გეშუსაშვილი. რითია იგი განთქმული? მუშკორ „ვერმიცანიძის“ სიტყვით:

„გეშუსაშვილს უქებენ,
დღეს ნიჭს ბუმლალტერულსა,
ისე უყვარს კაკანი,
ვით უწვერო ყვერულსა.
— რვა წელი მისწავლია!
ის ტრაბახობს აშითა:
მუშებს დაუცინავათ,
არ დასტოვებს წამითა“...

— კი, მაგრამ ამ რვა წელიწადში დაცინვის მეტი ვერაფერი ისწავლა ამ დალოცვილიშვილმა? ტყუილა არ ამბობდა მგოსანი აკაკი:

— მამა ჩემმა თავის ბედაურს გიმნაზიის რვა კლასი დაარონია, მაგრამ დავლის შემდეგ ბედაური შინ წერა-კითხვის უცოდინარი დაბრუნდაო.

## როლები განაწილებულია

ქუთაისის მაზრაში, დაბა ვანიც კულტურული დაბაა, რომელსაც ჰყავს ფოსტის გამგეც, ცხრაწლედის მასწავლებელი ბაგრატაც და მოსამართლეც: საკულტურო მუშაობაც, „კიკოს“ სიტყვით, საუცხოვოთ ქონიათ განაწილებული ამ გვამებს.

„ფოსტის გვერდით, გამგის ოთახში, ყოველ საღამოობით წარმოებს გაცხარებული კარტის თამაში. თამაშობენ—ფოსტის გამგე და მათემატიკის მსწავლებელი ბაგრატა. მოსამართლე ამ თამაშს ყოველთვის მოწმეთ ესწრება“.

კულტურული წინსვლაც ესაა:—სასამართლოს სხდომები ფოსტის გამგის ოთახშია გადატანილი, სადაც მოსამართლე უკვე მოწმეთაა დაბარებული!

იქნებ დაკითხოს აღმასკომმა ამ პატიოსან მოწმეს—ფოსტის გამგისა და მასწავლებლის მოღვაწეობის შესახებ, დარწმუნებული ვართ—მოწმე სრულ სიმართლეს იტყვის და მსჯავრიც სამართლიანი იქნება.

## სულ უკან-უკან იხევა

ოზურგეთიდან, უცნაურ ამბავს იწერება „ჭრელი აფთარი“, ნიგვზის ხეების მოიჯარადრის ალექსანდრე წვერაძის შესახებ:

„ხუთ მანეთს მოგირიგდება,
ხამსაც აღარ იძლევა,
ფული თუ გაქვს ასაღები—
უკან-უკან იწევა“.

საოცარი თვისება ქონია ამ წვერაძეს—სულ უკან-უკან იხევა. ვშიშობთ, თუ ასე იხია უკან, შემთხვევით სატუსაღოს კარებს არ მიადგეს ზურგით.



## კარგი რამ გჭირდეს...

დაუჯერებელ ამბავს გვატყობინებს „მ. კ. მაიდნის-პირელი“, სენაკის მაზრის, სოფელ **მაიდნის** მიკიტნებზე:

„ალექსანდრ კარაპეტიჩი,
სპეკულიანტი ძველია,
თუ სადმე ლოთი ხალხია
იმასთან მიუხარია“.

ლოთებს მიუხარია სპეკულიანტ კარაპეტასთან, არა, მისმა თავის კვნესამ, მეცნიერული აკადემია აპლებს დელეგაციას.

## აი, რთული საკითხი.

ჩეხო-სლოვაკიამ, რომ პოლონეთიდან ღორების შეშვება აკრძალა, პოლონეთმა ეს საკითხი ერთა ლიგაში შეიტანა. ახლა კიდევ ამ პატივცემულ დაწესებულებას ახალი, მაგრამ გაცილებით უფრო რთული სადაო საკითხის გადაწყვეტა მოელის, „**სვანი მელის**“ სიტყვით, საქმე შემდეგშია:

„ზემო სვანეთის, სოფელ მესტიაში, გლეხის ცხვარი კლდეზე გადაჩეხა. ეს ცხვარი მან ალექსი ჯაფარიძეს მიყიდა დასაკლავად. ალექსიმ ცხვარი წაიყვანა. გზაზე საქონლის ექიმი შემოხვდა, რომელსაც სთხოვა ალექსიმ ავადმყოფი ცხვრის გასინჯვა. ექიმმაც ამოიღო სიცხის სასინჯი (ტერმომეტრი) და ცხვარს ღუმას ქვეშ ჩაუდო. ისე ღრმად ყოფილიყო საზომი ჩადებული, რომ იგი სულ გადასულიყო სტომაქში და გამოღება აღარ შეიძლებოდა.

ექიმმა სამი მანეთი მისცა ჯაფარიძეს—დაკალი ცხვარი, ტერმომეტრი ამოიღე და დამიბრუნეო. ალექსიმ ცხვარი დაკლა და ტერმომეტრი ექიმს გადასცა. ტერმომეტრს დახედა ექიმმა და შემდეგ ცხვრის პატრონ ჯაფარიძეს მიუბრუნდა.

— აი, ტერმომეტრი 40 გრადუსს სიცხეს მიჩვენებს, ცხვარი ჰლექიანი ყოფილა და მისი ხორცის ჭამა არ შეიძლებაო.

ჯაფარიძე ექიმს არ დეთანხმა.

საქმე გამწვავდა. ვინაა მართალი?“



მართლაც დიდი კითხვაა—ვინაა მართალი:—ცხვარი, ტერმომეტრი, ჯაფარიძე თუ ექიმი? მაგრამ გამოსარკვევია მეორე კითხვაც:—სიცხე ვის მეტი ქონდა:—ცხვარს, ჯაფარიძეს... თუ ექიმს? სამწუხაროა, რომ ტერმომეტრით მარტო ცხვარი გაუსინჯავთ.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვფიქრობთ, ერთა ლიგა სავსებით ამოსწურავს ამ საკითხს.

## ვ ფ ი ქ რ ო ბ თ....

ფოთში არის სატყეო ტრესტის განყოფილება. ამ განყოფილებას ყავს თავის გამგეც—კონდრატი ბუკია. ისიც განაგებს საქმეს, მაგრამ, როგორ, ამის შესახებ პასუხს იძლევა „მუშა“:

„ამ წლის, 16 მარტს, გამგე ბუკიასთან მივიდენ მუშები და თებერვლის ჯამაგირი სთხოვეს. მან კარები ჩაკეტა. ჩვენ მიუკაკუნეთ. მან ერთი კი მოგვაძახა:—„თქვე ვირებოვო“ და გამოგვედგა. წინ ჩვენ მივრბოდით, უკან ის მოგვდევდა“...

ტარტაროზმა გადაიკითხა ეს სამწუხარო ეპისტოლე და დააწერა ეპიტაფია:—

„ტარტაროზმა“ იკითხა:
— რომელ ირმის ნუკრია,
რომ ჩლიქებს ათამაშებს,
ასე ურცხვათ ბუკია?
—იქნებ ნუკრიც არაა,
ცხოველია სხვა ჯიშის,
და, მიტომ ემარჯვება,
მას წიხლებით ვარჯიში?
ვფიქრობთ,—ტრესტიც იფიქრებს,
სამართალი, თუ კია:
— სხვა თავლაში დააბას,
ეს ორფეხი ბუკია!



# რომელია?




ერთი მოქალაქე (მეორეს) მგონი ჩვენ შევცდით: აქ არ უნდა იყოს ის დაწესებულება; ხომ ხედავ: ყველა გაზეთს კითხულობს... ალბად აქ სამკითხველოა?

მეორე მოქალაქე (პირველს) არა, აქ სამკითხველო კი არ არის,—მაგრამ საქმე არაფერი აქვთ და ჟურნალ-გაზეთებს კითხულობენ... თანაც ჯერ ათი საათია და თუ გაზეთები არ წაიკითხეს, ისე მუშაობას არ დაიწყებენ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ნიანგი № 45

ფასი ორი შაური

კვირა, 18 აპრილი 1926 წელი.

## შემთხვევა, როცა უძლურია მილიციონერის კვერთხი



ო. შმერლინგი

ზეციდან ჩამომდინარე
წვიმაა კოკისპირული,—
მაგრამ ეს საგუშაგოზე
მაინც სდგას თავგანწირული.

იმიშვლა კვერთხი, შესძახა:
შესდექი, ნუ მოდიხარო...
რომ შენ არ მემორჩილები
განა ასეთი ვინ ხარო?!

# მილოცვა

რა გითხრა, ძმაო, არც თვითონ ვიცი...
ისე გახშირდა ეს „წლის თავები“,
რომ ვერც ვნახულობ საკუთარ თავსა
და მისთვის არავის არ ვედავები.

ზეგ გადაიხდი „ხუთი წლის თავს“;
(ალბად იქნება აპრილის იცი).
ასეა ჩვენი ადათ-წესები,
არა-რა არის აქ გასაოცი.

გეტყოდი რამეს, მაგრამ ვერ გიცნობ
და, როგორ გითხრა უცნობს სიტყვები,
იქნებ ისეთი წამომცდეს რამე,
რომ შენ შემრისხო: რას იტყუები?!

ჰო-და ვერ გიცნობ, და არც კი მინდა
შენი გაცნობა, შენსას სტუმრობა,
რადგანაც ვიცი, გამიგონია
რომ ძნელი არის შენთან ხუმრობა.

სხვებს დავასწარი მოსვლა, მოლოცვა
(მხედველობაში მისაღებია)
და სხვებთან ერთად მეც გავიძახი:
მილიციელნი ყოჩაღებია...

თუმცაღა ხშირად (ბოლო დროს მაინც):
ქურდი-ბაცაცი ჩვენს სახლებს აღებს,
მაგრამ რა ვუყოთ,—სამაგიეროდ,
შინ ხომ მოელო ბოლო ყაჩაღებს.

„ტარტაროზი“.




ამხ. ხმალაძე

მეგობრული შარჟი




ქურდი: ტყვილად იწუხებ თავს. ფეხდაფეხ ვერ დამეწევი, და შენი რევოლვერის არ მეშინია, რადგან „თუნდ ნუგუზალი დაადო მაინც არ გავარდებაო“ აჰა ასანთი წაუკიდე და იქნებ გავარდეს.

# „ჭკუის სასწავლებელი“



პირველი საფეხური: ორკვირედი
იგივე „კუტუზკა“ მილიციაში

უნივერსიტეტი ოთხ-შვიდ-ცხრაწლედი
იგივე გამასწორებელი სახლი

# უსიტყვო ლექცია

ტარტაროზის ცირკულიარი ღამის თორმეტ საათზე მივიღე საკუთარ ბინაზე.

თბილისის ქუჩებში ისე ძლიერი ქარი ჰქროდა, რომ უბინაო ბავშვები, შეყვარებულთა წყვილები და პოეტები გაჭირვებულთა ერთ კატეგორიაში იყო მოქცეული: უპატრონო ბავშვები ხიდეების ყურეში იყინებოდენ, შეყვარებულთა წყვილებს ქარი მოურიდებლად აყრიდა ცხვირპირში მტვერს და პოეტები წვალობდენ „შესაზარ“ და „აღმუილებულ“ ქარის შესახებ ლექსის შესათხზველად.

მიღებულ ცირკულიარის შინაარსი ასეთი იყო:

**„შრომის ნაყოფიერების აწევაში ჩვენც უნდა მივიღოთ მონაწილეობა. ამის მიღებისთანავე წაიკითხეთ ლექცია საქმიანობის შესახებ** დაწესებულებათა უმოქმედო ხელმძღვანელებს შორის“.

— დავალებას შესრულება უნდა, ჰო, ეს ცხადია! მაგრამ მოდი ეხლა თავი მოუყარე დაწესებულებათა უმოქმედო ხელმძღვანელებს, შემდეგ ასე მოუმზადებლად ლექცია წაუკითხე!—ხმამაღლა ველაპარაკებოდი საკუთარ თავს და კუთხიდან კუთხეში დავდიოდი.

— წასავალი თუ გამოგიჩნდა, რაღა გიჭირს, ეს შენთვის აღდგომაა,—გამომეხმაურა ცოლი.

— შენ მეშჩანურად (ამ სიტყვის მომგონი დიდი ჭკვიანი ვინმე ყოფილა—ყველგან მარგია) უდგები საკითხს, მაგრამ მაგას რომ თავი დავანებო, სად ვნახო ეს ხალხი სად? სად წავუკითხო ლექცია!?

— მაგი შენ და შენმა ტარტაროზმა იცით. პატარა ჭკუის ყველა დასჯაბნის,—რას ეუბნებოდი რომ რეგისტრატორი ხარ, ან რატომ უკეთეს ადგილზე არ დგები!

—ჯოჯოხეთის სიგრძე ენა რომ გაქვს,— შემომაძლია ვინმემ უკეთესი ადგილი და უარი უთხარი თუ? არა, სად ვნახო ეხლა უმოქმედო გამგეები, სადა?—ვყვიროდი გამწარებული.

მართალია ჩემი ცოლი ამ ერთ შემთხვევაში არაფერ შუაში იყო და არც რაიმეს გაკეთება ევალებოდა, მაგრამ მე გაანჩხლებული ვიყავი, გამოსავალ გზებს ვეძებდი და ჩვენი კამათი სერიოზულ ხასიათს ღებულობდა. ცოტა კიდევ რომ გაგრძელებულიყო, ცოლი „ქენოტდელ“-ით დამემუქრებოდა, მაგრამ ქუჩაში გაისმა „მრავალაააალ-ჟაააამიერ!... მე თითქოს ამ ხმას მოველოდი მხსნელად. ყურები ვცქვიტე.

— ყველაფერი მოეწყობა, ყველაფერი, ხვალ გაიგებ, რომ რეგისტრატორობაც არ ყოფილა დასაწუნი,—მხიარულად დავიყვირე და გარეთ გამოვარდი.

—:—

ღამის პირველი საათი იყო,—ქარი ისევ თავგამეტებით ქროდა. მე არხეინად, გულდამშვიდებით მოვაბიჯებდი რუსთაველის პროსპექტზე და მიმართულება უკვე აღებული მქონდა სასადილო „ნად-კუროთ“-სკენ.

ქუჩაში ყველაფერი რიგზე იყო, ქალები დაჟინებით ათვალიერებდენ ვიტრინებში ფართლეულობას (ფართლეულობის ყიდვა ეხლა ძნელია, მაგრამ ცქერა დილამდე შეიძლება და ამის მსურველებიც არიან), დრო გამოშვებით რომელიმე გზადაკარგულ მოქალაქეს წინ აეტუზებოდა მილიციონერი წითელი ჯოხით, ან მეეზოვე დაგლეჯილი ცოცხით.

გასროსის ალარავის ეშინოდა.

მართლაც და რაა დღეს საშიში!—თუ ტრამვაი გაჩერდა,—მაშინვე უნდა გაჩერდეს ეტლებიც და ავტომობილებიც. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ტრამვაი დიდხანს ეცილებოდა ავტომობილს სისწრაფეში და რომ ვერაფერი გააწყო,—წინ წასვლა აუკრძალა.

— „კვიცი რომ დედის წინ ხტომას დაიწყებს, მგელი შესჭამს“-ო მოუყვანა ამხ. ფარნიევმა ციტატა შოფერებს ეგნატე ნინოშვილის ლექსიდან.

— შენი ტრამვაი რომ ვერ დადიოდეს, ჩვენი რა ბრალია? ამაზეა ნათქვამი: „ავი ძაღლი არც თვითონ სჭამს და არც სხვას აჭმევს“-ო თავის მხრივ მოუყვანეს ციტატა ამხ.

ფარნიევს ზაქარია ჭიჭინაძის უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან.

მეეტლეებმაც გამოსთქვეს თავისი აზრი ზრდილობიანად...

ასე იყო თუ ისე ამხ. ფარნიევმა გაიმარჯვა....

კინაღამ თემას ავცდი...

ჰო, იმას ვამბობდი,—ქუჩაში ყველაფერი წესიერად მიდიოდა და მეც სრულიად უვნებლად საკუთარი ხელით, ფეხით და გაუტეხელი თავით გამოვცხადდი სასადილო „ნად-კურორი"-ში.

აქ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ დიდი კაცების კრებები თუ სხდომები უნდა იმართებოდეს კარგ სასადილოებში: თუ კრებას საზოგადოდ ესწრება 50 პროც. და ზოგჯერ ნაკლებიც (ვშიშობ ქალაქ თბილისის საბჭომ თავის თავზე არ მიიღოს ეს სიმართლე) „ნად-კურორი"-ში მე აღმოვაჩინე მთელი 100 პროც. დაწესებულებათა უმოქმედო ხელმძღვანელებისა და მათთან მეზურნეები.

ლექციის წაკითხვის მეტი აღარაფერი დამრჩენოდა და ვეძებდი შესაფერის დროს.

ადგილი დავიჭირე.

სრულიად მართალი იყო ლაქია, რომელიც მე, გახუნებულ პალტოში, ძველ ფეხსაცმელებში და საზაფხულო ქუდით ზამთარში მოკაზმულს, არ მაქცევდა ყურადღებას.

„მარტოდ მარტო ზის ობოლი, ზის და ქვითინებს მწარედა"—გაჰკიოდა ჩახრინწიანებული ხმით ყარაჩოღელი მეზურნე.

იცლებოდა ჭიქები. იხარჯებოდა უამრავი ლამაზი სიტყვა.

— ამხანაგო ლაქია, ორი საათია ვიცდი, რატომ არ მოგაქვს ჩემი კატლეტი? გაძვირებას ხომ არ უცდი?—შევეკითხე ლაქიას ხმა მაღლა.

ჩემმა მიმართვამ მხიარულ კამპანიაში სიცილი გამოიწვია. ყარაჩოღელი, რომელიც თამადას ჰკოცნიდა, ჩემსკენ მობრუნდა, ჩაის ჭიქით ღვინო აიღო და მომმართა, შემდეგი სიტყვებით:

„ეს რომელიცა რომა, იმ სულიერს გაუმარჯოს, რომელიცა რომა, ამ ოხერ ქარსა და ზამთარს სამასხაროთ იგდებს ლეტნი შლაპითა და რომლის ყადრი პროლეტარიატ ლაქიას კი ვერ გაუგია"—ჭიქა დასცალა და განაგრძო:

— ამხანაგო, ეს ერთი პატარა სასმისი მიირთვით თქვენი მობრძანების და ჩვენი დახვედრის... ისე რაღა... ძმურად....

შემთხვევით ვისარგებლე, ჭიქა ავიღე და დავიწყე:

— სანამ დავლევდე მოგახსენებთ ერთი საინტერესო ლექციის შესახებ....

— ქაჯან! ლექციებს თავი დავანებოთ უნივერსიტეტია თუ რაფაკი აქა, ან ჩვენი ხაზეინი რომელი პროფესორი ჯავახიშვილია, დალიე... ისე რაღა, თქვენი მობრძანების და ჩვენი დახვედრის—ამიხირდა იგივე ყარაჩოღელი. მე დავემორჩილე და თანაც სუფრას მიუჯექი.

— იცით მეგობრებო,—დაიწყო ერთმა მსუქანმა სუფრის წევრმა,—გამგეობისთანა ადვილი არაფერი არ ყოფილა. წინად მეშინოდა, ეხლა კი დავრწმუნდი, რომ ვინც ხელის მოწერა იცის, ყველა გამოდგება გამგედ. კაცო! მომიტანენ გამზადებულ ქაღალდს, მეტყვიან: ამას ხელი უნდა მოაწერო, ვანო ჯანო, და მეც ვაწერ.

— მეც ეგრე არა ვარ? მეც! მეც!—გაისმა აქა-იქ.

— კაცო, მეუბნებიან: რომ ადრე გამოვცხადდე სამსახურში; რა მაქვს საქმე! სამ საათზე რომ გამოვცხადდე და მაშინვე გამოვბრუნდე ან სულ არ გამოვცხადდე, ამითაც არაფერი დაშავდება....

— სიმთვრალეში კაცი სიმართლეს ლაპარაკობს, თავაზიანად ჩაურთე მე.

ძმაოჯან, მაშ ჩვენ ყველანი სიმართლეს ვიტყვით და შენ რომ სიყალბე რამე არ წამოგცდეს, მიირთვი იმ გაჭირვებული ხალხის სადღეგრძელო, აი აქ რომ მოგვიყრია თავი,—ყარაჩოღელმა სამი ჩაის ჭიქა მომაწოდა.



ვისთან არის მილიციონერი თამამი

სუფრაზე აშიშხინებული მწვადები მოიტანა ლაქიამ.

— იმის ოჯახი დააქცია ღმერთმა, ვინც სთქვას: საქართველოში შიმშილობააო,—წამოიძახა თამადამ და წინადადება მომცა ჭიქები არ დამეცლინა.

ერთის პირობით მხოლოდ: სიტყვას ვიტყვი და მომისმინეთ.

— სიამოვნებით, სიამოვნებით,—გაისმა მხიარული ხმები ირგვლივ.

მე დავიწყე:

— ერთ პროფესორს უნდა წაეკითხა შესავალი ლექცია **საერთაშორისო სამართალზე**. აუდიტორია სავსეა. მოხუცი გამოცდილი პროფესორი გამოდის კათედრაზე. დარბაზში სრული სიწყნარე მყარდება. პროფესორი მუშტს დაჰკრავს კათედრაზე და უკანვე ბრუნდება. ეს უსიტყვო ლექცია ყველასათვის გასაგები დარჩა—**საერთაშორისო სამართალი მუშტზეა დამოკიდებული.**

— ვახ რა მაზალო ვინმე ყოფილა და!!!—წამოიძახა ყარაჩოღელმა.

მე განვაგრძე:

— დღეს მეც უსიტყვოდ უნდა გადავრჩე.

ამ სიტყვებთან ერთად ჯიბიდან მახათი ამოვიღე და შუა მაგიდაზე დავასვე.

ყველა გაშტერებული შემომყურებდა.

დუმილი დიდხანს არ გაგრძელებულა თამადამ მახათი აიღო, სუფრაზე შედგა და ხმა მაღლა განაცხადა:

— გაუმარჯოს უსიტყვო ლექციას, მახათი მე მიმაქვს! ყველამ შეიძინეთ მახათი!

— შევიძენთ! შევიძენთ გაისმა ერთხმად...

—:—

მეორე დღეს თავის ტკივილი ამყვა, ვერ მოვიგონე თუ როდის წამოვედი „ნად-კურორი"-დან ან როგორ მოვედი სახლში, მაგრამ ერთი კი ცხადია ჩემთვის: მე რომ რეგისტრატორი არ ვყოფილიყავი, „საქმეებს" არ ვკერავდე და მახათს ჯიბით არ ვატარებდე, ტარტაროზის ძრიად სერიოზული დავალება ასე სწრაფად არ შესრულდებოდა. ვერც ჩემი ცოლი იტყვის რომ რეგისტრატორობა ცუდი საქმეა. ამის შემდეგ ღრმად დარწმუნებული ვარ: უსაქმოდ არავინ დარჩება.

**სიმონიკა.**




## ლევარსი შიკრიკი

საავადმყოფოს შემდეგ ლევარსი თავს უკეთესად გრძნობდა, ვიდრე უწინ.

—თითქოს ათი წლით მაინც უფრო გავახალგაზრდი ოპერაციის შემდეგ... ძალი და ჯანი მომემატა,—ასე ამბობდა ლევარსი და უხაროდა, რომ ყოველივე გაჭირვებას გადაიტანდა მისი ყოჩაღობა.

გაჭირვება ხომ ბევრი მოელოდა: არალეგალური მუშაობა არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ. ახალი პარტიის შექმნა, უცხოეთთან კავშირი, აჯანყება, საბჭოთა ხელისუფლების დამხობა ჩვენს ქვეყანაში და სხა ასეთები... ყველა ეს, რა თქმა უნდა, დიდი გაჭირვების ატანას თხოულობდა... მაგრამ ლევარსი ყველას ამას ახვედრებდა თავის სიმხნევეს და ძლიერებას.

—:—

როცა ლევარსი საავადმყოფოდან გამოვიდა, სამსახურში მალე მოეწყო ერთი ახლობელი ნათესავის წყალობით.

მართალია: დიდი თანამდებობა მას არ ეჭირა,—არა თუ ამისა უმადური იყო, პირიქით: კიდეც უხაროდა. არა თუ ამისი უმადური იყო, პირიქით: კიდეც უსაროდა.

— მომავალში გამომადგება; სახელმწიფო კაცმა, რომელსაც მომავალში პრემიერობა მოგელის, ყველაფერი უნდა იცოდე—დაწყებული შიკრიკობიდან და გათავებული მეფემდი... ერთ ხანს აქ ვიქნები, გამოვეჩვევი, შევისწავლი; მერე მილიციაში გადავალ... ერთხანს იქაც ვიმსახურებ...

ზარის წკრიალი გაისმა.

ლევარსი სასწრაფოდ წამოვარდა და ტკბილ ოცნებას დაემშვიდობა დროებით.

— ეს პაკეტი საჩქაროდ წაიღე „ზაჰესი“-ს სამმართველოში—უბრძანა გამგემ.

ლევარსი მაშინვე გაექანა.

— არა.. ვიღაცას ეგონა, რომ შიკრიკობა ყველაზე გამოთაყვანებული თანამდებობაა.. მე კი მგონია, რომ შიკრიკი ყველაფერია დაწესებულებებისათვის და მისი პასუხიმგებლობა არა ნაკლებია, ვიდრე გამგესი. ვინ იცის რა ამბავი სწერია ეხლა ამ ქაღალდში... იქნებ დიდი რამე არის... იქნება ამას ელოდებიან აუარებელი მუშები... იქნება ამის მიტანაზე დამოკიდულია ზაჰესის საქმე... ზაჰესი ხომ მთელი თბილისის, და არა მარტო თბილისის, მთელი საქართველოს თვალის ჩინია. აი მე კი ხელში მიჭირავს მისი პაკეტი...

ამ ფიქრებში იყო ლევარსი, როცა უკვე მიადგა ზაჰესის სამმართველოს კარებს...

დიდი ყურადღება არავის მიუქცევია და რაც ყურადღება მიაქციეს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ქალებს გაუკვირდათ ლევარსის ახოვანობა.

— დედა, რა ახმახი ვინმეა?—ჩაილაპარაკა მემანქანე ქალმა და გაშეშებულს ტუჩების სალებავი პირში გადაცდა.

—:—

როცა ლევარსი დაბრუნდა, ქუჩაში ნაცნობი შიკრიკი შეხვდა?

— გამარჯობა

— გაგიმარჯოს...

— დაიცადე, რა გაჩქარებს!

— რედაქციაში მივდივარ, „ზაკროსტადან“ დეპეშები მომაქვს... რომ დაგვიანდეს, ღდინს გამაცლიან,—და შიკრიკი მოახტა ტრამვაის.

— წადი, წადი, ძმაო,—ჩაილაპარაკა ლევარსიმ თავისთვის,—ხალხი უმადურია: ჯერ ჩვენ შიკრიკებს არ გვაქვს დაფასება, მაგრამ მოვა დრო და დაფასდება ჩვენი ღვაწლი. როცა მე მინისტრად ვიქნები, შიკრიკს ყველაზე მეტ ჯამაგირს დაუნიშნავ...

როგორ ეჩქარებოდა... ვინ იცის, გამგემ იქნებ მაინც უყვიროს; რად დაგვიანეო... საწყალი, როგორ გიჟივით მოახტა ტრამვაის.. სამართალი, რომ იყოს, შიკრიკი ავტომობილით უნდა დადიოდეს...

დეპეშები მიჰქონდა... ის დეპეშები ხვალ გაზეთის საშვალებით მთელ ქვეყანას უნდა მოეფინოს... იქნებ ამ დეპეშებში ასეთი ამბებია: „მოსკოვში გადატრიალება მოხდა“... „ჩინეთში მშვიდობიანობა დამყარდა“; „შავ ზღვაში საქართველოს ახლოს აღმოაჩინეს ვეებერთელა კუნძული, რომელიც საქართველოზე უფრო დიდია; კუნძული ეკუთვნის საქართველოს“. და სხვა ასეთი საოცარი ამბები... ჰო-და ეს შიკრიკი რომ არ მივიდეს რედაქციაში, ეს ამბები ხვალ არ იქნება გაზეთში... ყველა ხახა მშრალი დარჩება... ვინ იცის ზარალი რამდენი იქნება... იქნებ ვინმე მოსკოვში კონტრაბანდ სპირტს აგზავნის, და მან კი არ იცის რომ იქ არეულობაა, თორემ არ გააგზავნიდა...

იქნებ, ვინ იცის ჩხენკელი პარიზში ბრიანს ასწავლის საქართველოს გეოგრაფიას და უჩვენებს ჩვენს მიწა-წყალს; აქეზებს, რომ ბრიანმა ჯარი მოგვცეს დასახმარებლად. მაგრამ ბრიანი ყოყმანობს, ეპატარავება ჩვენი მიწა-წყალი... როცა ამ ყოყმანშია ბრიანი, ამ დროს მიიღეს გაზეთი, რომლშიაც სწერია კუნძულის აღმოჩენა... ჩხეკელი სიხარულისაგან სიმაღლეს მოიმატებს. და ბრიანი კი მაშინვე განკარგულებას გასცემს, რომ საფრანგეთის ჯარებმა საქართველოდან კომუნისტები გარეკონ...

აი, რამდენი ამბავი გამოიწვია დეპეშამ... და ეს დეპეშა კი შიკრიკმა მიიტანა რედაქციაში...

## ლევარსი მილიციონერი

მართლაც: რამოდენიმე თვის შემდეგ ლევარსიმ მიატოვა შიკრიკობა და მილიციის სამმართველოში განცხადება შეიტანა სამსახურში მიღების შესახებ...

— უფროს მილიციონერის ადგილი ჯერ არ გვაქვს თავისუფალი—ზრდილობიანად უთხრეს სამმართველოში.



ლევარსის პაკეტი მიჰქონდა...

—რომ იყოს, მე მაინც არ მინდა... მე მინდა უნცროსი მილიციონერობა—რიხიანად მოუჭრა ლევარსიმ.

— კარგია, მიიღე... მაგის დანახვა შეაშინებს კაცს, და წესიერების დარღვევას ვერავინ გაბედავს,—გადაულაპარაკა უფროსმა ,—და ლევარსი მიიღეს სამსახურში.

მიუხედავად იმისა, რომ ლევარსი არსებული ხელისუფლების ჩუმი (თავის გულში) მტერი იყო, იგი ყოველთვის და ყველგან პირნათლად ასრულებდა მაზე დაკისრებულ მოვალეობას.

—დათვი რომ მოგერიოს, მამა-ხარო, უნდა უთხრა და მართლაც, როგორც მამას შვილი, ისე ერთგულად უნდა ემსახუროო.

ამის გარდა ლევარსის, როგორც მომავალ სახელმწიფო კაცს, აინტერესებდა საქმის ცოდნა.

— გადატრიალების პირველ ხანებში, შინაგან საქმეთა მინისტრად უნდა დავდგე, რომ კომუნისტები ამოვჟუჟო ყველგან... ჩემთან შედარებით, მონაგიონი არ იქნება ნოე რამიშვილი.. „თეთრი კბილი შავი გული“—აი ჩემი პოლიტიკა—ასე ფიქრობდა ლევარსი, როცა იგი საგუშაგოზე იდგა ღამე.



— ამხანაგო, თუ შეიძლება შემოუარეთ; აქ გადასვლა აკრძალულია..

— არც ეს არის ადვილი საქმე... ესეც დიდი პასუხისმგებლობაა. ხალხს ეხლა სძინავს... მე ვარ ვალდებული ისინი დავიცვა... როგორც ძილის მფარველი ანგელოზი, მეც ისე ვიცავ მათ ძილს... ჭეშმარიტად: მილიციონერია ქალაქის მცხოვრებთათვის ძილის ანგელოზი.. დიდი ნდობა გვაქვს... ჩვენ უნდა დავიცვათ მთელი უბანი... იძინეთ მოქალაქენო ტკბილად და უდარდელად.. ნუ გეშინიათ... ქურდი ვერ გაგქურდავთ... ლევარსი როხროხაძე საგუშაგოზე სდგას და გიცავს თქვენ, თქვენს ქონებას და თქვენს სიცოცხლეს...

— რამდენი მსხვერპლი ხდება ქუჩებში... ჩვენ კი ვიცავთ მცხოვრებთ ხიფათისაგან... აი, აგერ ვირი მოდის... მას ჯერ ვერ უსწავლია ქუჩაში გავლა, თუმცაღა ყოველდღე ათრევს შეშას... ანდა რა მისი ბრალია, როცა აღმასკომი წარა-მარა სცვლის მოძრაობის წესრიგს. შეისწავლი თუ არა ერთს,—მეორე სხვანაირი წესრიგის დადგენილება გამოდის...

— ამხანაგო,—მიმართა ლევარსიმ ვირს და კიდეც შერცხვა რომ მას „ამხანაგი“ წამოცდა, მაგრამ არ შეიფერა—თუ შეიძლება შემოუარეთ; აქ გადასვლა აკრძალულია,—და ლევარსიმ იშიშვლა ნიშანი.

მხოლოდ ჯიუტი ვირი არ დაემორჩილა ლევარსის ბრძანებას და განაგრძო გზა.

მოთმინებიდან გამოსულმა ლევარსიმ, იგი კომისარიატში წაიყვანა, როგორც წესრიგის დამრღვევი და უბნის უფროს მოახსენა პატაკი:



უბნის უფროსს პატაკი მოახსენა..

— ამხანაგო უფროსო, ეს მოქალაქე არ დაემორჩილა ჩემს ბრძანებას წესიერი მოძრაობის შესახებ და თანახმად განკარგულებისა მე იგი დავატუსაღე და წარმოგიდგინე თქვენ—

მართალია, ლევარსიმ მოვალეობა შეასრულა, მაგრამ ვირის დატუსაღებამ მაზე ცუდად იმოქმედა და ვირისადმი სიბრალულით აივსო.

— გცხვენოდეს... შენ იცავ საბჭოთა კანონებს, რომლებსაც სცემენ კომუნისტები, ჩვენი დაუძინებელი მტერნი... მაგრამ დადგება ჩვენი დროცა და ვნახოთ მაშინ.—თითქოს ვირი ელაპარაკებოდა ლევარსის ამ სიტყვებს, რომლებიც გულში ხვდებოდა ლევარსის და იქ იმარხებოდენ.

— ვირი, ვირი დამებნა... ვაიმე დავიღუპე—ყვიროდა ტეტია და იქით-აქეთ ეხეთქებოდა...

— ნუ გეშინია, მეგობარო... შენი ვირი მე წავიყვანე კომისარიატში, რომ არ დაბნეულიყო და არ დაგკარგოდა—ანუგეშა ლევარსიმ ტეტია და კომისარიატში წაიყვანა.

—:—

— არა, ხვალიდანვე მე ვსტოვებ მილიციას,—და, მართლაც მეორე დღეს ლავარსიმ განცხადება მისცა უბნის უფროს მისი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

## ლევარსი კინოში

ლავარსი თეატრს და სანახაობას (გარდა ცირკისა და ისიც ჭიდაობას, რომლის შესახებ შემდეგ) არასოდეს არ სცემდა პატივს.

ზაფხულობით, როცა ქალაქიდან სოფელში ჩამოდიოდენ მოსწავლე ახალგაზრდები და გამართავდენ წარმოდგენებს, ლევარსის ყოველთვის უხდებოდა სათეატრო დარბაზის მოსაწყობათ ფიცრების და ძელების ზიდვა მეზობლებიდან.

— ჩვენ გვინდა ჩვენი სოფელი სხვების სოფელს არ ჩამორჩეს... „თეატრი ცხოვრების სარკეა“, ჩვენ გვინდა სოფლად „კულტურა“ გავავრცელოთ და შემოვიტანოთ—დაიწყებდა ერთი ახალგაზრდა სოფლის კრებაზე ლაპარაკს...

ლევარსი ხელად შეატყობდა, თუ რისი თქმა უნდოდა „კაკარტიანს“ (ასე უწოდებდენ სოფლელები მოწაფეებს, რომლებიც ფორმის ქუდს ატარებენ).

ე, დაიწყო ახლა „კულტურა“... სახლში წამოდით, ხალხო... აქ რამდენი მოცლილი ვილაცებია და საარშიყოდ წარმოდგენებს მართავენ, მაგათთვის ლევარსის არ სცალია, რომ ძელები ათრიოს და წელი გაიწყვიტოს,— დაიძახებდა ლევარსი, როგორც კი ლაპარაკის დაწყებას განიზრახავდა „კაკარტიანი“.

ერთი სიტყვით: ლევარსი თეატრს და სანახაობას არასოდეს არ სცემდა პატივს...

—:—

და მიუხედავად ამისა, თუ იგი კინოში ვნახეთ, მხოლოდ ამიტომ, რომ აჩვენებდენ: **„დათვურ ქორწილს“.**

ლევარსიმ საგანცხადებო ბოძზე წაიკითხა აფიშა და სახე გაუბრწყინდა, როცა **დათვის** სახელი ამოიკითხა.

მას მოაგონდა ის დრო, როცა ნადირობის დროს დათვი დაიჭირა, შეაჯდა და სოფელში ჩამოიყვანა („ტარტაროზი“ №). როცაძირეული ხეები მოსჭრა და სამი ცოცხალი დათვით სოფელში ჩამოიტანა ის ხე და შემდეგ დათვები ფეშქეშად დაურიგა მეზობლებს („ტარტაროზი“ №).



სწრაფ ავარდა ორკესტრის მოაჯირზე...

გენაცვალეთ დათვებო... ერთი დამენახვეთ თქვენი ჭირიმე... ო, როცა გადატრიალებას მოვახდენ და მთავრობას შევადგენ, მეორე დღესვე წამოვალ ტყეში თქვენზე სანადიროთ...

—:—

პირველი ბილეთი, (როგორც ლევარსი ამბობდა: „სიფთა“) მოლარემ ლევარსის მოუხია, რადგან პირველი რიგი ლევარსის იყო.

პროლოგი დაიწყო.

გრაფი შემეტი თავის ბედაურზე იჯდა და სანადიროდ მიდიოდა.

— კაი ცხენია, მაგრამ მე რომ რაში მყავდა, იმას მაინც ვერ აჯობებს,—გაიფიქრა ლევარსიმ, როცა გრაფმა ცხენი შეაყენა, რომ ცოლი დაენახა.

აგერ: გრაფის ცოლი დაეძებს მოკლულს... და, ოი საშინელებავ: დათვი წამოადგება თავზე... ხსნა არსაიდან, საბრალო ქალი უნდა შესჭამოს დათვმა, ქალი შველას ითხოვს, მაგრამ არავინ არის...

ლევარსიმ ველარ მოითმინა.

— ნუ გეშინია, ქალო, აგერ ვარ ლევარსი როხროხაძე,—და ლევარსი პარტერიდან ეკრანისაკენ გაექანა. სწრაფ ავარდა ორკესტრის მოაჯირზე, ორკესტრი დაფრთხა,—და ის იყო ეკრანისათვის უნდა ეტაცნა ხელი, რათა დათვი მოეშორებინა ქალისათვის, რომ მთელ დარბაზში ატყდა აურ-ზაური და დარბაზი განათლდა. ლევარსი ორკესტრზე გადმომდგარიყო.

— ნუ გეშინიათ, ხალხნო,—მიმართა ლევარსიმ დარბაზს დამშვიდებით;—დათვმა როგორც კი დამინახა აქ ამოსული, შეეშინა და მოჰკურცხლა. ქალი გადავარჩინე... დამშვიდდით... განაგრძეთ წარმოდგენა,— და ლევარსი გადმოხტა ორკესტრის მოაჯირიდან.

ზმუკი.

## შავი გული,



მიკიტანი: ეს ოხერი რომ არ მაძლევს მოსვენებას.. დაიქცეს მაგის ოჯახი.

## თეთრი კბილი



მიკიტანი: ჰო, გენაცვალე, მიირთვი... ერთი კიდევ გადაჰკარი...



# „ქურდს ქუდი ეწვის“



მილიციონერი: (სტვენით) ხელი გაუშვით ერთმანეთს...

ქურდები (დაგვინახეს... მილიციონერი ჟორბის თავს უშველოთ).



მილიციელი შოფერებს და მეეტლეებს

მე თქვენ გიჩვენებთ ყველას ფეთებას
ეცით პატივი ვაგონს ტრამვაის
საჰყლეტად თქვენდა ვინ მემეტება?
ისიც გვეყოფა რაც დღევანდლამდე
თქვენ ხალხი ჰყლიტეთ აძახეთ ვაი.

**ხმები**

რაშია საქმე?

**მილიციელი**

რაში არის და
ეს ახალ მოდის დადგა ტრამვაი.

# გადაპრულში

ეს იყო მიმდინარე წლის ზამთარში.

საღამოს 12 საათზე.

შემთხვევით გადავიარე ქუჩა და შუაქუჩაში დაყუდებულ ელექტრონის სვეტს დავეძგერე.

უცბათ მომესმა „სვისტოკის“ ხმა, რომელმაც გასჰრა ჰაერი.

მივიხედე—ჩემს წინ მილიციის თანამშრომელი იდგა. მე შევნიშნე, რომ იგი ძლიერ გაჯავრებული იყო.

— ამხანაგო, გთხოვთ მაპატიოთ,—დავიწყე მე ენის ბორძიკით (მე დამავიწყდა მეთქვა, რომ ცოტა გადაკრულში ვიყავი), მე ვგრძნობ, რომ ბოროტმოქმედება ჩავიდინე. დავეტაკე და კინაღამ წავაქციე ის ბოძი, რომელიც დარგო ქალაქმა განათების მიზნით...

მილიციელმა თანაგრძნობით შემომხედა. მე ამან გამათამამა.

— დიახ, ამხანაგო მილიციელო, მე ვგრძნობ, რომ დამნაშავე ვარ, ტყუილ-უბრალოდ დავეჯახე უდანაშაულო ბოძს, რომელიც თავისთვის დგას და სამსახურს ასრულებს. ამას გარდა, ბოძი რომ წაქცეულიყო, შეიძლება ავტომობილს, ან ეტლს ან ტრამვაის ვაგონს დაცემოდა და ამით აურ-ზაური გამოეწვია.

მილიციელი კიდევ მეტი თანაგრძნობით მიყურებდა. ბოლოს გამიღიმა და მითხრა:

თქვენი მისამართი?

— მისამართი არ მახსოვს, მეგობარო,—შეკრთომით ვუპასუხე მე, რადგანაც შემაფიქრიანა მისამართის კითხვამ.

— მაშ კარგი, მე მოვძებნი თქვენს მისამართს.—

მეორე დღეს ფრიად უცნაურ გარემოებაში გამომეღვიძა. ჩემი ქვეშსაგები თითქოს ვიღაცას მოეპარა და პალტოს ამარა ვეგდე ლოგინზე. ოთახიც გამოცვლილი მეჩვენა.

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ უფრო გავკვირდი, რადგან შევამჩნიე, რომ ჩემი ბალიში საკმაოდ მაღალი ტონით ხვრინავდა. ერთ კუთხეში ვიღაც მოკუნტულიყო და პაპიროსს აბოლებდა. ორიოდე წუთის შემდეგ გამოვერკვიე, რომ თავი ბალიშზე კი არა, ვიღაც უცნობის ზურგზე მედო.

კუთხეში მოკუნტული უცნობი, აბოლებდა მყრალ პაპიროსს.

ვეღარ მოვითმინე.

ამხანაგო, გთხოვთ მიბრძანდეთ ჩემი ოთახიდან, ერთი რომ თქვენ არავითარი უფლება არა გაქვთ ჩემს ბინაში შემოხვიდეთ, და, მეორეც თქვენ ისეთ სიმყრალეს ეწევით, რომ აუტანელი ხდება აქ ყოფნა.—გაბრაზებით უთხარი მას.

შემდეგ ჩემს „ბალიშს“ მივუბრუნდი:

— მეგობარო, დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ ბალიშათ გამომადექით, მაგრამ მაინც დაპატიმრებული ხართ. ვინ მოგცათ თქვენ ჩემს ოთახში შემოსვლის უფლება?

ჩემმა „ბალიშმაც“ და კუთხეში მოკუნტულმაც ნელა გაიღიმეს.

# სიერი მიმოსვლა“

ტრამვაი როცა დგას, ეტლებს და ავტომობილებს არა აქვთ გავლის უფლება.



შოფერი

ეი მიგვეჩქარება
ბს ჩვენ რა გვაქვს ბრალი?

ონდუქტორები

ა ამ ვაგონებმა
ხვინა, დაუდგეს თვალი!
ტას ვაგონი ხდება,
და ყოველ წუთშია,
ძველი ვაგონი
თ სადმე ყუთშია.

მგზავრი

ძმაო ვატმანო! აწ კი გეყოფა
ჩვენი წვალება, გაგვიშვი ჩქარა.

ვატმანი

ჯერ რა გვაჩქარებს, მაინც ადრეა,
რა გააკეთა ვინც რომ იჩქარა?

მგზავრები ერთად

უკვე შესრულდა ცხრაი საათი
ველარ მივასწრებთ სამსახურშია...

ქალი

ნეტავი ფეხით წავსულიყავი,
არ ვიქნებოდი საყვედურშია.

ხმა ავტომობილიდან

შენ ამხანაგო მილიციელო
გონს მოდი ჩქარა ის გირჩევნია,
ნეტა რას ფიქრობ, გვიდგები გზაზე.
მდგომარეობა რას გავს ჩვენია?

მილიციელი

სანამ ტრამვაი არ დაიძრება,
თქვენი გაშვების არ ვარ ჩვეული...

ყველა ერთად

ოხ? რა გვიჭირდა გვევლო სულ ფეხით
მილიციელო იყავ წყეული!..

— როგორ, თქვენ იცინით კიდეც, მოუმატე მე ხმას, იცით თქვენ, რომ დაპატიმრებული ხართ? მე თქვენ გაპატიმრებთ ჩემს ოთახში შემოსვლისათვის!

სტუმრებმა ხარხარი მორთეს.

მე წამოვხტი და ჯერ „ბალიშს“ დავეძგერე, მერე მოკუნტულისკენ გავექანე, ვინ იცის რით გათავდებოდა საქმე, რომ ამ დროს გავიგონე მუქარის ხმა:

— ყმაწვილო, რა გემართებათ, სადა გგონიათ თავი?

მივიხედე! ოხ საშინელებავ! ჩემს წინ მილიციელი იდგა.

— ეს თქვენი ოთახი კი არ არის, ეს სამილიციო კამერაა, თქვენ თითონ პატიმარი ხართ.

ჩემი მდგომარეობა თქვენ თითონ წარმოიდგინეთ!

—:—

მეორე დღეს ჩემი მეგობარი კაცი შემხვდა, ხელში გაზეთი ეჭირა. ღიმილით ხელი ჩამომართვა და მითხრა:

—რა უყოთ, სხვასაც მოსვლია ასეთი.

— რა მოსვლია კაცო?

აი რა, მიპასუხა მან და წამიკითხა გაზეთის ის ადგილი, სადაც ეწერა:

## შემთხვევები

„საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის მილიციამ დააპატიმრა მოქ. (გვარს მე აქ არ ვიტყვი).

წესრიგის დარღვევის გარდა აღნიშნულ მოქალაქეს ბრალად ედება სხვა ბოროტმოქმედებაც, როგორიც არის ელექტრონის ბოძების დანგრევა და სხ.

დამნაშავე პასუხისგებაშია მიცემული. კვლევა-ძიება სწარმოებს“.

ამას შემდეგ მე გულგრილად ველარ უყურებ მილიციელს და კერძოთ ისეთ სამილიციო დაწესებულებას, როგორიც არის სამილიციო კამერა.

ტერხიტი.



## დ. სუფსა

ტარტაროზ, შენი ჭირიმე,
ვარ შენი ფეხთა მტვერია;
შენა ხარ თითონ მოწამე
მეტი არ დამიწერია.
ნება მიბოძე გაუწყო
ამბავი დასაჯერია,
რომ ამით გავხდე შემდეგში
თქვენი ერთგული წევრია.
დიდი ხანია გელოდით,
მგრამ არ გვერგო ჯერია...
სუფსას ბევრი ჰყავს საჯობე
და ბევრი დასაჯერია.

—:—

უწინ ვესტუმროთ ვალიკოს
(გვარათ რომ არის ჟღენტია)
იმისი ქება-დიდება
მგონი არ არის მეტია.
მის ვინაობას თუ მკითხავთ
გეტყვით, რომ: რკინის-გზელია
უყვარს „ცენტრალკის“ ტარება,
თუ არის დიდი, გრძელია.
ხელში უჭირავს მაშხალა,
ბებუთი წელზე ჰკიდია!
ფილითა თოფსაც კადრულობს,
თუ ბერდანსავით დიდია.
ერთხელ ლადიკომ ხალხს უთხრა:
—სახლი კრამიტით დახურეთ,
თორე გადაწვავს აშხალა,
და შედეგ დამწვარს დაჰყურეთ...

—:—

მაგრამ ნასროლი მაშხალა
დაეცა მისვე ნალიას*);
ცეცხლმა რომ ალი ატყორცნა
ხალხი იცინის ძალიანს.
მოქეიფეა ვაჟკაცი,
მასთან ვაჭარი „სტარშინა“.
ბევრი გაყიდა სუფსაში
განაჭაფავი „მაშინა“.
აბა მითხარით: სად ჰქონდა
ზინგერის ათი მაშინა?!
(ვექილათ ცხვა რომ დანიშნა
ნეტავი რამ შეაშინა!?)
გურგენმა რადგან ვერ მისცა
ხელად მაშინის ფულია
(და მით ვალიკომ ცოლ-შვილსა
ვერ გაუხარა გულია)
ამ ამბით ჩვენი ვალიკო
გურგენზე დიდათ განრისხდა
და დაინიშნა ვექილათ
რამინაშვილი კალისტა.
და მართლაც საწყალ გურგენას
თავს დაატეხეს მეხია,—
და სანამ ფულს იშოვნიდა
არ მოაცვლიეს ფეხია.
ვალიკო დიდი კაცია
გაქნილი, ყველგან მძრომელი
თუ უწინ რაშს აჭენებდა,—
დღეს ვირზეც ვერ არს მჯდომელი.

თქვენი ძმა.

*) სასიმინდე შენობა გურიაში.

## გამოცანა

ალმასკომში მსახურობდა
შეაჭამა ფულმა თავი,
ერთხანს სპეკულიანტობდა,
მთლად გააძრო გლეხებს ტყავი.
გაზეთებში მის შესახებ
ბევრჯერ იყო დაბეჭდილი.
მას უყვარდა ღვინო... ჩხუბი,
და არ შერჩა წინა კბილი.
ფლიდი არის... თუ გიხერხა
გამოგისობს ყელში დანას
უნდა მაშინ გაუფრთხილდე.
როცა გიმღერს ტკბილსა ნანას.
(ჩვენს სოფლელებს ახლაც ახსოვს
მისი ქცევა მაშინდელი!)
რალა დიდი გავაგრძელო
სიმაური ყავს მას ღვდელი.
ჩვენ სოფელში რომ ამოსდევს,—
ჩოხატაურს მიაშურა
და „ეპოში“ ერასტოსთან
იგი შეძვრა, როგორც ტურა.
უხეიროთ იცის ბრაქვა
მართალს ეტყვი—მოდის გული..
მაგრამ ეხლა ვაჟბატონი
დადის პანღურ ამოკრული.
—ნეტა რისთვის გააძევეს?
ეს ამბავი მოხდა რატომ?
მეკითხება გაბუტული
მეზობელი თამარ, ნატო.

იანო.

## წერილი ტარტაროზს
(ფოთიდან)

ბოდიში ძმაო ტარტაროზ,
ბოდიში უთვალავია,—
დაგიგვიანე წერილი,
თავი მაქვს მოსაკლავია.
მაგრამ რა მექნა, ვერ შევძელ
დროზედ მოკრება ამბების;
ეხლა გიგზავნი და ვინძლო
გული მით დაგიამდების.
სალამს გიძღვნიან აქედან
ვაჭრები მელე და სუქნები.
გატყობინებენ: აივსო
საქონლით მათი დუქნები...
და ეხლა საწინაღმდეგო
აღარ აქვთ არაფერია.
მუცელზე გვიხვ დაედოთ
და მოუვიდათ ფერია.
მათ უერთდება მამებიც
გრძელ-გრძელი ანაფორებით;
ხელში საკურთხით და მთელი
საეკლესიო ქონებით.
სალამს გიძღვნიან და გთხოვენ
მფარველობას და შველასა,
ცოცხლებს ხელს აღარ ახლებენ,
კვდრებს კი დამარხვენ ყველასა.
„გინდა რა გინდა“-ს პარტიის
წევრებიც გესალმებიან,
შენს სადღეგრძელო ღვინოს სმენ
—„ტოსტი“-სთვის ემზადებიან.
სამაგიეროთ ითხოვენ
ნუ მიაყენებ ვნებასა,
და თითო ჩაფსაც დასცლიან
თუ მისცემ ამას ნებასა.

ძველი ბალახინი.

## გზის დალოცვა



მღვდელი და დიაკონი: ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეს იმ ქვეყანაში მიმავალს.

# „ბულა(ლ/მ)ტერი"

დავანგრევ მაგ შეჩვენებულს! ცეცხლს წოუკიდებ და გადავბუგავ.

რას გადაბუგავ, ივანე? რამ გაგიჯავრა ასე, შე კაი კაცო?

— რას და ამ დასაქცევ,—რაცხა კურსებია... არ შევსულიყავი მაგაზე და ნასილჩიკად დავმდგარიყავი კი მერჩია?! დავცდი კაცო, ჩემხელა ყიზახს ყანაში ექვს აბაზს აძლევენ დღეში და მე ტყვილა-უბრალოთ გავაცდინე ამდენი დრო.—წუწუნობდა ივანე შაკოკია.

— რა დაწესებულებაა მაგი დაწესებულება ასე, რომ ძრახავ, ჩემო ივანე!?

— რა დაწესებულებაა, ჩემო საყვარელო, და ხვთის პირიდან გადავარდნილი და წყეული საბუხგალტრო კურსები.

გავბრიყვდი.

გადავცდი.

სოფლის ინტელიგენტის პირობაზე კაცი ვერ დამიწუნებდა, საუცხოო მასწავლებელი ვიყავი, გამოცდილი პედაგოგი, ამდენი წლის სტაჟი... ყველაფერი გადავყარე წყალში და გავანიორწყალე.

სოფელში ვიყავი მასწავლებლად, კარგი 40 მანეთი მქონდა თვეში ჯამაგირი. მართალია, იმასაც ხან ვღებულობდი სრულად და ხან არა, მაგრამ მაინც კარგი იყო. ამ დროს ჩამოვიდა ამ დასაქცევ ქალაქიდან ერთი ნაცნობი ყმაწვილი, გაბერილი და გასუქებული, გამოწყობილი და გამოჩისტული.

ვკითხე:—საიდან გაქვს ბიჭო ყველაფერი ეს? აქედან რომ წადი სული კბილით გეჭირა-თქვა!

— მე, ჩემო ძმაო, ბუხგალტრების კურსები დავამთავრე, იმ წამსვე ადგილი ვიშოვე, ჯამაგირიც კარგია და ცოტა გამოსარჩენიც არისო მიპასუხა ჩემმა, ნაცნობმა.

თბილისში ახლა არც ერთი კაცი არ არის უმუშევრად, ყველამ გაათავა ბუხგალტერიის კურსები და ახლა სამსახურში არიანო დაუმატა მან.

ეს რომ მითხრა, გული გადმიბრუნდა. ვიფიქრე: მასწავლებლობამ რა ხეირი დამაყარა; მოდი ერთი: მეც ვცადო ბედი; იქნებ რამე სახეირო საქმე გამოვიდეს-თქო.

ავდექი, დავანებე თავი ძველ ხელობას და გამოვეშურე თბილისისაკენ. შევედი იმ დასაქცევ ბუხგალტერიის კურსებზე და ექვს თვეში დავამთავრე კიდეც.

მას მერე, აგერ უკვე წელიწად ნახევარია დავეხეტები, ხან ერთ დაწესებულებას მივადგები, ხან მეორეს. სამსახური მომეცით თქო, მაგრამ შენც არ მომიკვდე, კაცი ხმას არ მცემს. თურმე, მართლაც, რაც უმუშევარი იყო, ყველა ამდგარა და ბუღალტრად დამდგარა, ყველას გაუთავებია ის შეჩვენებული კურსები. ახლა თბილისში ყველაზე მეტი ბუხგალტერია, ფეხი რომ წაიკრა, ბუხგალტერი იქნება, ცხვირს რომ დააცემინო და ღვთის წყალობის მთქმელი ბუხგალტერი აღმოჩნდება. ასეთ მდგომარეობაში მოდი და ეძებე ბუხგალტერის ადგილი.

ჩვენი დაწესებულებები ახლა ბულა-ლტერს უფრო ერიდებიან, ვიდრე ბულა-მტერს.

ამიტომაც არის, რომ მე, კურსებ გათავებული კაცი, უადგილოდ დავრჩი; ვეღარც ბუღალტრის ადგილს ვშოულობ და მასწავლებლადაც აღარ მიღებენ; დალტონპლანის მეთოდი არ იციო. აი, ამიტომ არის, რომ ასე ვარ გულგახეთქილი მაგ შეჩვენებულ კურსებზე. მაგი რომ არ მოეგონათ, მე ახლა უადგილოთ არ ვიქნებოდი.

ალდარხან.

## ქუთაისელი



„საქმის სპეცი"

## წერილი მეგობარს

გამარჯობა ძმაო ნიკო!

შენ ჩემი მდგომარეობა გაინტერესებს, როგორც ეს შენი წერილიდან გავიგე. გიამბობ. (ნუ გეშინია: სხვა მე არ მაქვს).

შენ კარგათ იცი, თუ რა იმედით წამოვედი სოფლიდან, სადაც გავყიდე მამაჩემის „უძრავ-მოძრავი" ქონება.

ჰო-და ამოვედი აქ, თბილისში, რომ უნივერსიტეტში შევსულიყავ. ცხადია: მამაჩემი ვერ შესძლებდა ჩემთვის საჭირო ფულის მოწოდებს; ასე რომ თვითონ უნდა გამომენახა „წყარო ჩვენი არსებისა"... ამიტომაც შევედი საბუჰღალტერიო კურსებზე.

ვფიქრობდი: ღარიბი კაცი ვარ, ჯერ რამე სპეციალობას შევისწავლი, ლუკმა-პურს გავიჩენ და მერეც მოვესწრები უნივერსიტეტის გათავებას-მეთქი.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მე დავასრულე სახელმწიფო ბუჰღალტერიის კურსები და სქელ ქაღალდიანი დიპლომიც მომცეს. (ალბად სქელ ქაღალდზე იმიტომ იყო დაწერილი ჩვენი დიპლომი, რომ ჯიბეში ტარებით არ გაცვეთილიყო).

როგორც კი ხელში ვიგდე დიპლომი, მაშინვე რიხიანად მივადექი დაწესებულებებს, მაგრამ შენც არ მომიკვდე,—ვერსად ადგილი ვერ ვიშოვე.

— შე დალოცვილო, სამსახურში ახალი კაცის მიღება კი არა,—რამელიც არის იგი უნდა დავითხოვოთ შტატების შემოკლების გამო.—

იმედ დაკარგულმა, სხვა რომ არაფერი დამრჩენოდა, დავაპირე სოფელში წასვლა, მაგრამ სახლში ვინ შემიშვებს?!

მაგრამ ხერხს მივმართე: მამაჩემს შემდეგი წერილი გაუგზავნე:

# მიხედეთ!



ა, ამ ბავშვებისთვის
ცხოვრებაა—„შაქარი",
ხოლო ნაგვის ყუთი კი...
ღამის თავშესაფარი.
მაშინ, როცა ხიკავენ
ყუთში საჭმლის ნარჩენსა—
თუ კი ძვალიც იპოვეს,
მადლს სწირავენ გამჩენსა.

თქვენ, ეი, მოქალაქენო
ყუჩს, რომ იძლებთ „ტორტებით"—
მუდამ არც თქვენ იცოცხლებთ,
დღეს თუ არ—ხვალ მოკვდებით.
თან წაგყვებათ ამ ბავშთა
წყევლა ბოროტ მთქნარებთ
თუ ამ უპატრონოებს
დღეს არ დაეხმარებით!

ძვირფასო მამა!

გისურვებ კარგათ ყოფნას შენი კეთილებრთ. მამაჩემო, მე საბუღალტერო კურსები ყოჩაღად დავასრულე და რამოდენიმე დაწესებულებაში მიწვევენ მთავალ ბუღალტრად, მაგრამ შენ კარგად გეცოდინება ახალი ლოზუნგი: „პირი სოფლისაკენ".

მართლაც, მამაჩემო ყველა შეგნებულმა და სპეციალობის მცოდნე კაცმა ეხლა სოფელს უნდა მოხედოს, რომ სოფელი წინ წავიდეს და „გაკულტუროსდეს".

ამის გარდა, მამაჩემო, ყველა ოჯახს სჭირა ერთი ბუღალტერი, რომ ყველაფერი აღწერილი იყოს; კაცმა უნდა იცოდეს თავისი ოჯახის შემოსავალ-გასავალი; მაგ.: რამდენი კვერცხი იდება ყოველდღიურად ქათმების მიერ. ვსთქვათ: ქათამმა დასდო ერთი კვერცხი; ეს კვერცხი უნდა ჩაიწეროს ᲓᲔᲑᲔᲢᲨᲘ; ეხლა ვსთქვათ, რომ: ჩვენმა პატარა ვანომ დედის დაუკითხავად ბუდეში მოიპარა ერთი კვერცხი,—ეს უნდა დაიწეროს ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲨᲘ. (მხოლოდ ამ შემთხვევაში კრედიტი კი არ ნიშნავს გასესხებას, ნისიას, არამედ გასავალს. ვანოს მიერ მოპარული კვერცხი გასავალში (კრედიტში) იწერება.

ამას გარდა, ოჯახმა უნდა იცოდეს, თუ რომელი ცხოველი და ფრინველი იძლევა მოსავებს, თუ ზარალს...

ერთი სიტყვით, მამაჩემო, ბუღალტერი ყველა ოჯახს ესაჭიროება და აუცილებლად გაკოტრდება ის ოჯახი, რომელიც ბუღალტერს არ აიყვანს.

შენი შვილი ᲨᲐᲚᲘᲙᲝ.

ჰო-და, როცა მამაჩემს ეს წერილი წაუკითხავს, ჩემს მაგიერ, თურმე ჩემპატარა ძმას დაუწყო ცემა,—შენც **ისეთი სულელი გამოხვალ, როგორც იგიო (ჩემზე).**

მეც მალე მივიღე პასუხი,—მამაჩემი მწერდა:

ვაი, ჩემს გამჩენს, რომ შენ გადაგყევი და კაცი მაინც ვერ გამოდი.

ბიჭო, მთლად გასულელდი, თუ რა ღმერთი გიწყრება?! შე ფეხებგასაციებელო, ᲓᲔᲑᲔᲢ-ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘ არ ვიცოდით ამდენხანს, მარა ოჯახი არ დაგვიქცევია, ვაშენებდით. რა შენი ბუღალტრობა უნდა ქათამის კვერცხებს. ქათამი რაცხა ათ კაკალ კვერცხს გააგდებს წელიწადში, იმის ანგარიშის საწარმოებლად გაგათავებინე გიმნაზია და უნივერსიტეტში გაგგზავნე? არ დაგინახო სახლში მოსული, თორემ სარით წელს გაგიშლი.

მამაშენი თაყა.

აი, ძმაო, ამის შემდეგ მოდი და იცხოვრე. აქ არის-და,—სამსახური ვერ ვიშოვე... იქ არის-და,—მამაჩემი სახლში არ მიშვებს... როგორ ხასიათზე ვიქნები ახლა,—კი მიხდები.

შენი მეგობარი ᲨᲐᲚᲘᲙᲝ.






## საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს

გურიის სოფ. გომში „ჭრელი აფთარის“ სიტყვით,

„გამრავლდენ ჭორიკანები,
ქმრიან ქალებს ეს უყვართ,
ბარიშნებს—ლორიგანები!“

არაფერი საწინააღმდეგო ტარტაროზს არა აქვს თუ ეს „ლორიგანები“ ბაჟგადახდილია; ასეთ შემთხვევაში გათხოვილთაც და გაუთხოვართაც ნებას ეძლევათ „უბაჟო“ ჭორიკანობისა, მაგრამ თუ ლორიგანები კონტრაბანდია, მაშინ... ადგილობრივ მილიციას აცნობეთ საქმის გარემოება.

## კისერი უტეხიათ, კინჩხიც მოუყოლებიათ!

— გათავდა ომი ფიცხელი, გადაწყდა ბედი ქართლისა!

უკაცრავად, ჯერ ომი არ დათავებულა, არც ქართლის ბედი გადაწყვეტილა, მაგრამ მამა იუსტინეს გრძელი წვერის ბედი კი აქედანვე გადაწყვეტილა. „ჭიტას“ სიტყვით:



„ტობანიერის წმ. გიორგის ეკლესიის დასაპყრობათ გაუთავებელი ბრძოლა დეკანოზ იუსტინე მამფორიასა და თეოდოტე ნაფეტვარიძის შორის. ბრძოლის გადამწყვეტ იარაღად ჩაითვლება წვერები, რომელიც მამა იუსტინეს კაი მოგრძო აქვს, ხოლო თეოდოტე კი ქოსაა“.

ტარტაროზმა მიიღო რა მხედველობაში ორ „ღირსეულ მამათა“ სწორუპოვარი ბრძოლა, გამოიტანა განაჩენი:

„ვაი, ამ დღის მოსწრებას,
ვაი, ამ ჩვენს დროსაო,—
იუსტინეს წვერებს გლეჯს,
თეოდოტი ქოსაო.
ტარტაროზი ამ ღვდლებზე
რისხვით შეიმოსაო;
სთქვა:—ორთავე მძორები,
გადაყარეთ შორსაო!

ვფიქრობთ, გლეხობას ტარტაროზის გონიერი რჩევა ჭკუაში მოუვა და მალე გაანთავისუფლებს ტობანიერს ასეთი ანტისანიტარული მდგომარეობიდან.

## ბ რ ძ ო ლ ა.

დიდი-ჯიხაიშიდან ახირებულ ამბავს იწერება „ვერვია № 42“, ალმასკომის მილიციონერ ნოე ბალანჩივაძის შესახებ:

„ნოეიას დაუჭირავს
სამი წყვილი თხაო,
რომლებსაც დავიწყებოდათ
ბეგრის გადახდაო.
სახალხო სახლში შერეკა,
კარებს დაუდგაო,
ძმა-ბიჭებსაც დაუძახა—
„ობისკი“—უქნაო“.

სამ წყვილ თხას რომ ბეგრის გადახდა დავიწყნიათ,—ეს მაინცა და მაინც კარგი არაა, მაგრამ მთლად უარესია, რომ ერთ კენტს (?) ისიც დავიწყებია, რომ სახალხო სახლი სათხებო არაა და დაპატიმრებული თხები ასეთ უადგილო ადგილას შეურეკია. საწყალო თხებო! ნეტა რაზე ჰქონდათ კამათი სახალხო სახლში?

ალბათ, იმაზე თუ:

— სანამდი მივა ზოგიერთი მილიციონერის მეტიჩრობა!

## გამგე, რომელსაც ალმოჩენის ნიჭი აკლია

ბათომის პოლიგრაფ განყოფილების გამგის კოლენოვის შესახებ „ბ...ილუსი“ გვწერს, თითქო მას, კოლენოვს უყვარდეს თქმა:

„მე თვით ვარ ზავმც, ზამზავიც, „ერკაკაც“.—სეკრეტარიო.
ჩემს იქით ამ პოლიგრაფში კანონი არსად არიო“.

რა ვუყოთ, ყველა კოლუმბი არაა, რომ ამერიკა... უკაცრავად, კანონი აღმოაჩინოს. ხშირად კოლენოვისთანა „ზამზავ“ „ერკაკას“ ფეხით კანონი მიაგნებს და აღმოაჩენს.

## უთაურთა მეთაურობა.

სუფსის მეყასბეების შესახებ, „აჩვინი“ ლექსად გვწერს:

„სუფსის მეყასბეებმა,
ჩუმჩაირა ჩაირა,
ვაჭრობას მოუხშირებს—
აი, რა!
სასაკლაო უარყვეს,
ჩუმჩაირა ჩაირა,
ქუჩაიში კვლენ საკლავებს—
აი, რა:
გზაში ვეღარ გაივლი,
ჩუმჩაირა ჩაირა,
ძაღლი გამოგვჭამს ბარკლებს—
აი, რა!

გვეგონა: უბარკლოთ შეიძლებოდა სიარული, მაგრამ, თუ სიარული უთავოთაც შესაძლებელი იყო, ამ ამბავს პირველად სუფსის მეთაურთა უთავობა ადასტურებს.

## ცუდი ჩვეულება.

ნიგოითის სადგურის მოლარეს ასე ახასიათებს „კიტკიტა“:

„პირველად ვნახოდ სადგური
ჩვენ დაბა ნიგოითისა,
მოლარემ უკან გროშების
დაბრუნება არ იცისა“...

გლახა ჩვეულება ქონია ნიგოითელ მოლარეს, მაგრამ კაი სენი არც რკ. გზის სამმართველოს სჭირს:—თუ ერთხელ გააცილა სალაროს მოლარე, მერე არასგზით აღარ დააბრუნებს!

## აი, კულტურა!

აი, კულტურული წამოწყებაც ამას ეწოდება! „კორიანტელის“ სიტყვით:

„ამაშუკეთის შვიდწლედის მასწავლებლებმა დაარსეს ადგილობრივ ჰურების ამომშრომელი საზოგადოება. ტოლუმბაშათ ყველგან კაკოა!“

სწორედ საუცხოვო საზოგადოებაა, რომლის სადღეგრძელოს ტარტაროზიც დიდი ხალისით გიახლებათ და თან მიუღიღინებს:

— ისევ და ისევ ღვინითა
— არი-არალე!
— გამოფიტულან ტვინითა
— თარი-აშარალე!

## ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვა.

მოგონილია ამერიკული ქურდი ქვენობნის (გურიაშია) ქურდებთან. „გინა ასე ახასიათებს მათ:





„გარნდენ ქურდები, რომელთაც ძაფზე ნემსი აქვთ გამობმული, ნემსზე პურის ნაჭერი. ამოეფარებიან ხეს, გადუგდებენ ქათამს, გადააყლაპებენ და იჭერენ“.

აი, ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვა ქათმის დასაჭერათ, მაგრამ ქურდების დაჭერაში რაღა მიღწევებია— ამას, ალბათ, ახლო მომავალში ადგილობრივი ალმასკომი გვაცნობებს.

## რაშია საქმე?

კულაშის თემის, სოფელ ხუჯელორშიდან შემდეგს გვწერს „ფუღუ“:

„ერთი მასწავლებელი გვყავს
სამსონია ეული;
კვირაში სამჯერ დათვრება,
ქალსაც დასდევს წყეული“...

საჭირო იყო კორესპონდენტს ისიც ეცნობებია თუ ხსენებული სამსონია რომელი მონასტრის პანსიონში მასწავლებლობს? თუ ჩვეულებრივ სასწავლებელშია მასწავლებლად, მაშინ მას არც ღვინის ზომიერი დალევა ეკრძალება და არც ქალის გყოლა, ხოლო თუ „ფუღუს“ ეს არ მოსწონს, რა ვქნათ,—კაცია და გუნებაა!

## ცნობათა მიღება



ეძავათ ილისავს. ნახეთ ჩვენი მიწერ-მოწერა ირაკლის და სხვების მიმართ. რაც შეეხება სხვა მასალებს სამხედრო დარგიდან, ჩვენ სიამოვნებით მოვათავსებთ, (თუ კი, რასაკვირველია, ღირსი იქნება). მოგვაწოდეთ.

**ხორეთელს. (ჩოჩხათი).** „არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“.

**ჭინათელს.** მართლაც რა ვუთხრა, ვინც კონტრაბანდი მოიგონა. ასე გრძელი წერილი დაგიწერიათ. ნახევარი საათი დავკარგეთ მის კითხვაში და ერთი ციდა ხეირიანი ვერაფერი ვნახეთ, თუმცაღა სულ ლორიგანებზე და ინდიგო-შივიოტ-კავერკოტებზეა ლაპარაკი.

**კოდარას.** გადმოგხედეთ მოწყალე თვალით და განიშნეთ თქვენი ადგილი—უფსკერო გოდორი.

ბათომელ ხვინჩილას. თქვენი ლექსი ასე თავდება:

უკაცრავად ვარ, ტარტაროზ,
ეხლა მერევა რეტია.
შემდგომში მოგწერ დანარჩენს,
შენ მოიმზადე ᲙᲔᲢᲘᲐ.

და ეს მომზადებული კეტი ყველას უმალ შენ მოგხვდება ასეთი ცუდი წერილის დაწერისათვის.

**ვ. ინგუშხ.** (სადგ. ჯუმათი). ჩვენ მოვათავსებდით თქვენს წერილს, მაგრამ აშკარად სჩანს, რომ სიმართლეს არ შეიცავს. თქვენ ლევარსი როხროხაძესათვის გამოგიცვლიათ სახელი, და მას **ლევარსის** ნაცვლად უწოდებ **ლუარსაბს**. მოსალოდნელია ლუარსაბს როხროხაძე, ლევარსი როხროხაძის ძმა იყოს, მაგრამ, არა... ლევარსი დედის-ერთაა. ასე, რომ თქვენ თავში დავთარი აგშლიათ.

თქვენ იქნებ **ლუარსაბ** (ილია ჭავჭავაძის) გახსოვთ და ერთმანეთში ურევთ **ლევარსის** და **ლუარსაბს**.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მაინც ვათავსებთ ლევარსის სურათს თქვენივე წარწერით:



„ლევარსიმ პალიასტომის ტბაში დიდი ლლავი დაიჭირა და ლლავთან ერთად ზურზე ამოიტანი დიდიხნის ტბაში ჩაძირული ეკლესია“.

**დეიდაშვილს.** (ფოთი) ჩვენც ვიცით, რომ: „ფოთის მოწაფეობა ღლაბუცობს და გაკვეთილს არ სწავლობს“, მაგრამ თქვენც უნდა იცოდეთ, რომ ასეთ წერილს დასაბეჭდათ ვერ უშველის დეიდაშვილობა, (რომელიც სამსახურის საშოვნად გამოგადგებათ, და ჩვენთან ასე უბრალო საქმისათვის ნუ დახარჯავთ. თქვენს წერილს უდეიდაშვილობითაც მოვათავსებდით უფსკერო გოდორში.

**წითელ-მთიელს.** (შემოქმედი) თქვენ იცავთ ბერებს და მონასტრებს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ: „**ბერები რომ ზარს დარეკენ საათია მუშა-ხალხის**“, მაგრამ თქვენი მოსაზრების წინააღმდეგ ლაპარაკობს ამხ. ხუტუ-ხუტუ, რომელიც გვწერს:



— ქალო, ვისადილოთ... ხომ ხედავ მზე ჩადის!
— რა დროს სადილია! ჯერ შემოქმედში ბერებს არ დაურეკიათ.

„ახე ეუბნება ცოლი ქმარს, რომელიც მშიერი ხამუშაოდ მოსულა, მაგრამ „მორწმუნე“ ცოლი „ბერების საათს“ უცდის... ვინ იცის; როდის ბერები არხეინად ხვრინავენ; ხაწყალ კაცს კი ხადილს არ აჭმევენ“....

როგორც აქედან სჩანს, მოქ. წითელ-არმიელო, პირიქით: ცუდი საათი ყოფილა მონასტერი. ყოველ შემთხვევაში ადგილობრივად მორიგდით ორივე: თქვენ და ხუტუ-ხუტუ.

**სასამართლოელს.** (სამტრედია). თუ კი ცოლი გეუბნება:

„ასეთ ცხოვრებას კი სჯობია, რომ მიგატოვოს...
ცალკე წავიდე და ქმაინც ჩემთვის ვიცხოვრო“.

არ გაგიწყრეს ღმერთი,—და არ შეეპატიჟო დაარჩენა. გაუპირდი, რომ მასე მოიქცეს.

**ჩიბათელ მიშას.** კაცო, ჯერ არაფერი საკბილო გამოგიგზავნია და განცხადებაც არ იქნება განხილული. გეტყობათ ძალიან პატიოსანი კაცი ყოფილხარ, რომ:

მსურს თქვენთან თანამშრომლობა,
დარდიც არა მაქვს ფულისა.

ერთად-ერთი კაცი ყოფილხართ ეხლანდელ დროში, რომელსაც ფული არ გყვარებიათ. მუშკოოპში შედით მოლარეთ და იქ მუშაობით ყველაზე მეტ სამსახურს გაუწევთ საბჭოთა ხელისუფლებას, რადგან ფულს არასოდეს არ „გაიიმასიქმთ“.

**ალიაქოთს.** (კიდევ შემოქმედი), არ იფიქროთ, რომ „**დიომიდეს სიმღერა**“ იმიტომ მოვათავსეთ, თითქოს იგი ღირსი იყოს დაბეჭდვის! არა... ჩვენ მხოლოდ ამიტომ ვბეჭდავთ, რომ ეს წერილი პირველი შემთხვევაა, როცა უფსკერო გოდორში ვგზავნით სიმღერას. ვგზავნით იმიტომ, რომ, დეე, დამწუხრებულმა ავტორებმა და მათმა წერილებმა ოპერის სეზონის დასასრულში მაინც მოისმინონ უფსკერო გოდორში სიმღერა. (ჩვენ ხომ ასეთი თავკერძო ხალხი არა ვართ, როგორც სახელმწიფო ოპერა, რომელსაც ერთხელაც არ უმღერია მუშათა უბნებში).

## დიომიდეს სიმღერა

**უწინ ვიყავ მეკალბასედ,**
**(მაკიდოსაც ვყიდდი ხშირად),**
**მე მუშტრების მოტყუება**
**არ მიღირდა არცა ჩირად.**
**გავაკოტრე ყველაფერი,**
**სადაც შევსდგი ორი ფეხი.**
**ბოლოს ვნახე ჩემი ნარმო,**
**და გავმართე იქ ქელეხი.**
**ეს თქვენც იცით, მეგობრებო:**
**გემო არის ცავრის დუმაში.**
**არხეინად დიდხანს ვთალე,**
**ვინ მაჯობებს სმა-ჭამაში.**
**ამოვედი ფანოს ტყავში,**
**მაგრამ ბევრი მტრობს ჯერ კიდევ!**
**აღარა მაქვს მოსვენება,**
**სილოვანის გადამკიდე.**
**მე ამბაკო კარგათ მყავდეს,**
**(დაილოცოს მისი წვერი)—**
**რაც დამაკლდა,—გადაუხდის**
**სიმონი და მისი ბერი.**

დიდი აღტაცებით და „ვაშა“-ს ძახილით შევხვდენ „დიომიდეს სიმღერა“-ს უფსკერო გოდორში; ასე გეგონებოდათ, თითქოს მიგაის უკრავდენ ტაშს.

**დაკარგულს.** (ნიგოითი), თქვენი: „ვლადიმერიანი“, უფსკერო გოდორში გადავაგზავნეთ, რადგან ისე მძლავრი ყოფილა, რომ „პროტექცია-სავით აღმართს ხნავს“. ამ გაზაფხულზე, ხომ იცით, დასახნავი ბევრია, ასე რომ უმუშევრად აწი მაინც აღარ იქნება. (ყურში გეტყვით, რომ სხვამ არ გაიგონოს: სატარტაროზო წერილი ცალგვერდზე იწერება).

**ირაკლის და სხვებს, რომლებიც გვწერენ ლევარსი როხროხაძის შესახებ. ლევარსი როხროხაძე უკვე ნახულია და ძალიან** კარგადაც არის; **ასე რომ თავს ნუ შეიწუხებთ მისი ძებნით.**

**კაპარჭკინას.** (ამაღლება). თქვენ გვეკითხებით, თუ როგორ სჯობია. ჩვენი პასუხიც ეს არის:

მასწავლებელ ახალგაზრდა ქალებს შეუძლიათ მონასტერში წასვლა და „მოლაზნად აღკვეთა“. (ვუგზავნით საგანგებო ტანსაცმელებს). ხოლო თქვენს წერილსაც ვაგზავნით თავისებურ მონასტერში.

**გამგონეს.** (სოფელ ზეკარი). ვერ ყოფილხართ კარგი გამგონე, თორემ ამდენხანს გაიგონებდით რომ ეხლა ფიცი **ლაკის ტყავზე** უფრო იაფია. გაიგონეთ, რომ ეს წერილი არ დაიბეჭდება, თუ გინდ საიუბილეოჯერ (50) გამოაგზავნოთ.

**ძველის-ძველს.** მართლაც ხლაფორთია ახლა ქუჩაში გავლა; ამიტომაც ჩვენ ვამჯობინეთ თქვენი წერილის მოთავსება დასასვენებელ ადგილას—(უფსკერო გოდორში), იქ არც მილიციონერი და არც მეეზოვე შეაწუხებს; რამდენიც უნდა ისეირნოს.



# „დეზერტირკა“ (პიესა კი არა,—ნამდვილი)



საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი ორი შაური

ტარტაროზი № 46

კვირა, 25 აპრილი 1926 წელი.

„ინგლისში ეპისკოპოსებმა მოწოდებით მიმართეს ხალხს—ილოცონ ღმერთი, რათა მუშებმა არ გაიფიცონ".

დეპეშებიდან



„ნეტარ არიან მორწმუნენი"

# „ეკონომიის რეჟიმი"

ეკონომიის რეჟიმი არას დღევახდელი ლოზუნგი. ეს უნდა განხორციელდეს არა მარტო ტრესტში და სინდიკატში, არამედ ფაბრიკა-ქარხანაში, დაწესებულებაში და წარმოებაში და კერძო ცხოვრებაში.

ამას გარდა, აუცილებლად საჭიროა თვითეულმა ჩვენგანმა დაიცოს ეკონომიის რეჟიმი.

ვინ როგორ უყურებს, ან ვინ როგორ ეპყრობა, როგორ უდგება ეკონომიის რეჟიმს.

### პირველი შემთხვევა.

მე და ივანე მივდიოდით რესტორან „ზიპლიპიტოს" წინ. ჩვენს წინაშე გადაიშალა ფრიად თვალწარმტაცი ვიტრინა ავსებული სხვადასხვა ნაირ სურსათ-სანოვაგით. ჩემი ამხანაგ ივანეს რა მოგახსენოთ და პირდათ მე ნერწყვი მომადგა ყელში.

მით უმეტეს, რომ ჯიბეში ერთი გახვრეტილი კაპიკი არ მქონდა. ასეთ დროს კი, როგორც მოგეხსენებათ, კაცს მადაც აქვს და საღერღელიც აშლილი. რამდენადაც გაგონილი მქონდა, ივანეს კარგა ბლომად ქონდა ფული.

ამან გამაბედინა და უთხარი:

— ძმაო ივანე, მოდი ერთი ოითდ არაყი გადავკრათ!

— სიამოვნებით, თუ შენ იტყვი, ცოტაოდენი ვისაუზმოთ კიდეც.

— მაგას რაღა აჯობებს. შევიდეთ.

გავემართეთ კარებისაკენ. შიგ კარებში, რომ შევედით, ივანემ მითხრა:

— ბიჭო, ფული ხომ გაქვს ჯიბეში, მე არაფერი მაქვს თან.

ეს რომ მითხრა, თვალები დამიბნელდა!

— შე ოჯახდასაქცევო, ფული თუ მქონდეს რაღას გკითხავდი, ერთ სიტყვასაც არ დაგალაპარაკებდი, შენ რომ არ შემოსულიყავი, მხარზე შეგისვამდი და ისე შემოგიყვანდი ამ რესტორანში.

— მაშ მე არაფერი მაქვს.

— კი გაქვს.

— არა ძმაო, არ მაქვს, მითხრა მან და მიბრუნდა წასასვლელად.

— გამოვყევი უკან: მეტი ჩარა არ მქონდა.

— ბიჭო, რატომ შემარცხვინე, ვერ შეხედე მიკიტანმა რა დაცინვით შემოგვხედა როცა უკან დავბრუნდით?

— შემოგვხედოს და თუ სურს თვალები დაითხაროს. მე აწი სამიკიტნოებში ფულის მხარგაყვილი არ ვარ.

— მე რომ მქონდა მაშინ ხომ მიირთმევდი ჩემს ხარჯზე?

— მაშინ [illegible]ა დრო იყო!

—რა დრო ყმაწვილო, ახლა გადაბრუნდა დროება; როცა შენ ფული გიჭყავის ჯიბეში?

— არა, მაგრამ, საერთოდ, არის ასეთი დრო დღეს ქვეყანა ამს იძახის და შენ ღარ გაგიგონია ეკონომიის რეჟიმი?

— ეკონომი-ის რე-ჟი-მი! ჰოო-ო, ახლა კი მივხდი; ესე იგი: შენ რომ ფული გაქვს,—მაშინ არის ეკონომიის რეჟიმი და მე რომ მაქვს,—ურეჟიმობა. ჩავილაპარაკე ჩემთვის და წავედი.

### მეორე შემთხვევა.

— კაცო, რომ ხარ ყურწაგდებულად და ვითომც აქ არაფერიაო ისე იქცევი, მე კოვერკოტის კოსტიუმის შეკერვა არ მინდა?—ეუბნება ილარიონს მისი ცოლი მატრონე.

— შეიკერე, ბატონო, ვინ გიშლის!—ამბობს ილარიონი.

— კი მარა რით?—ანჩხლობს მატრონე.

— ფულით.

— ფული სად არის?

— ჯიბეში.

— რომელ ჯიბეში?

— უკანა ფეხის შარვლის ტოტზე, რომ ჯიბეა დაკერებული, იქ გდია ერთი თვრამეტ თუმან ნახევრიანი, ამოიღე და შეიკერე—იმ ფულით.

— ოი, ამოგაგდოს მიქელ-გაბრიელმა. რომელი უკანა ფეხია ყაძახო?

— რომელი და გომელი! დედაკაცო, რომ ამეკვიატები კოვერკოტის კოსტიუმი და კოსტიუმიო, აღარ იკითხავ,—რომელი თანხებიდან შეგიკერო?

— შენ ხომ შეიკერე ამას წინეთ?

— მაშინ სხვა დროი იყო!

— რა დრო იყო? ეხლა რა დროა ისეთი, რომ კოვერკოტის კოსტიუმის შეკერვა არ შეიძლებოდეს.

—რა დროა და ეკონომიის რეჟიმის დრო!

— მაგრამ რის კოსტიუმი შევიკერო?

— ტრიტიშჩი პერვლის. გაცილებით უკეთესია. იაფიც ჯდება.

გულწასული მატრონე იატაკზე ეცემა.

— აი, შედეგი ეკონომიის რეჟიმის- ამბობს მრავალმნიშვნელოვნად ილარიონი.

ალლარ-ალლარსაშვ.

# „საქმის კაცი"

ზოგს იქნებ მკვდარიც ვეგონე. ზოგი იქნებ ნეკროლოგის დაწერასაც ფიქრობდა ჩემზე, რადგან კარგა ხანია „ტარტაროზში" ჩემი წერილი არ გამოჩენილა. ბათომის სატარტაროზო ხალხი ზეიმისთვის ემზადებოდა ჩემის გამო, მაგრამ, ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში: მე გავიგე, რომ ცოცხალი ვყოფილვარ.

წერილი, მართალია, არ დამიწერია „ტარტაროზისთვის", მაგრამ არც შეიძლებოდა დამეწერა, რადგან საქმეებში ვიყავი გართული: კრებებზე და მოხსენებებზე დავდიოდი. საღამოს როცა სახლში მივიდოდი, წერილის წერას კი არა ანგარიშის ჩაბარებას ვერ ვასწრობდი ცოლთან, რომელთანაც ანგარიშის ჩაბარება უფრო ძნელია, ვიდრე გამგესთან.

ცოლის შეკითხვებზე მისთვის დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ გაძლევდი, და ამიტომაც მემუქრებოდა იგი.

— ნუ ჯავრობ გენაცვალე, აგერ არჩევნები ჩატარდება, დიდი კაცი გავხდები და მე ვიცი მერე შენი პატივისცემა.

ამ სიტყვების შემდეგ ცოტას მოლბებოდა ჩემი ქალბატონი და გამიღიმებდა.

არჩევნებისათვის გააფთრებული მუშაობა იყო: ზოგი უწყებებს ამზადებდა, ზოგი არიგებდა. ზოგი კაბინეტებს ათვალიერებდა, თუ რომელი კაბინეტი შემხვდებაო. ყველა გულის კანკალით ელოდა არჩევნების შედეგს.

ჩვენი კავშირის საერთო კრებაზე ცოტა „გადაკრული" გამოვცხადდი. მშვენიერ ხასიათზე ვიყავი, ლაპარაკის საღერღელიც აშლილი მქონდა. დარბაზი ხალხით გაჭედილ იყო, დასაჯდომიც კი არ იშოვებოდი და ორ ნაცნობ ქალიშვილებს შუა ჩავჯექი. ქალებმა მიიწ-

# „გოლგოთა“ (იგივე: ვერის დაღმართი)



მოიწიეს, მათ მდგომარეობისათვის ყურადღებაც არ მიმიქცევია.

კრება გაიხსნა. ჩემს მიერ შევიწროვებულმა ქალიშვილებმა ჩემი მოცილების მიზნით ჩემი გვარი დაიძახეს.

საქმე დაძახებაა, თორემ მერმე საქმე ადვილია.

სულოცოდვილო, მეც კი მესიამოვნა. წამოვჯექი სცენაზე და ისეთი სერიოზული შეხედულება მივიღე, რომ ხალხის ყურადღება მივიქციე.

მოხსენება გათავდა, ყველამ სიტყვა სთქვა და ბოლოს მეც გამოვედი.

— ამხანაგებო—ვიძახდი მე—ქალაქის საბჭოზეა დამოკიდებული ქალაქის აშენება-გაშენება; საჭიროა ქალაქის აშენება.

არ მახსოვს რამდენი ვილაპარაკე, ან რამდენს ვილაპარაკებდი კიდევ, რომ თავმჯდომარეს ხელი არ მოეკიდა და არ წავეყვანე.

ტაშის გრიალი კი საშინელი იყო. სიცილიც გაისმოდა აქა-იქ.

საქმე არჩევნებზე მიდგა.

ყველა სიები გავშინჯე, მაგრამ ჩემი გვარი არ იყო. ავიღე ქაღალდი, გავხიე შუაზე, დავაწერე ჩემი გვარი და ჩავურთე.

რაღა ბევრი გავაგრძელო,—„ამირჩიეს“.

სიხარულისაგან აღარ მახსოვს როგორ მივედი სახლში.

— ამდენხანს სად იყავი, ყმაწვილო? მისაყვედურა ცოლმა.

— ეხლა ნუღარ მესაყვედურები ჩემო თინა. დღეიდან მე დიდი კაცი ვარ და შენ კი დიდი კაცის ცოლი.

— როგორ? რა მოხდა?—სიხარულით შემომეხვია ცოლი.

ამირჩიეს... ამირჩიეს...

— არა, მართლა?!

— მართლა, ჩემო კარგო, მართლა... ეხლა აღარაფერი გვიჭირს.

— ოჰ, შენ გენაცვალე, კისერში—დაიძახა მან და შემომეხვია უსურვაზის წნელივით.

როგორც იქნა დავმშვიდდით. ვახშამი არაფერი გვქონდა, მაგრამ სიხარულის გამო ჭამაც აღარ გვინდოდა.

— ძლივს ველირსე ამ ფეხსაცმელების გამოცვლას,—სიხარულით სთქვა ჩემმა ცოლმა და ძველი დახეული ფეხსაცმელები ლოგინს ქვეშ შეაგდო.

— როგორ? შეიძინე ახალი?—შევეკითხე მე:

— რავა არ შევიძინე! ხვალ შენ ახალს მომიტან. ისეთი „კრემდუშინი“ და „კავერკოტი“ მოუტანია ასლანას, რომ საუცხოვო... „კავერკოტიც“ ვიყიდოთ და „კრემდუშინიც“.

— აუცილებლად, ჩემო კარგო, აუცილებლად.

— მადლობა ღმერთს, მეც გავხდი ატვესტვენის ცოლი.

— ასეა, ჩემო კარგო, სულ ტანჯვაში ხომ არ ვიქნებოდით.

—:—

— ხვალ ოთახიდან გადასვლა მოგვიწევს—ჩაილაპარაკა ჩემმა ცოლმა. ნახევრად ძილში ვიყავი, მაგრამ ოთახის გამოცვლის სიხარულმა გამომაფხიზლა.

— როგორ? აღმოაჩინე სადმე თუ?

— აღმოვაჩინე რომელია, აბა აწი ამ ოთახში ვიცხოვრებთ თუ?

რაღა უნდა მეთქვა.

—:—

მეორე დილით ადრე წავედი სამსახურში. მართალია, სადილის ფული არ დამიტოვებია, მაგრამ საუცხოვო სადილი დამხვდა და თან ერთი ძველი მეგობარი სტუდენტი—პეტრე.

— ეჰე—მოგვილოცავს, მოგვილოცავს — მომაძახა პეტრემ,—დიდი კაცი გამხდარხარ, შენი იმედით ეხლა ყველაფერს გავბედავ.

სადილი გემრიელი იყო.

— შენ გეცოდინება ალბათ—დაიწყო პეტრემ—მე რომ იტალიაში მივდივარ.

— იტალიაში რა გინდა, კაცო?!

— იქ მხატვრობა მინდა შევისწავლო; როგორც ვამჩნევ ამის დიდი ნიჭი მაქვს.

— მერმე იტალიაში რა გინდა, განა ბათომში ან თბილისში ხატვა არ შეიძლება თუ?

— ხატვა შეიძლება, მაგრამ იტალია სულ სხვა ქვეყანაა,—ხომ იცი: ყველა ხელოვანი იქ მიდის სწავლის დასამთავრებლად.

იტალია ძმაო დიდებული ქვეყანაა.

მარტო იქაური ბუნება, მარტო იქაური მთები და მდინარეები რას წარმოადგენენ ადამიანისთვის.

— განა მთები და მდინარეები ჩვენში არაა?

— რა შედარებაა, კაცო.

სადილის შემდეგ ისევ კრებაზე გავეშურე. საღამოს როცა სახლში დავბრუნდი, ცოლმა ყველნაირ შალეულაბრეშუმის ნიმუში დამახვედრა.

— ეს კაბათ, ეს კოფთად, ეს პალტოთ, ეს კომბინიზონათ, ეს პერანგათ, ეს სარჩულათ, ეს ლიფათ, ეს კაპოტათ, ეს იმათ... და რა ვიცი რამდენი რა არ დამისახელა. ჩემი ოთახი სავსე იყო საქონელით. კიდევ კარგი, რომ ქალაქიდან გვარიან მოშორებით ვარ, თორემ რომ ვისმეს დავესმინე, ატვესტვენ ადგილს კი არა, მილიციელობასაც დავკარგავდი.

ვიანგარიშეთ. 455 მანეთი უნდოდა საყიდელს.

— ერთი თვის ჯამაგირი ვიანგარიშოთ ორასი მანეთი—დაიწყო ცოლმა—სამასი ავანსი, სულ ხუთასი. კიდეც ვიყიდით და ფულიც დაგვრჩება—სიხარული შემძახა და კიდევ გადამეხვია.

მეორე დღეს ისევ კრებაზე, ისევ არჩევნებზე. აირჩიეს ქალაქის თავი, მისი მოადგილე, მდივანი, ერთი გამგე, მეორე გამგე, მაგრამ ჩემი გვარი არავის უხსენებია.

ყველაფერი მორჩა.

ღამის ორი საათი იყო, არჩეულები მხიარულად გაექანენ თავთავიანთ სახლისკენ, მე კი გამოვბანცულდი გარედ და გათენებამდე ძლივს მივედი სახლში.

თუ რა უბედურებას დამატეხდა თავზე ოცლი, კი მიხვდები, ამხ. ტარტაროზო.

აი, ეს იყო მიზეზი, რომ ამდენხანს ვსდუმდი.

პ. ობოლი.

## „ფათანი“-ს პოეზია

თოფიანი თეოფილე
ოფოფს შემოეფეთა...
უ-პეი--ფუ ფაფხურობს...
ფური ფათერაკია,
ფამფალეთის ფოლადი;
ფოთის ფაფანაკია.
ფუთიანი ფოთოლი.
ვეფხვი ფერათ თეთრია.
ფორთხვა ფეხებს აფიქრებს.
ფარა ფერდოს ეფარა,
ფლავი ქორფა, იაფი.
თაფლს აფასებს ფლტინე,
ფალავანი ფითრდება,—
ფართალი თუ ფრიალებს.
თათარს თუთის ფერება,
აფთარს ფარავს ფაფარი,
ფერიები აფრინდა.
ფარნის ფერი ფინია,
ათი ფარდა დაფიქრდა
თბილისს ფართეთ ფარული
ფარსმან მეფე მეთობდა,
უთო ფართეთ იფეთქებს.
უფალს ფული რათ უნდა.
ფინაჩს ათრობს ფედოსი,
ფქვილის ფაფა ფირალებს,
სეფეს თავის ფრიალი
ფინ-უ-ან-სენს გაართობს,
ერთი ქაფი ფუნთრუშა.
ქოთანს აფორიაქებს,
ფრინველებში ქათამი,—
და ფინეთში ფილთაქვა:
ანაფორის დაფენა
ფუფუნების ფერფლია;
ფარშავანგი ფირფიტა,
ფინჯანი დათრითინა.
ფარმაცევტი ფურნეში:
ქვითარების აფხეკა,
ბურთი ორთქლით გამთბარი
თბილი თიხა ხორთუმის.
უფროსების ფოლაქი,
ფიფქი ფერუმარული
თომას ფუქი გუთანი
ფრთების აფარ-ფატება.
თოვლი ფუნიკულიორს
ფრთხილათ შეეფერება
იქ ტირიფის ფუტურის
აფთიაქი-ეფარა
თოხ თუთუნის ნაფაზი
ფრთების აფარ-ფატება.

სიმონიკა.






კონდუქტორებო, გვაპატიეთ, თქვენ გენაცვალეთ;
ვეცდებით გვქონდეს ხურდა ფული შაურიანი
გახურდავება რომ მოასწროთ თქვენ ფულის მალე,
რათა თქვენამდი არა გავხდეთ ჩვენ შურიანი.
მე წყნეთის გზაზე ჩემთვის ვიდექ ზემელთან ახლოს
ველოდევოდი ერთ რონოდას, ციფრით ხუთითა.
ასე ვფიქრობდი: „ო„ რა გიშავს რომ შემეხლო,
არ ვიქნებოდი დატვირთული ჯავრის ყუთითა“.
ჩამომივლიდენ მე ხშირ-ხშირად სხვა ტრამვაები;
(როგორიც არის მაგალითად ნომერი ორი
პირველი ნომრით მას მოსდევდა სხვები ვაებით)
ზემელის გვერდით, მე ვიდექი ფიქრ განასწორი,
უნივერსიტეტს ვესწრაფოდი ლექციაზედა.
იყო საათი მეთერთმეტე... თორმეტის ხუთი;
ხუთ ნომერ ვაგონს ვინატროდი მაშინ ძალზედა,
როგორც ინატვრის სატრფოს ნახვას ვაჟი სათუთი.
ჰო! ვატმანო, მოლოდინი შენი მაგიჟებს,
მიდიხარ ისე, ვით ნახშირის გამყიდველია.
ათი ათასჯერ წერილით და სიტყვით გპატიჟე
(გაზეთებშიაც შენიშვნები ულეველა),
ამ გვარ იყო იმ ზემელთან შემოღამება!

ჰოი, ვატმანნო, კონდუქტორნო, ლოდინი თქვენი,
დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არ გვიამება,
რადგან ისედაც მტვერის ყლაპვით ვართ ბევრის მთმენი,
ვაგონების ცდა საზოგადოთ საქმეა მძიმე:
თუ ნამეტნავათ სამსახურში მიგეჩქარება.
ქვეით აპირებ,—ზევით მიდის ყველა ციმციმით,
ზევით მიდიხარ, ყველა ქვეით მიიპარება.
გამომიცდია ეს ამბავი მე არა ერთი
(და ალბათ ყველას, თბილისშია ვინც მოქალაქე,—
ეს არის თომა, ალმასხანი ანუ ლბერტი,
თუ ბუხგალტერის თნაშემწე ჩვენი მალაქი)
როს ცხრა საათზე „ოჩერედი“ წამოგრძელდება,
ამაოთ ველით მაშინ, ძმაო, თქვენ გამოჩენას.
სამსახურში ჩვენ ვაგვიანებთ, საქმე ძნელდება;
ხშირდება გამგის მუქარა და თან კბილთა ღრჭენა.
ამ გვარი არის იმ ზემელთან შემოღამება
ჰოი, ვატმანნო, ხან ისე გრძლად გვიწევს ლოდინი,
რომ იმ პუნქტებში, სადაც ასე გვიწევს წამება,
კარგია იდგას სავარძლები, ან სკამ-ლოგინი.

(„ბუზ-გუზ“).

—:—

# მიბარება სასწავლებელში

გვახსოვს პირველად აჭარისტანმა
სასწავლებელში რომ მიგვაბარა;
სტიპენდიები მოგვცა ჩვენ ყველას
და თბილისისაკენ გამოგვამგზავრა.

ვხედავდი ბათუმს, რომ ვშორდებოდით,
ნაცნობ ნარკომპროსს ვეთხოვებოდით
თვეში ხუთ თუმნით გახარებულნი
(სად იყო ჭკუა?!?) ტკბილად ვმღეროდით.

„უპრევდელამი“ გამოგვყვა გარეთ
და გვითხრა ნაზად: ნუ მღერით, კმარა
დალოცვილის შვილს წინდაწინ ეგრძნო,
რომ ჭლაკვს მოგვცემდენ და ფულს კი არა.

ვინც ბათუმს დარჩა, რა გააკეთა?
ან გაარტტისდა ან—„კონდრაბანდობს“
„ისწავლეთ, ფული არ მოგაკლდებათ,—
თვით ნარკომპროსიც ამასა ამბობს.

„სტიპენდიები გექნებათ დროზე,
„სწავლა და ჯაფა არ დაგეზაროთ
„თქვენთვის გავჭედავთ თვეში ხუთ თუმანს
„და ღდინს ავაცლით სულ მთლად სალაროს“.

და ამ იმედით გამოგვამგზავრეთ
თბილისში რიცხვით ორმოცდაათი
(მუზეუმისთვის დასჭირდათ ალბათ
რომ გადავიღეთ მოგრძო სურათი).

ექვსჯერ გაზეთშიც კი დაგვიბეჭდეს
თითქოს ხუთ თუმანს გვაძლევენ თვეში.
(სიმშილით სული ყელში ამოვა,—
მტერი ჩავარდეს ამ განსაცდელში).

ჩვენი „ბიურო სტიპენდიელთა“
„ნაბიურალად“ გადაიქცია.
ნოტებს, ნოტებზე გზავნიან ბათუმს
ფულის მიღება გახდა ფიქცია.

ასე თუ ისე ქაღალდზე დარჩა
დადგენილება თვით „ნარკომპროსის“
(როცა ფურნესთან ჩავივლი ხოლმე
მიორკეცდება პროცესი ყნოსვის).

მახსოვს არაქათ გამოლეული
„ბიურო“-საკენ ფულისთვის ვრბოდი...
„ფული არ გვაქვსო“—ცხარედ ვსტიროდი,
მაგრამ არავის ვებრალებოდი.

იქე-ბირ.

# ლევარსი ჩოხჩოხაძე

## „ლევარსი საზღვრები“

— ჯერ-ჯერობით ვერაფერს გავხდი, მარა ამ ერთს მაინც ვიზამ „მათ ჯინაზე“: შევიკრავ ჩოხა-ახალუხს, გამოვეწყობი დადიშკელიანსავით და თვალებს მაინც დაუმსებ და გულს მოუკლავ—ამბობდა ლევარსი.

და მართლაც ლევარსი „დარდიმანდულად“ გამოეწყო მამაპაპურად.

— არა, ერთი იგი მითხარით, ნამდვილი თავადი არ ვარ თუ რა? ალვის ხესავით მოყვანილი ვარ. ნამდვილი სამეფო კაცი ვარ, მარა რად გინდა,—ვინ გაძლევს მეფობას. აი ოხერი კომუნისტები მეფეების ისეთი მტერი არიან, როგორც მე მათი... მაგრამ დადგება დრო, და ლევარსი ამოვა თქვენს ოხიდან...

ამ ფიქრებიდან ლევარსი სხვა ფიქრებზე გადავიდოდა.

საზღვრის ხაზი გავა ასტრახანში,—ლარივით სწორი ხაზია, სადავო არაფერი მოგვივა... კასპიის ზღვა... (რამდენი თევზი იქნება); „ტრაპიზონი“ და რეშტი... აი ის საზღვრები, რომელსაც უნდა მოექცეს ჯერ-ჯერობით—დროებით ჩვენი ქვეყანა...

ლევარსიმ გრძლი ჯოხით შემოავლო აღნიშნულ ადგილებში საზღვრის ნიშნები და უწოდა მას: **„ლევარსის საზღვრები“**.

— ნუ გეწყინება, თამარ მეფევ, რომ მე შენ გაჯობე: და საქართველოს საზღვრები შენზე უფრო გავაფართოვე, მაგრამ, ხა-ხა-ხა-ხა... **„ის ურჩევნია მამულსა რომ შვილი სჯობდეს მამასა“**... ასე წამოიძახა ლევარსიმ, როცა იგი ფიქრებში ნავარდობდა...

— ნეტა, ხომ არავინ მაყურადღებს?.. ახლა ყველგან აგენტებია—გაიფიქრა ლევარსიმ და მიიხედ-მოიხედა..

—:—



„ლევარსის საზღვრები“

— არა, ერთი იგი მითხარი,—რატომ საქართველოს არა აქვს უფლება თავისი საზღვრები გააფართოოს, ხოლო სხვებს კი აქვს ამის უფლება?.. ინგლისი, საფრანგეთი, იაპონია და-ბევრი სხვა სახელმწიფოები არა თუ თავის მახლობლად, არამედ ძალიან შორს, სხვა ქვეყნებში იჭრებიან და იპყრობს... ჩვენ კი თითქოს ნება არა გვაქვს, რომ ჩვენს მახლობლად ისე გავიწიოთ, რომ გავაფართოოთ ჩვენი საზღვრები—აქ ლევარსი აიღებდა გრძელ ჯოხს და ქარტაზე დაიწყებდა საზღვრების შემოხაზვას.

ძალიან მოხერხებულიც იქნება... აი ამ ჩემს საზღვრებში ერთი ისეთი ზომიერი სამეფო გამოიჭრება, რომ მეტი მე არც მინდა ერთხანს...

შავი ზღვის გაწევა იქით და ამ ნაჭერის ხმელეთად გადაქცევა,—კაი დიდი ადგილი იქნება... როსტოვიდან

## „ლევარსი ფაშისტი“

— ამდენი ხანია იქ არიან... ერთი ქალაქიდან და სა-
ხელმწიფოდან მეორე ქალაქში და სახელმწიფოში და-
დიან, რამდენჯერ ძაღლი კუდს გააქანებს, ყოველთვის მო-
დიან „ჩვენეი გამთავისუფლებლები“,—მარა შენც არ მო-
მიკვდე: ამდენი ხანია უცდი და არავინც არ მოდის... პირ-



ლევარსი მუსოლინთან და ჩემბერლენთან



ლევარსის გამომგზავრება საქართველოსკენ

დაპირ,—კაცს „სოციალისტობაზე“ ხელს აგალებინებენ...
მე და ჩემმა ღმერთმა, მოთმინებიდან გამოვალ, და ქე ნა-
ხავთ მაშინ... „მაცა-მაცა“-ს პოლიტიკა მე არა მრწამს...
თუ რამე შეგიძლია, ყაძახო, გამოდი და ქე ქენი რამე; თუ
არა და იგიც ქი სთქეი და სხვა გააკეთებს საქმეს... ვერ
ელირსება თავის მიზნების განხორციელებას... უკაცრავად
მარა, მე აღარ მცალია... აწ მე ვიცი და ჩემმა ვაჟკაცობამ...

. . . . . . . . .

— არა, რა თქმა უნდა ასე იქ გამგზავრება შეუძლებე-
ლია... იქ ევროპიულად უნდა იყო გამოწყობილი...

ზარი დავრეკე, მოსამსახურეს ვუბრძანე გამოვეწყვე
ევროპიულად... და ევროპაში ამოვყავი თავი.

სწორედ კარგს დროს ჩავედი რომში (იტალიაში).

ჩემბერლენი ლონდონიდან ჩამოსულიყო და ისიც მო-
ვიდა მუსოლინთან.

— გაიცანით, ეს არის საქართველოს მომავალი მთა-
ვრობის პრემიერი.

გააცნო ჩემი თავი მუსოლინმა ჩემბერლენს.

— ძალიან სასიამოვნო.

გაუხარდა ჩემბერლენს.

ჩვენ ლაპარაკს შევექეცით.

— მართალია, ევროპას თქვენის წყალობით სული
უდგანა, მარა მასე როდის არის ჩვენში... მე მგონია: რამ-
დენადაც ყველა ქვეყნებში ძალა-უფლება ჩვენი პარ-
ტიის ხელში იქნება, მით უკეთესია... თქვენ უნდა ცდი-
ლობდეთ ამას... ამისათვის საჭიროა დახმარება, რომ სა-
ქართველოში ჩვენი გადატრიალება მოვახდინოთ... მე იმე-
დი მაქვს ამხანაგები და მეგობრები არ გამაწბილებთ.

— როგორ გეკადრებათ... ჩვენ მზად ვართ ჩვენს ძმას
დაგეხმაროთ...

—:—

და როცა ჩემი „იუნკერსი“ მოუახლოვდა საქართვე-
ლოს, მე ბინოკლით დავიწყე დაზვერვა და ადგილ-მდე-
ბარეობის შესწავლა, თუ სად და როგორ სჯობდა ბრძო-
ლის დაწყება და წარმოება...

—:—

მაგრამ ლევარსის აქაც ერთხელ კიდევ ხელი შეუშა-
ლა რომ გადატრიალებ მოეხდინა, იმ გარემოებამ, რომ
როცა იგი „იუნკერსით“ მოჰფრინავდა ჩვენს ქვეყნისაკენ,
მას ჩაეძინა ლოგინში,—და, მოგეხსენებათ: „ახალდაძი-
ნებულ“ კაცს დიდხანს არ მოუნდება ლოგინში გადატრია-
ლება...

ყველა ეს თურმე ტკბილი ფიქრები იყო.

ჭმუკი.

# უნივერსიტეტი და

იყო ცივი ზამთარი და ოთახში ცივოდა.
უშეშობით ღუმელში ცეცხლი არა ღვივოდა.
და უმინო ფანჯრებში ცივი ქარი კივოდა.



უნივერსიტეტში კი... სულო-გულო, თბილოდა...
დილით ადრე სტუდენტი აქ მოსვლასა ცდილობდა...
სავსე იყო დარბაზი, ყველა შესვლას ცილობდა.

და შემდეგ კი როდესაც მიიცვალა ზამთარი,
გაზაფხული მოვიდა და ამწვანდა მთა-ბარი—
მიდამო და გარემო იყო მზითა გამთბარი,—



მოიხადეს ქუდები; (ზრდილობის ნიშანია)
უთხრეს: „აწ კი მშვიდობით, პრაშჩაი-დასვიდანია“
ახალ ზამთრის მოსვლამდე ჯერ ხომ დიდი ხანია

# რეციდივიძეების საუბარი

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

— როგორც გეტყობა, ამ ბოლო დროს ძალიან გათვითცნობიერებულხარ!

— ეუბნება რეციდივისტი (გაუსწორებელი ბოროტმოქმედი) მეორე რეციდივისტს.

— როგორ? რაზე მატყობ შე ფენთხებ გამონგრეულო?

— რაზე და საქურდლადაც რომ მიდიხარ, მაშინაც კი გაზეთები გიჭირავს ხელში და გულმოდგინებით ათვალიერებ.

— ოი, შე სულელო, განა არ იცი, რომ გაზეთი ყოველმა ჩვენმა, ყოველმა პატიოსანმა ქურდმა უნდა წაიკითხოს?!

— რატომ, ერთი გამაგებინე თუ ძმახარ, რატომ უნდა წაიკითხოს?

— იმიტომ, რომ ამით შეისწავლის და გააღრმავებს ცოდნას, ეს არის საჭირო ქურდების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

— მე მაინც არაფერი მესმის!

— შე სულელო! ერთი მითხარი, ფრთხილ და წინდახედულ კაცს ვინმე რამეს მოპარავს?

— იშვიათად.

— მაშ ქვეყანაზე ბევრი ყოფილა გაუფრთხილებელი, რადგანაც ასე რომ არ ყოფილიყო შენისთანა ხეპრე შიმშილით მოკვდებოდა.

— მაგას რა დამოკიდებულება აქვს გაზეთის კითხვასთან?

— აი რა! მოდი წაგიკითხო: ეს არის შემთხვევების ადგილი. აქ იწერება ყველაფერი; ქურდობა, ჯიბგირობა, გაძარცვა, გაღლეტა, ფულის გატაცება, დუქანში საქონლის გაიმასქნება და სხ.

აი მაგალითად, აქ სწერია; გუშინ ამა და ამ ქუჩაზე გაქურდეს ამის და ამის ბინა, წაღებულია ათასი მანეთის საქონელიო. თუ კი ეს კაცი იმდენად წინდაუხედავი, არის, რომ ათასი მანეთის საქონელი გაატანა ქურდებს, მაშინ ჩვენც შეგვეძლება ცოტა რამე წავციცქნოთ მას, ამასთან ერთად ნუ დაგავიწყდება, რომ ეს კაცი მდიდარიც ყოფილა.

შემდეგი: გუშინ ივანე ბეცაძეს ჯიბიდან ამოაცალეს 120 მანეთი. აი, უნდა მონახო ეს ბეცაძე და შენც უნდა ამოაცალო, თორემ თუ შენ არ ამოაცალე, სხვა ამოაცლის.

კიდევ: „გუშინ საღამოს გაძარცვეს ვინმე მშიშარ-ოღლი“. წადი და მიადექი იმ მშიშარ-ოღლის, ისე როგორ გაძარცვავდენ, რომ უკაპიკოდ დარჩენილიყო?

აჰა ერთიც: „კოოპერატივ №-ში მოიპარეს 200 მანეთის ნარმა და ჩითი“. ჰე ბიჭო, ეცი იმ უბედურ ნოქარს, იქნება შენც გამოგატანოს ერთი ასი მანეთის საქონელი.

აი კიდევ: „ღამით გასტეხეს სპეკულიანტის დუქანი“. ერთხელ თუ გასტეხეს, მეორედაც ადვილი იქნება გატეხა,—რადგანაც ხომ იცი რომ ერთხელ გაკვალულზე გავლა გაცილებით უფრო ადვილია?

აი ჩემო ძმაო რეციდივიძევ. აი ამიტომ ვკითხულობ მე გაზეთებს.

— მე კი მაქვს მეორე მიზეზი, რომლითაც არა თუ არ ვკითხულობ, არამედ ვერ ვკითხულობ.

— რათა რა მიზეზია?

— ის მიზეზია, რომ... აი წაიკითხე:

**საბჭოთა სასამართლო**

ქურდი ბაცაცოვის საქმე: მიუსაჯეს სამი წლის გამსახლი.

ქურდი მტეხელიშვილი: გადაუწყვიტეს 2 წლით სასტიკი იზოლიაციით.

ქურდი კვერცხიპარიძე: ჩააჯინეს წლინახევრით. და სხვადასხვა.

როგორ ფიქრობ, შეიძლება ამას შემდეგ გაზეთების წაკითხვა?

მე პირადათ არ შემიძლია, რადგანაც მისჯილების სიაცოდვემ გულის ფრიალი ამიტეხა.

# გაზაფხული



და როცა აქ დარბაზი ასე ცარიელი,
(ობლებსავით აქ სხედან: ვანო და გაბრიელი)
და ლექციებს უკითხავს ამათს პროფესორია...
(უამრავ მსმენელებთაგან დარჩა ეს-ღა ორია).



მაგრამ აქ კი, მინდორზე მოუყრიათ თვია...
აკეთებენ თუ რასა ეს რა საკითხავია.
ალბად აქ „ვარჯიშობენ“ „სავარჯიშო პრაქტიკულს“
„ფრიად“-ებით ავსებენ სალექციო მატრიკულს.

მე კი მასეთი სუსტი გული არა მაქვს და ამიტომ კითხვასაც თავს ვერ დავანებებ, ამბობს რეციდივიძის ღვიძლი ძმა რეციდივიძე.

თუ რომელია მართალი, ამას ალბად გადასწყვეტს სრულიად ბნელი კუთხეთა ქურდ-ბაცაცების კონფერენცია, რომელიც იკრიბება პირველ და 2 გამასწორებელ სახლებში. **პროპელერი.**

## „საქორწინო კანონი“

ფლავიანეს სული ღრუბლებში აფრინდა. მადლობა ღმერთს, ის წმინდა ყოფილა. ამ ქვეყნის ცოდვებს არც იმდენად დაუმძიმებია მისი სული და პირდაპირ სამოთხისაკენ მიჰქროდა. მაშ მართალი არ ყოფილა გადარჯულებულ სოციალისტების რახა-რუხი, თითქოს საიქიო გამოგონილი ამბავი იყოს, თითქოს ადამიანის არსებობა მხოლოდ მატერიის და ბუნების კანონების კომბინაციაა, არსებობს ადამიანი, მაგრამ სული ზღაპარია, უკვდავება, სამოთხე, ჯოჯოხეთი, ღმერთი და სასწაულები მხოლოდ თვალთმაქცობაა, ხალხის თვალების ასახვევად გამოგონილი სიცრუე.

მეცნიერება, განათლება, სოციალიზმი—აი, რა მიაჩნიათ მათ სარწმუნოებად! ეს რა თქმა უნდა, არა სჯეროდა ფლავიანეს, მაგრამ მაინც გარკვევით არ იყო დარწმუნებული ბევრ რამეში. კინაღამ წაიწყმიდა სული და დაუჯერა „გასოციალისტებულ“ მამაო ნიკიტას, რომელიც ბოლო ხანებში სულ ასე ჩაჩიჩინებდა:

— ბიჭო ფლავიან, (ასე ყარაჩოღულათ იცის იმან ლაპარაკი) გეიგე და შეიგნე, ღმერთი რომ მართლა იყოს, ასე რავა გეიბახებდა თავს, რავა დაამგრევიებდა ეკლესიებს და ხატებს? დეიჯერე, გაიძვრე მაგ ანაფორა და კაი ფრენჩი გამოიწყვე, შევადგინოთ არტელი, გავხსნათ ერთი რესტორანი და ე, ორიოდე დღე რომ დაგვრჩენია, ისევ სიტკბოში გავატაროთო.

არ გაბრიყვდა ფლავიანე, სული ხორცში არ გასცვალა და სასუფეველი შეინარჩუნა. მადლობა ღმერთს იმ გაკრეჭილ ნაზუცრების ბედი აიცდინა, ჯოჯოხეთის კერძი არ გახდა და ეხლა პირდაპირ სამოთხისკენ მიჰქრის. ამ ფიქრებში გართული ფლავიანეს სული თანდათან მეშვიდე ცას უახლოვდებოდა.

„ცოდვილი ქვეყანა“ კი პატარა ტალახის გუნდასავით მოსჩანდა დაბლა. ფლავიანე მას ზიზღით უცქეროდა და გულში ფარულ მუქარას უთვლიდა.

იესო ქრისტესთან გატანებული პაკეტი მაგრად მიიხუტა გულზე და შესცურა ღრუბლებში.

ფიქრი ფიქრს სცვლიდა... სამოთხის სიახლოვეს ნეტარებისა და შიშის გრძნობით ავსებდა მას.

აი საცაა გამოჩნდება სამოთხის კარი, პეტრე მოციქული გრძელის წვერებითა და ხუჭუჭა თეთრი თმებით, მიეგებება ალაყაფთან მძიმე გასაღებებით ხელში და ლოცვითა და კურთხევით შეიპატიჟებს შიგნით. ფლავიანეს მოელის საუკუნო ნეტარება და განსვენება—„სადაცა არ არს არცა ჭირვა და არც გლოვა, არამედ ცხოვრება. იგი დაუსრულებელი“. უცბად მან თვალი მოჰკრა მშვენიერ წალკოტს, რომელსაც მაღალი რკინის გალავანი ჰქონდა შემოვლებული და ალაყაფის კარები მძიმე ურდულით გადარაზული, ღობის გადაღმა მოსჩანდა კიპარისებისა და ზეთის ხილისკენწეროები, შადრევნების შხეფები მზის სხივებზე, ათასფერად ენთებოდა და ფერადი ცისარტყელა ლაღათ ჰქონდა გადაკამარებული. ამ წალკოტიდან მარცხნივ ვიწრო და დახლართული გზა მიდიოდა ჯურღმულებისაკენ, საიდანაც დრო გამოშვებით შავ კომლში გახვეული ცეცხლის ტალღები ამოდიოდა და რაღაც გაუგებარი წივილ-კივილის ხმა ისმოდა.

აშკარა იყო. ფლავიანეს წინ სამოთხე და ჯოჯოხეთი გაჩნდა. მის გულში თითქოს ათასმა ზარმა დაიწყო რეკა, სიხარული დაბნეულობამ შესცვალა; გადაუხვია სამოთხის ალაყაფისაკენ და გაჩერდა. კარებთან ჩამი-ჩუმი არ იყო. წალკოტის ერთი კუთხიდან კი დარდიმანდულად მოისმოდა:

— ორი ქოთანი ვიყიდე ვაი,
ს უშკამი და ბეზ უშკამი ვაი,
ყველა ერთ ტაფაში ვიწვით ვაი, ვაი, ვაი,
ს დუშკამი და ბეზ დუშკამი ვაი...

— ტუზ... ცხრა... ბითურ, იესო ბითური!..

— მანდ რაღაცას შულერობთ თქვე არამზადებო, მგონი კარტი ჩააწყვეთ, დედას გიტირებთ თუ კიდევ რამე შეგამჩნიეთ....

— რას მიედ-მოედები შე ნაბუშარო, შენა, აზარტში გადავარდი, ხოშში შეხველი და ეხლა ყველაფერი ყირამალა გეჩვენება.

— დაარიგე, თქვენი რაღა არ იყოს ერთი და... ფლავიანეს ასეთი სიტყვები სადღაც გაეგონა, მგონი ავლაბრის ბულვარის კუთხეზე... როცა ის მთავარ ანგელოზის ეკლესიაში დიარებოდა და იფიქრა, რომ ალბად მიწიერი ხმები ჩემს ხსოვნაში განმეორდაო. პირჯვარი გადაისახა და ალაყაფის კარები სამჯერ დააკაკუნა.

ვინა ხარ!... მოესმა მკვახე ხმა შიგნიდან.

— მონა ღვთისა ფლავიანე, მლოცველი და მრავალწამებული...

— პროპუსკი გაქვს?

— ბეჭედ დაკრული—ძე ღვთისა—იესოს სახელზე.

ფლავიანე შეკრთა, რადგან ამ ხმაში სულ არ ისმოდა წმინდა სახარების კილო, მაგრამ ისევ სმენის ღალატს დააბრალა და კილო შეუჩერა. ცოტა ყოყმანის შემდეგ შიგნიდან კიდევ მოისმა.

— არ მომატყუო თორე იმდენს გირტყამ, რომ ცხვირს ბუკივით გაგიხდი.

— ტყუილი რა საკადრისია ჩემს ჰასაკში და ისიც სამოთხის კარზე!... ალაყაფის კარები ჭრიალით გაიღო და ფლავიანეს თვალებს წარმოუდგა უცნაური სანახაობა: მეკარე წვერგაპარსული, ულვაშებ-დაწკეპილი, წელზე დიდი რევოლვერით და ამოღებულ სმალით—ხელში ცხვირ გასიებული. ფლავიანეს ენა კინაღამ ჩაუვარდა, მაგრამ მაინც მოახერხა და წაილუღლუღა:



ანგელოზმა კარი გაუღო...

— შენ... შენ ვინა ხარ?

— მეკარე ანუ მცველი... ხი-ხი ხი!...

ალბად გაკვირვებს ჩემი გარეგნობა, ეს რევოლვერი ეს მკვახე კილო? არა უშვს, მამაო, ადვილად შეეჩვევი ახლ ცხოვრებას!... მაჩვენე შენი პროპუსკი, ჰო, იესოსთან არის მართალია... სხვა? ხელის ჰუჰყი არაფერი მოგყვა? ისე ვერ გაგიშვებ თუ ცოტაოდენი არ მომეცი ხი, ხი, ხომ იცი, ათასი ხარჯებია, ამას გარდა წესია, ნაჩაი უეჭველად უნდა ავიღოთ. სხვა შემოსავალი ეხლა არარაფერია, ჩვენ მარტო ნაჩაით ვცხოვრობთ, რას იზამ... ხი, ხი, ხი. ასეა ყველგან... ხი, ხი...

რას დაღონდი? არაფერი გაქვს? ჰოო, მაშ შეგეძლო მეორე გზაზე გადაგეხვია, ჯოჯოხეთში უფასოთ იღებენ, იქ იაფად მორჩები ხი, ხი, ხი...

სიჩუმე ჩამოვარდა. ფლავიანეს სული და მეკარე ანგელოზი ერთმანეთს მუშტრის თვალით ათვალიერებენ, ფლავიანეს სული ჯოჯოხეთის გაგონებაზე შიშით დაპატარავდა და გაჰქვავდა. სიჩუმე ისევ პეტრემ დაარღვია.

— ერთი კამბინაცია გინდა?—მაგ შენს მიტრაზე ძვირფასი თვლებია, რა ოხრად გინდა აქ? მოსულებისათვის ჭამა-სმა და გართობა მუქთია, გოგოები ფულს არ იღებენ... ერთის სიტყვით, მაინდან რომ ორიოდე თვალი ავაძრო, შენ არაფერი დაგაკლდება და ჯოჯოხეთის აგცდება... ჰო, ასე, ხი, ხი, ხი... საქმე გაჩარხულია! აი; ეხლა გაუხვიე მარჯვნივ, იმ წყაროს პირად, ჭანდრის ქვეშ იესო კარტსა თამაშობს და მოახსენე რაც გინდოდეს.

ანგელოზი გაეჭიმა სამოთხეში შემავალ ფლავიანეს და მერე სწრაფად მიაჯახუნა ალაყაფის კარები.

ფლავიანეს სული გონს ვერ მოსულიყო: ქვეყანა რომ გადატრიალდა, იმან ეს იცოდა, მაგრამ სამოთხეში კარტის თამაში, ქრთამები, ღვინის სმა, შულერობაზე ლაპარაკი?—ალბად თვალი და ყური თუ ატყუებს...

გადაუხვია მარჯვნივ და ჭანდრის ქვეშ მართლაც დაინახა კარტის მოთამაშეთა რამოდენიმე ჯგუფი, რომელნიც გაზაფრულები ჩასცქეროდენ ქაღალდებს და იძახდენ:

— სამი... ხუთი... ცამეტი... ცხრა... ბითურ... იესოს ბითურ...

ფლავიანეს სული ფეხაკრეფით მივიდა იმ ჯგუფთან, სადაც ქრისტე თამაშობდა და მის უკან მოწიწებით აიტუზა. თან პაკეტი მოიმარჯვა და დაუწყო ლოდინი. იესო მართლაც და უთავბოლოდ აგებდა და ბრაზობდა, უცბად აიხედა მაღლა და ფლავიანეს სული რომ დაინახა, ბრაზმორევით დაუღრიალა:



შე პირძაღლო: რას მომჩერებიხარ...

— შე პირძაღლო, ატოცის გლახასავით რომ მომჩერებიხარ და გაშეშებული დამყურებ—სარი ხომ არ ჩაგიყლაპავს?—ცოტა უკან დაიწი რაღა, ხომ ჰხედავ თარსი ფეხი გქონია და დამნავსე, შენი გულისთვის სამი თალია წავაგე!..

ფლავიანეს სულმა იესოს მოწიწებით აუხსნა თავისი მისვლის მიზეზი და პაკეტი გაუწოდა.

— ეგ ჩემი საქმე არ არის, ქვეყნის საქმე მამაჩემის კომპეტენციაში შედის და იმას მოელაპარაკე. მოკლედ მოუჭრა ქრისტემ.

— ძეო ღვთისაო, სადა წარვსდგე ხილვად ღმერთისა ჩვენის? შეეკითხა ფლავიანე.

— თუ ძმა ხარ ბიბლიის ენით ნუ ლაპარაკობ. მამაჩემის ნახვა თუ გინდა, ესე მარჯვნივ დაარტყი კრუგი და იმ ტბის გადაღმა უგლაოში პატარა ბორცვზე რომ ახვალ, შეიხედე და იქ ღრუბელზე ზის.

ფლავიანეს სული ელდანაკრავივით გატრიალდა: ის თვალებსა და ყურებს არ უჯეროდა, მაგრამ ნახულ-გაგონილი მაინც მოჩვენება აღარ ეგონა.

ოკის.

# კარებთან



'შევიდეთ შიგ... ჩვენ ხომ უარს არ გვეტყვის მიღებაზე




— ამხანაგებო, პრინციპიალურად მე თანახმა ვარ,, რომ თქვენ ეს ფული მოგეცეს, მაგრამ

ტაქტიკური მოსაზრებით წინაალმდეგი. ამიტომაც ნუ გვისაყვედურებთ, თუ ფული ვერ მოგცეთ ზედმეტი მუშაობისათვის. აქ ჩვენ ტაქტიკით ვხელმძღვანელობთ.

ამხანაგებო, ტაქტიტური მოსაზრებით მე თანახმა ვარ, რომ ზედმეტი მუშაობა ასეთ შემთხვევებში დასაშვებია, მაგრამ

პრინციპიალურად ვერ დაუშვებთ, რომ ზედმეტი საათებისათვის მიიღოთ ფული. აქ ჩვენ პრინციპით ვხელმძღვანელობთ.



## ბათუმი

დიდი წვიმების შემდეგ
დღეს გამოვიდა დარი,
დახურულ ოთახების
ძლივსღა გაალეს კარი.
ვაჭრები დაფაცურდა,
„დაუკლეს“ ნივთებს ფასი,
თუ ღირდა ორ აბაზად
დღეს აბაზი ღირს ასი.
გამოჩნდა „ნურიაში“
აქ ბლომად „კონდრაბანდა“.
ისე დაგროვდა, როგორც
ტყეში ვაშლი და პანტა.
ზოგი ცვლილებაც მოხდა
ზოგიერთ ალაგებში.
ისე როგორაც ხდება
დღეს ეს სხვა ქალაქებშიც.
ზოგიერთ „ტუჩებს“, დიდებს
დაუცდათ სკამზე ხელი
„ოტვესტენ“ სკამის ნაცვლად
მათ წინ დაუდგეს ძველი.
ზოგიერთს თუმცა შერჩა
კატეგორია დიდი,
ერთი „ზაკონი“ ცოლი
და „უკანანონო“ შვილი.
ზოგმა კი ძველის ნაცვლად
ახალი მოიყვანა,
(მე ერთიც აღარ მძცდის,
დაიქცეს ეს ქვეყანა)
ზღვის პირი გამოცოცხდა
გამოჩნდნენ „პაროჩკები“
„პორთფელიანი“ ხალხი
„მადმუაზელ“, „დამოჩკები“,
მე მათი შემხედვარეს
დამიკრეჭია კბილი,
და მწარედ მეცინება
გასაცინელი ტკბილი.

ბლიკვი.

## ბერძნის წყარო

ტარტაროზ, თითქმის თვე არის,
ბერძნის წყარო დასწერე
და ვალოდია ძნელაძის
გული დაჩაგრე, დასერე.

—

მით გაახარე ამბაკო
მისი „პირის-მზე“ ძმობილი.
კაცი თვით ბერძნის წყაროზეც
ძველ სირაჯათა ცნობილი.

—

ამბაკომ მე რომ გამცინოს
მაშინ ვალოდი მოკვდესო.
ჩქარა მუშკორი მანახვეთ,
მას გულში ტყვია მოხვდესო

—

ასე იძახის ვალოდი
შეაწრიალა გურია;
იქნებ ძნელოლლის იცნობთო,
მითხარით სადაურია.

—

სურსათზე ნიხრი ასწია,
რადგანც სჭირდება ფულები
სურს შორს გაგზავნოს, ტარტაროზ,
ეს შენი მოციქულები.

—

სჭექს, ღელავს, ცხარობს ვალოდი.
ბერძნის წყაროის მესია...
ტარტაროზ, შენ რომ ნახავდე
**ათასჯერ უკეთესია.**

„წითელი მახკა“.

## მესტვირული

(ჭალას კუთხეს—ჩიბათის თემი)

აჰა, ელია-მელია
მე საქმე შემომელია,
ჩემი სტვირი და ქამანჩა
არ არის დამთბობელია.

—

ძმური სალამი ტარტაროზს!
მის ჩანგალს წვეტიანობა,
ჩემს მუზას ჩემთან გოგმანი,
(ჩემს ცოლსაც საქმიანობა.)

—

ჭალის კუთხეს ვუსურვოთ
ავის და კარგის გარჩევა,

ჭალამ ლხინი გადიხადა,
მოიწვია ახლოს ყველა,
საქველმოქმედო სარჩულით
გახდა დიდი ოროველა.

—

იქ თუ კახურსა ყლანწავენ,
აქეთ ლოტო, იქ კი ნარდი,
ბოლოს სცენაც აჩირაღდნდა,
შეიქნა დიდი ნავარდი.

—

ამას ყველას გამგედ ჰყვანდა
სულ ჩამდგმელი მარუსია,
(მოცეკვავედან ისმოდა
ფეხი მარდად გაუსვია).

—

ანგარიში შეასწორეს
დახლი სჩანდა საქმის ბოლოდ.

—

შემდეგ ბევრი გაიარა
ზამთარი და გაზაფხული,
მაგრამ ჩვენსა მარუსიას,
უყლინწია იგი ფული.

—

სოფლისაგან ანაკრეფი
ჩახრაკული ვარიკები,
ვითომ გამგემ წაიღოო —
მოიგონა ეს ხრიკები.

—

შეადგინეს კომისია
გაერკვიათ ანგარიში,



საქველმოქმედო საქმეში
რიგიან გამგის არჩევა.

—

აბოჭილ ფულის მოხმარა,
არ უგზო-უკვლოდ დაბნევა;
არც მარუსიას ჯიბეში,
უანგარიშოთ ჩაბნევა.

—

თედო სცენასასულდგმულებს,
ხალხი უსმენს მადლიერი,
იქ კი ვილაც ტოლუმბაშობს,
სიტყვა ისმის გრძნობიერი.

—

გათენდა ყველა წავიდა,
გამგეობა დარჩა მხოლოდ,

მაგრამ მაროს გულად ქალსა,
კომისიის არ აქვს შიში.

—

მე ვარ ქალი, ქვეყნის თვალი
მარო ზენაევის ქალი,
არაფრად არ მიმაჩნია,—
კომისიავ, თქვენი ვალი.

**იგი შენ.**

—:—

## წერილი ტარტაროზს.

ავილე ისევ ქამანჩა,
გავასუფთავე სტვირია,
რაც რომ დაგვადგა გამგისგან
ტანჯვა და გასაჭირია,
სულ მოგიყვები, ტარტაროზ,
ჩაიტკბარუნო პირია.

ცრემლი შემაშრე, გეთაყვა,
ნუ ამიტირო სტვირია.
ჩვენ სკოლის გამგე არ გვწყალობს;
განრისხდა, ჩემო ძამია.

მასწავლებლებიც მას აყვენ
(იქნება ორი-სამია.)
და პირი შეკრეს ოთხივემ...
ყველა მათგანმა ისურვა
ბე-კლასის მერვე ჯგუფისა
სამარადისოდ დახურვა.

და, მართლაც, ასე არ გვიყვეს!
ასრულდა მათი წადილი.
(ჩვენი პატივის ცემისთვის
მიერთვას კარგი სადილი),
გვიკრეს პანღური სამოც კაცს,
გაგვიშვეს როგორც ცხვარია.

გამგე კი კვდება სიცილით,
და მასაც ეს უხარია.

ეს გახლავთ „გიორგ-პეტროვიჩ“
ყველას მოგვიგო „შანია“
ჩემს ფეხებს თუ არ ისწავლით,
ჯოჯოხეთს ჰქონდესთ გზანია.
ჩვენი მიზანი გაგვიქრო,
„პროშჩაი-დასვიდანია“.

ჩვენი ტანჯვა და ვარამი
ვერა გზით აგვიტანია.

**დ—წრის**

## „თავადი“

აპრილის დილა გათენდა
რა კარგი დარი დგებაო.
ცნობილი გრიშა თავადი
სარდაფში მიბრძანდებაო.
ათთიაქარი დუდუკით
გრიშასა მიუჯდებაო,
სუფრა იშლება ფართოდა,
ლხენა აზარტი ხდებაო.

ახალ-ახალი კრედიტი
ყოველდღე მას ეხსნებაო.
ქვეყანა ჩემი ყოფილა
და აწიც კკლავენ იქნებაო:
ენა შიშისგან მედუქნეს
მუცელში უვარდებაო,
რომ უთხრას: მილიციელი,
ძმობილო, გაჯავრდებაო.
მაგრამ თავადსა ქეიფი



გრიშიკო ლეკურს თამაშობს,
კბილით სტოლს აფრინდებაო,
ჩამოუარა დავლური,
მას სუფრა ემძიმებაო
ბაღდადურს უვლის თავადი,
სკამიდან სკამზე ხტებაო.
დანებით უვლის ბუქნასა
თეფშები ბევრი ტყდებაო.

ჯერ კიდევ არ სწყინდებაო.
მისგან შალიკო ფარმაცევტს
არა აქვს წასვლის წებაო.
თვალებს არ ძალუძს გრამობით
წამლების შემზადებაო.
გრიშას აყოლა არ არგეს,
ის ავტოთ დაბრძანდებაო.

ჯაფარ.

—:—

## ზიარება

პირველ ნომერის „ბალნიცა“,
ამ ჩვენ ქალაქსაც ჰქონია,
თვითონ სანამდე არ ვნახე,
მე ის არც გამიგონია.
აქ ავადმყოფის სანახად,
იმ დღეს შემიცდა ფეხია,
მაგრამ ნუ იტყვით რომ უცებ,
დამეცა თავზე მეხია.
უცებ ექიმი მეგონა
და გაუწოდე ხელია,
მობრუნდა, შემომაცქერდა
ვილაც მსუნაგი ღვდელია.
თურმე ნუ იტყვით,—წესები
აქ ძველებური ჰქონიათ,
უზიარებლად სიკვდილი,
მართლა წაწყმენდა ჰგონიათ.
ღვდელი ავადმყოფს უხსნიდა:
ასედაც უნდა მოხდესო,
არვინ გაბედოს თქვენგანმა,
უზიარებლად მოკვდესო.
გვერდს უმშვენებდა „სიდელკა
აღებიებდა ყველას პირს
ნეტა ვიცოდე „ბალნიცა“
რას აძლევს ამ ღვდლებს ჯამაგირს

ძნელ-ოლლი.

## ჩემი გოდება

მე ვარ ერთი უსწავლელი
და შეგირდი სოფლის ხუცის;
ხმა მჯეროდა მამა ჩემის
ფრიად ბნელი და მოხუცის.
ასე მირჩევდა საწყალი:
ისწავლე შვილო მღვდლობაო,
ტანზე შავ კაბას ჩაიცვამ,
ასეა ეხლა მოდაო.
და მეც ბრიყვი, უსწავლელი
მამას დაუგდე ყურიო,
და დრო დაგვიდგა ისეთი,
ველარა ვჭამე პურიო.
ყველა ხარობს, იღიმება,
მე კი ყური ჩამოვყარე,
დავდივარ და სულ ვქვითინებ,
მწარე ცრემლი გადმოვღვარე.
დავდივარ წვერ გაკრეჭილი
და ვეძებ დღიურ ლუკმასო,
ვინაც ეს საქმე ჩვენ გვიქნა
მუდამ უგზავნი კრულვასო.

იადონი.

## მესტვირული

(ბათომისათვის)

დიდი ცდითა და ვაგლახით,
ძლივს შევიძინე სტვირი მე,
ბანის თქმას გემუდარები,
ტარტაროზ, შენი ჭირიმე.

—

შეუცუცხუნოთ ყველა მას,
ვინც გვევლინება კუზათა,
აპოლონ ხელსა შეგვიწყობს,
მამათმთავარი მუზათა.

—

აბა, ჰა, ჩემო ქამანჩა,
დაუკარ შენებურადა,
ვინც რომ პილპილი შესჭამა
შეუხტეს კალმახურადა.

—

სალამი ვაჩაბერიძევ,
სალამი, ვანო ბატონო.
საქონლის ანგარანისა
მეუფევ, გამგევ, პატრონო,

—

ეს რა ღიპია, ძმობილო,
რომ აზიდულა გორსავით,
წინეთ გაფცქვნილი იყავი.
ეფისკოპოსის ჯოხსავით.

—

მიმოდიოდი ხაზებში,
ნალების საპოვნელათა,
ბატინკებისთვის ზრუნავდი,
ქუსლებზე დასარტყმელათა.

—

ავეჯი მთელი მოძრავი—
—მუქი ზონტიკი რღვეული,
შვიდ აბაზს არ სცილდებოდა,
საბაზროთ გამოთრეული.

—

მაგრამ მწამს გადაგიარა,
ის დრონი ბურუსიანი,
ნაცვლათ მოგაგო განგებამ,
დღენი ნათელი მზიანი.—

—

—მოგცა ქონება უზომო,
მუნ აგამაღლა სართულათ,
შახის ლხინი გაქვს და ცხოვრობ
ჩვენებურ დარდიმანდულათ.

—

დაცაცხუნება, უხეში
მურით აღსავსე სიტყვები,
სწორეთ, რომ გითხრა, ძია-ჯან,
ძველსა ადათებს მიყვები.

—

მუშებმა შემოგატიეს:—
—„გაჩუმდი, არ აგვაყვირო“
„თორემ ჩვენ ვიცით ყოველი
„შენი საქმენი საგმირო“.

—

„რაც, რომ აცანცლე მელიავ
„ის მოინელე სტომაქში.
„შენ რომ ბოლომდის ეს შეგრჩეს
„ისე აშენდი ოჯახში“.

—

კალე და საშა, კუდების
ნუ მოგეშალოთ თავია,
მზადა მაქვს თქვენთვის იცოდეთ
საკაზმი მოსართავია.

—

ინგუში.



## „კრიმანჭული“

### სურები

აქ ჩვენს სოფლებში გამრავლდენ:
მელა, მგლები და ტურები.
ზარალს ზარალზე ნახულობს
იანეული, სურები.
დილას რომ თხები გარეკო
თუნდ შენი სახლის ახლოსა,—
მეტი რა ვუთხრა ჩემს მტრებს,—
ის კაცმა იქ ვერ ნახოსა.
თემალმასკომი ამაზე
ზომებს ნაკლებად ღებულობს.
გაწყდა გლეხების დოვლათი,
თითქმის ყოველდღე კლებულობს.
მონადირენი გულადნი
სულ სხვა გზებზედა ცოცავენ.
ნადირის მოკვლის მაგიერ
სკვინჩებს და ჩხარტვებს ხოცავენ.
დღეში ვარდება ათასი
საფანტიანი ფილითა.
„აბა დელიაც“ ხშირია
სალამოთი და დილითა
კრიმანჭულს ეუბნებიან
სოფლად მოსული ტურები.
საქონელს ჰკარგავს ყოველდღე
იანეული, სურები. ძნელ-ოლლი.

—:—

## ქ. ფოთი

### საზოგადო მოღვაწენი

**მიხო**

რა ვქნა, რა მეშველება
ამერია დავთარი,
რა დღეში ვარ, სად მოველ
სულ უბრალოთ დამწვარი.

—

ჩემი ცოდვა იმათ, ვინც
ამ საქმეში გამრია,
ფული გამაფლანგვია
და ჰკუაზე ამრია.

—

„არტისტკები“ გავიცან,
ჩემთან იყვნენ სხვებიცა.
გაჰივრების დროს შველა
ყველამ მტკიცედ შემფიცა.

—

ვფიქრობდი, რომ პირობა
კარგი გამოდგებოდა,
დროს ტარება, ქეიფი,
ყველა შემერგებოდა.

—

მაგრამ ვხედავ;—მოვსტყუვდი,
დღეს ვის რა ენაღვლება,
ჩემი აზრი, გონება,
ფიქრებით ილალება.

—

საყვარელი და ცოლი
ორივე ჩამომშორდა...
უფულობის ბრალია,
ტყვილა თავი მომწონდა.

—

ჩვენების დროს უთხარი:—
ეს რა საკადრისია,
რომ ფულები გაფლანგო
და ისიც კი სხვისია?!.

—

არა, არ დაიჯეროთ,
მე სხვა რამე შემემთხვა,
და იმისთვის ეს საქმე
თავზე ბრალად დამედვა.

—

ერთხელ ნავით ვცურავდი
აქაფებულ ტალღებში,
(მე არა ვარ ჩვეული
სეირნობას ბაღებში).

—

ამ დროს სადღაც ეშმაკათ
ამხანაგს გავეხუმრე,
და შექანჯალების დროს
გამივარდა საფულე.

—

და ზღვამ შთანთქა ის ფული,—
საზოგადო ქონება,
ვითომ მე შემეჭამოს
წურავის ეგონება...

—

და ვფიქრობ დავაჯერე
ჩემს სიტყვებში იგია.
ვიცი მალე დადგება
გაშვებისა რიგია.

—

**ვასო**

შენ რა გიჭირს, ძამია,
საქმე გაგიჩარხია,
ცოტა მეტიც გეჭამა
იქნებოდა ახია.

—

მე ვერ მოვაჭახრაკე
ჩემი საქმე მაგგვარად,
და იმისთვის ვაგდივარ
აქ მე ასე ავარად...

—

**ბესო:**

ეს ქვეყანა ყალბია,
ოხერი, ჭორიანი,
მიკვირს, როგორ მოვხდით აქ
სამივე ორ ცოლიანი.

**გვანც.**

სწორედ მით დავიღუპე
ორი ცოლი რომ მყავდა,
მუსულმანებს წავბაძე
ზურგი ხომ არ ამქავდა?

—

**ვასო:**

ორი ცოლი თუ კი გყავს,
რისთვის ერთიც არ მოდის,
რომ გდიხარ უპატრონოდ,
ლამის სული ამოგდის?!..

—

**გვანც.**

ჩემი სატრფო-საყვარელს
ცოლი ეკამათება,
და მისთვის ვერ იგებენ
აქ მე რა მემართება...

—

და ასრულდა ანდაზა:
**რაც მოგივა დავითა**
იცოდე რომ ის არის
**ყველა შენი თავითა.**

ვარ.




## კლუბი „სათანადო სიმაღლეზე“

„წითელი მასკა“ შემდეგს გვატყობინებს ხიდისთავის კლუბის შესახებ:—

„გახსნის დღიდან გაივსო
ის ქალით და ვაჟიებით,
კმაყოფილიც ვიყავით
ედრამწრის გათამაშებით.
ეხლა ეს შეიცვალა
ვით მაისი მარტითა:
—დრამწრის სამაგიეროთ
თავს ირთობენ კარტითა.
ხშირად ამ კლუბს გლეხები
ეწვევიან სტუმრადა,
მაგრამ სახლში მიდიან
მოწყენით და უძრადა.
ვერ მიმხდარან სრულებით
თუ რა ხდება აქ დღესა:
—კლუბში კარტის თამაში
ვინ რატომ დააწესა?!?“

ტარტაროზმ მოისმინა თქვენი ეპისტოლე და წარმოსთქვა:

—უსაქმური ლუარსაბი
თურმე ჭერზე თვლიდა ბუზებს.
რა უყოთ თუ „ტუზების“ თვლა
დაუწყიათ კლუბის ტუზებს!?
ხშირად არის—მოღვაწეთა
ფეხუბისკენ მიდის თავი:
—სინჯეთ, იქნებ გამონაკლისს
არ შეადგენს ხიდისთავიც!..

## ეს აღარ ვარგია!

„იადაფოშა“-ს თქმით:

„ზესტაფონში ჩხარიდან სტუმრათ მოსული მასწავლებელი ქალი თ. ბერძნიშვილი კომკავშირელებმა დაპატიჟეს რესტორან „ამირანში“. თამადობდა მასწავლებელი ქალი. ყმაწვილები, რომ შეთვრენ, ატყდა ჩხუბი, ისმოდა უწმაწური სიტყვები. კომკავშირლებისა და მასწავლებლის ასეთმა „სმიჩკამ“ დიდი უკმაყოფილო გავლენა მოახდინა მაყურებელ საზოგადოებაზე“.

ტარტაროზის აზრით:

—თუ კი ზესტაფონს ეწვია
მასწავლებელი ჩხარელი:
„ცხადია:—კომკავშირისთვის
საქმეა გასახარელი.
ასეთი „სმიჩკა“, კავშირი
იქნებ ყოველგან კარგია,
მაგრამ თრობა და დუქანში?
ჩვენ ვფიქრობთ—ეს არ ვარგია!

## საექიმო ექიმი

„ხულოელი ბზიკი“-ს სიტყვით:—

„ხშირია ხულოს საექიმო პუნქტში ასეთი სცენები.
მოდის ავადმყოფის ჭირისუფალი. ექიმი რუსია.
ავადმყ. პატრ.:—მამა მყავს ბატონო ავად, წამოდით, ნახეთ!
ექიმი:—ჩტო გავარიშ კაცო?
ყორა თარჯიმანი:—ოტეც ელო ბოლენ, პროსიტ პოიტიტ!
ექიმი:—ნეტ ვრემენი! ჩტო ბალიტ?
ყორა თარჯიმანი:—ჟივოტ ბოლიტ!
ექიმი:—რაზ ტაკ, აკუშერკა პოიდიოტ!
ასე, ამგვარად ხშირია შემთხვევა, როდესაც თავმტკივანს იოდს უწერენ, ხოლო ყელმტკივანს—სასაქმებელს. ვინ მოგვხედავს“?

ნუ გეშინიათ, ტარტაროზი მაინც მოგხედავსთ, მას არც მანდ წამოსვლა დასჭირდება და არც „აკუშერკის“ გამოგზავნა თუ აღმასკომი ინებებს და... ხულოს საექიმო პუნქტს მოალოგინებს ასეთი ექიმისაგან.

## დროზე იხსენით!

დროზე მიხედეთ და იხსენით სადგური სუფსა მოსალოდნელი საშინელებისაგან! საქმე სახუმარო არაა, აბანოა განსაკეთებელი, მაგრამ, „ახალგაზრდა კვაჭისტის“ სიტყვით:

„ქვაბი მთვიდა აბანოსათვის
იხევ წაიღეს, არ ვიცი რისთვის?
ასე, რომ ჩვენი აბანოს ქურა
აშუშავდება 80 წლისთვის.
დაპირებანი—ძლიერ ბევრია,
აღდგენას თხოვს აქ ადგილკომი:
—თუ არ გვიშველე ძია ტარტაროზ
მგონი გაჩაღდეს სუფსაში ომი“!

რა ეშველება მდგომარეობას? სუფსელებო, იწამეთ ხატი და ჯვარი ნუ იომებთ, იქნებ მშვიდობიანათ გადასწყვიტოთ ეს საკითხი. ქვაბი წაიღეს, მერე რა უყოთ, შეიძლება ქვაბს სადგურ სუფსის ადმინისტრაციაც გაყვეს—თქვენ თავს ნუ მოიკლავთ, ყველაფერი მოსალოდნელია!



უკვე დროა იზრუნოთ გაზეთის გამოწერაზე.

# გაზ. „მუშა"-ზე,

რომელსაც ყოველ კვირას თან მოჰყვება ჩვენი ჟურნალი

# ტარტაროზი

## მაისისათვის ხელისმოწერა უკვე დაიწყო.

არ დარჩეთ მაისში უგაზეთოდ.

კანტორა: პლეხანოვის გამზირი № 117.





საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა კამოს ქ. 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 16 მაისი, 1926 წელი.

# ტარტაროზი

№ 48

ფასი ორი შაური

„მაკდონალდი ღვთის სახით მოუხმობდა გაფიცულთ—გაფიცვა მოეხსნათ".



მაკდონალდი

„ძეო ღვთისაო! ეს გაფიცვა შენი ხვედრია,
მჩაგვრელთა ხელებს ნუ მოაკლებ მათ ძეო ღვთისა:
მუხლმოდრეკით, ხელაპყრობით შემიდრია
აწ მოგვივლინო ჩვენ დრო-ჟამი შეთანხმებისა!"

# ბრძანება № 8

## ყველას და ყველგან ჩვენს კორ.-აგენტებს... ზოგან თუ მრავალს,—ზოგან კი კენტებს.

მიიღეთ, ძმებო,
ჩემგან სალამი.
ხელში გეჭიროთ
სველი კალამი.

დღეს გეგზავნებათ
ჰა, ეს ბრძანება.
(ბრძანებას თავი
ვინ დაანება).

თუმც, მართალია:
ხანი დიდია.
(ცხოვრების დღენი
სწრაფად მიდიან).

ჩვენგან ბრძანება
არ მიგიღიათ...
(ყოველს საკითხებს
ვსტოვებდით ღიათ).

და ეს, იცოდეთ,
მხოლოდ იმიტომ:
რომ თქვენ რა გექნათ,
იცოდეთ თვითონ...

და წარა-მარა
ყოველ საკითხზე.
(ბრძანება მკაცრი
ერთხელ რაკი თხზე).

თვითონ სთქვით თქვენა,—
რა საჭიროა?!
მისი გაცემა,
რა საგმიროა?!

ჩვენ ხომ არა ვართ
გამგე და სპეცი?
(ვამბობ,—მათ შორის,
ვინც არის მხეცი).

რომ არ ასვენებს
საწყალ შიკრიკსა;
აძრობს ბრძანებით
მას კუდის რიკსა!

გარდა ამისა,—
ჩვენ გენდობოდით,
ყოველს საქმეში
დაგეყრდნობოდით;

თქვენი იმედი
ჩვენ გვქონდა მარად;
ყოველ სიძნელეს
ვიმჩნევდით არად...

მო-და სხვა კიდევ
მოსაზრებებით,
არ გაწუხებდით
ჩვენ ბრძანებებით.

მაგრამ ახლა კი
გვჭირია იგი,
რომ არ შეირყეს
ჩვენს კორთა რიგი.

თუ სხვა ქვეყნებში
არის კრიზისი,
პრემიერების და
მთავრობების.

(კაპიტალიზმის
დასაყრდნობისა,—
მუშათა კლასის
კი ობობების).

რად გაგვიკვირდეს,
ან რა საქმეა,
ჩვენშიაც იყოს,
კრიზისი... მაგრამ

არა მთავრობის,
ხელისუფლების,—
(არსად არ არის
ჩვენსავით მაგრად),

არამედ რამის...
თუნდაც ქაღალდის...
დიახ! ქაღალდის
არის კრიზისი,—

და ამიტომაც
მთლად დაიხურა
ჟურნალ-გაზეთი
მრავალი სხვისი...

ჩვენც თანაუგრძნობთ
მდგომარეობას
და ჯერ-ჯერობით
ასე შევჩერდით:

რომ ყოველ კვირას
გამოიგიგზავნით,
ჩვენ „ტარტაროზსა",
მხოლოდ რვა გვერდით.

ეკონომიის
რეჟიმი არის...
სხვებს უნდა მივსცეთ;
ჩვენ მაგალითი,—

და თუ „ტარტაროზს"
არ მოვაკელით,—
აბა, მითხარით,
ვაჩვენოთ რითი?!

ეკონომიის
რეჟიმი უნდა
თქვენც გაატაროთ,
დაიცვათ კარგად

და ნუ დახარჯავთ:
ქაღალდს და მელანს,
როცა მასალა
არაფრადვარგა.

ეს კი არ ნიშნავს:
ხელი აიღოთ
და დაეთხოვოთ
ბრძოლას და წერას...

პირიქით: უნდა
უფრო უმატოთ
მაჯების ცემას
და გულის ძგერას;

მტერმა, ორგულმა
არა იფიქროს,
რომ „ტარტაროზი",
ან უძლურია,—

და ამიტომაც
მათ არ დაიწყონ
კვლავ ძველებურად
ხელთ ფათურია.

გეძლევათ ნება:
ვინც სთქვას დაცინვით:—
„ახ! „ტარტაროზი"
არის რვა გვერდი",—

იმას მუშტებით,
ანდა წიხლებით,
თქვენ ჩაუმტვრიეთ
ორივე გვერდი.

თუმცა გავხახევრდით
რაოდენობით,—
ნაცვლად ვაღრმავოთ,
აწ შინაარსი,—

და მტრების მიმართ
აწი ვიქნებით
უფრო მრისხანე,
ვიდრე თვით მარსი.

არ შედრეკს რიგი
ტარტაროზკორთა;
კიდევ ემატოს
იმას მრავალი.

დღეს, თუ ეს არის,
ხვალ სხვა იქნება,—
ჩვენს ხელში არის,
ხომ მომავალი!?

ძირს არ დავხაროთ
ბრძოლის ალამი,
კიდევ მიიღეთ
ჩემგან სალამი.

„ტარტაროზი".

# მომჭირნეობის რეჟიმი

გავიგე, რომ მომჭირნეობის რეჟიმი გამოცხადდა. ჩემი გაგება რას კმაროდა,—ჩემს ცოლისათვისაც უნდა გამეგებინებია, და მასაც სრულიად უბრალოდ გავაგებიე, როცა სანოვაგის საყიდლად ნაცვლად 50 კაპეიკისა (ესაა ჩემი ხარჯთაღრიცხვა კარგ დროს დამტკიცებული)—25 კაპეიკი მივეცი.

— ამით რა უნდა ვიყიდო?!—მკვახეთმითხრა მან.

— როგორ თუ რა! რაც შეიძლებოდეს ის იყიდე.

— ათ შაურს მაძლევდი და არ მყოფნიდა... ეს რას გიჩამს!? ხომ იცი: სამი სული ვართ.

— ოთხიც რომ ვიყოთ, ეს უნდა ვიკმაროთ: მორჩა და გათავდა!!

— როგორ? როცა ყველაფერი გაძვირდა, მაშინ დაიწყე ეს? — მე არსად არ მივდივარ; წადი და შენ თვითონ იყიდე—მითხრა მან და ხელში აღებული კალათი კუთხეში მიაგდო.

— უი, შენს გამომცემელს; ხომ იცი ქალო, ამდენხანს ეს რეჟიმი არ იყო, ეხლა ეს რეჟიმია. მე აქ რა შუაში ვარ?! მე ხომ არ გამომიცია ასეთი რეჟიმი.

— რა რეჟიმი, შე შესაჩვენებელო, რომ არ გეყოფა, რაღა რეჟიმი გიშველის.

— მე ბევრი არ მცალია; სამსახურში მივდივარ; შენ თუ გაინტერესებს რა რეჟიმია,—აი გაზეთი და გაიცანი—ამოვიღე გაზეთი, მივუგდე და მსწრაფად გარედ გამოვედი.

---

სამსახურში რომ მივედი საათმა ათის ნახევარი დარეკა. ყველა თანამშრომლები ერთად იყვნენ თავმოყრილი და სტალინის მოხსენების გარშემო კამათობდნენ. ზოგი ამბობდა: მომჭირნეობის რეჟიმი კარგია, ზოგიც აგინებდა. კამათში მეც მივიღე მონაწილეობა და მანამდე ვილაპარაკეთ, სანამ ერთმანეთი არ შევლანძღ-შემოვლანძღეთ.

თერთმეტი საათი იყო, როცა მაგიდას მიუჯდექით და მუშაობა დავიწყეთ.

— ამხანაგო ამ თვისათვის თქვენ რომელი გაზეთი გამოგიწერიოთ—მიმართა ადგილკომის მდივანმა ჩვენს გამგეს.

— არც ერთი.

— როგორ! ერთსაც აღარ იწერთ; ამდენ ხანს ხუთს იწერდით...

— ამდენ ხანს არც ეს რეჟიმი იყო—სთქვა მან და ზეზე წამოდგა...

ამხანაგი კიდევ შეეკითხა რამოდენიმე თანამშრომლებს, მაგრამ „მომჭირნეობის“ რეჟიმის გამო, ყველამ უარი განაცხადა.

კიდევ კარგი—ვფიქრობდი მე.—ჩვენს გამგესაც შეუგნია მომჭირნეობის რეჟიმი; ალბად აწი წარმებას წინ წასწევს.

---

მომჭირნეობის რეჟიმმა ჩვენს დაწესებულებაში მართლაც ნაყოფი გამოიღო, რა კი ყველა „მიხვდა“ მის მნიშვნელობას სხვა რაღა იყო საჭირო—არც ერთი გაზეთი არ გამოწერილა, არც ერთი განცხადება არ მიცემია გაზეთს, არც ერთ მუშას თავის დროზე არ მისცემია ჯამაგირი, არც ერთი ზედმეტი მუშაობა დ[illegible]ოვანებიათ, არც ერთი კაპეიკი არ გადადებულა კულტფონდისათვის, არც ერთ შემთხვევის დროს არ გაცემულა ავანსი ერთი სიტყვით: სასტიკზე უსასტიკესი რეჟიმი დამყარდა.

— საქმეთა მმართველიც ისე „გასკუპოვდა“, რომ ერთ ნაჭერ ქაღალდს აღარ აძლევდა მოხელეებს.

პ. ობოლი.

# ღმერთის შეუ[illegible]

„...ჩვენ ვიფრენთ ღრუბლებს ზემოთ; ასე რომ დიდ დაბრკოლებას ვერ გაგვიწევს ამინდი“.

ამუნდსენის სიტყვიდან



ალბად „კომსომოლი“ ზის იმ ყუმბარაში, რომელიც გამოსროლილია მიწიდან ჩემს ასაფეთქებლად.



„ბრწყინვალე აღდგომის“ შემდეგ ბნელს „კუტუსკა“-ში ამოჰყო თავი.



აღდგომის შემდეგ აღდგომა უჭირს.

# საუბარი ტყის შესახებ

(გურული სცენა)

— გამარჯობა შენი გოგიავ!

— გაგიმარჯოს ჩემო ალმასხან. როვა ხარ. რას შობი, ხომ ხარ ისე კენჩხათ, ძველათ რომ იყავი?

— დედავ! ვარ კიარა მეტი კიდომ! ამ უცხვირპირო ყაზილარებმა თემსაბჭოს თავმჯდომარეობა არ მომცეს, მარა საბჭოის წევრობა მაინც ჩევიგდე ხელში და აწი მე მკითხე მაგინის პატივის ცემა, შარშანდელი წელიწადი იმას ვეხვეწებოდი, რაცხა ორი ძირი ხეი აგდია, ნუ მოჭრით მეთქი, მარა...

— დასტურ კაცო დღეს რაცხა ტყის დღეიაო, რა ამბავია ნეტაი?

— რა ამბავია, ბიძია, და ტყეი უნდა დავიცოთ, იმის დღეა. მთავრობამ გვიყურყუტა, გვიყურყუტა, ეგება მისით მეიფიქრონ და შიაჩერონ ტყეების ჩეხვაო, მარა აფერი არ გამევიდა.

ახლა გამოცემულია პრიკაზი: ყოლგანაი ტყის დღეი ჩაატარეთ, გლეხებს ოუხსენით ტყის მნიშვნელობაო.

— მერე და ტყეს აქვს რამე იმფერი ნიშნეულობა, რომ მთავრობა მაგიზა იწუხებს თავს?

— ნიშნელობა ბეური აქვს, ჩემო გოგიავ!

აი კაი ჰაერი რომაა, აგი ტყეითაა; აგი ღვარები რომ იყო და შარშან ყანები რომ წაგვართუა, აგი უტყეეობითაა; შენ თუ მიადექი და რაცხა ორი ძირი ცხემლაი იზრდება ტყეში, იგი მოსჭერი, გაისად აღარ გექნება და ქედამრჩები ცარიელი.

— კი მარა, ალმასხან, მე არ მოვსჭრი, დათიკამ მოსჭრა, ივანიკამც არ დააკლო ხელი, მაქსიმელამ გაატიალა; აი რაღა გამევიდა; მე ქე მოვკალი სიცივით ქალ-ბაღანაი და იგენმა კიდეც გეითფეს და სახარჯო ფულიც იშონეს.

— აი, საქმეც მაგაშია, ჩემო გოგია, ჩემო ბიძია. დღევანდელი დღეი რომაა ტყის დღეი, აგი იმიზაა დანიშნული, რომე ჩვენ ერთიმეორეს უუხსნათ, რომ ტყეის უთავბოლოთ მოჭრა არ ვარგა, თვითონ ჩვენდაა საზარალო. თვარა აგი თვარ შევიგენით, ერთ ხუთ-ათ წელიწადს იქით არც შენ არ გექნება შეშა, არც ივანიკას, არც პეტრიას და არც გაბრიელას, გადმეიგრიალებს აი ზენა ქარი, (ნუ გეშინია ტყემ არ დააკავოს) და ამ ჩვენ ფაცხებს თავზე წამოგვამფხობს; წვიმაში წამოვა წყალი და ღვარი და ამ შენ ყანა-ბახჩას მისპოტ-მუასპოტიალებს, დაეექი მერე და უყარე კაკალი, მაშინ ქე მეირტყამ თავში ხელს, ნეტაი არ გაავბდლებულიყავი და ისე უთავბოლოდ ტყეი არ მომეჭრაო, მარა რაღა დროის იქნება. მიადექი მერე და ქექე ნაცარი! ალლარ-ალლარსან.

# თქმულება

## ქიზიყელ დედოფლის ამბავი *)

ძველის-ძველად,—სულ სხვა დროში, უხსოვარში, უვიცობის ბრმა ხანაში, ჩვენმა ქალმა უსწავლელმა, გაუთლელმა არ იცოდა: „მაჩი“, „ზაქსი“

და ერთს ასეთს, გონებით ბნელს, ქალს ქიზიყელს გათხოვება დაუპირეს. სადედოფლო ჩვენმა მელომ (თუ გინდ პელომ) ბევრი, რომ არ გავაგრძელო, დედას ჰკითხა:

— მითხარი დედა, გენაცვალე, ნუ გაწყრები, გაჯავრდები, ამიხსენი. მაცოდინე, თუ რა არის გათხოვება და ოჯახის მოშორება?

დედამ უთხრა:

— თვალის ჩინო, სასურველო ჩემო შვილო, ყური მიგდე, გაიგონე და პასუხი მოისმინე: გათხოვდები ქმარს გაყვები, სახლში ხომ არ დამჟავდები! ჯვარს დაიწერ, მაყრიონი სულ მაყრულით გაგიძღვება და ქორწილში, ქმრის ოჯახში ვახშმით კარგად გამოძღები, და მერე კი...

—და მერე კი... რას მიკვეთენ, რაღას მიზმენ?

— ჩაგკოცნიან ჩემო შვილო... კარგი არის ნეტარება და უზომო ალტაცება...

ქორწილში ზის დედოფალი მორთული და მოკაზმული: შავთვალწარბა, ბროლფიქარი, დაქანცული. ორი კიდეც მოიხადა: ჯვარისწერა და ქორწილი. გამძღარია, ეძინება და თვალები ებრიცება. მეტს ვერ ითმენს, წამოდგება (რა ქნას თუ კი ეძინება!) ასე იტყვის გულუბრყვილოთ (არც სცხვენია: არც წითლდება):

— თუ მაღირსებთ, ქე მაღირსეთ, თორემ მწარედ მეძინებ...

—:—

**„ტყის კაროლი“, „კომისარო“, მეც მაღირსე სიცოცხლეში თქვენთან მცირე საუბარი... მოხუცი ვარ და მეშინის ამ ცდაში არ გავიპარო. (საიქიოს რაღად მინდა თქვენთან ტკბილი საუბარი)! პიტნა.**

*) ეს ამბავი ჩაწერილია ფუტკრების კომისარის—აპოლონ წულაძის მიერ და უძღვნის ამხ. ნ. კიკნაძეს.

# „ვირის ჩრდილი“



## მეგობრული შარჟი

ვირი: (გრიშაშვილს და ფაღავას) რა გიჭირთ, რა!!! ამ ზაფხულში ჩემს ჩრდილს აფარებთ თავს და ჩემი ზურგით მოტანილ მაწონსაც შეექცევით სახლში.

## ამაღლება.
### იტელიგენ—კინკლი—ცია

ერთხელ შვიდწლედის დარბაზში
მოგროვდენ კულტუროსნები;
დაესწრო ყველა „მოღვაწე“
და სოფლის ყველა „მგოსნები“.
უნდათ გამართონ საღამო,
ან წარმოდგენა ქებული.
მათ პიესაზე ასტეხეს
კამათი გაცხარებული.
შეიქნა სჯა და ცილობა,
წამოდგენ ორატორები,
ზოგი გერგესელს შეეხო
მოუხეშავი ტორებით
და ზოგი შიუკაშვილის
იწუნებს ნიჭსა და ქცევასა.
—„ რა ძნელი დაუწერია,
იმ ოჯახ-დასაქცევარსა“.
და ბოლოს კამათის შემდეგ:
„სულელი“ ამოირჩიეს,
დაანაწილეს როლები
„არტისტნიც“ გადაარჩიეს.
აქა-იქ თავი დახარეს,
განზე გადადგენ სრულიად;
რომ დიდი როლი არ შეხვდა,
ვანუაც გულ-მოსულია.
კუთხიდან ვილაც ღრიალებს:
**„გზა-ჯვარედინზე“** სჯობია.
მას ბანი მისცა ვანუამ
და სხვებიც აიყოლია.
კამათი ისევ გაჩაღდა,
შეიქნა ომი ფიცხელი.
ზოგი დგას გზა-ჯვარედინზე“,
ზოგიც მომხრეა „სულელის“—
ველენტი ამბობს: ასეა,
დათიკო ამბობს: ასეა,
თავდება შეხლა-შემოხლის
პირველი რეპეტიცია.
მზე ესვენება... ეშვება
საღამოს ჩუმი ბინდია.
დაღლილნი კულტუროსნები
სახლებისაკენ მიდიან.
გადის დღეები. არსად სჩანს
საღამო, არც წარმოდგენა...
გვეყო ამდენი ლოდინი,
კმარა ამდენი მოთმენა.

**იანო.**

—:—

## ქ. სამტრედია.

ქუთაისის ქუჩის,
რუხაძისა ნომერს—
ნეტავ რა აწუხებს,
ნეტავ რა აგლოევბს?!
ეს ვინ არის ჩუმად,
რომ ღვრის ცრემლებს მწარეს?
ღამე, არ ამშვიდებს
და დღე არ ახარებს!
ალბად, **კოტრიკაძეს,**
ელის **პაწა მერი!**
ვისგანც ნახა ტანჯვა
და სიმწარე ბევრი.
კიდევ არ ასვენებს:
უნამუსო, ფლიდი!
დადის, როგორც სიძე,
როგორც ვინმე დიდი.
კამფეტებით უნდა,
რომ მოიგოს გული—
**მერი** ტირის, ტირის
და ივსება წყლულით.
დედინაცვალს—ნაცარს,
რა მოვკითხოთ აბა?
ფიქრობს: კაცთან **მერი**
თოკით, რომ დააბას.
ვით ტუსაღი ამწყვდევს,
მაგრად კეტავს კარებს—
**მერი, კოტრიკაძეს,**
მაინც არ იკარგებს.
„სიძე“ ღელავს, შფოთავს—
ბავში ოხრავს, კვნესის!
მისი ხმა, ყვირილი
სამტრედიას ესმის.
ალმასკომმო, მგონი,
იცი ყველაფერი!
და გთხოვ: დაიფარო
**ობოლ ბავში მერი.**

**ქაგნელი ბზიკი.**

—:—

## ლანირ-ჭაგანი.

გლეხკომი დაგვისნეულდა—
ბევრჯერ ვუმღერეთ ნანაო!
თურმე ჩმ ოხერ სიკვდილსა,
ხელში ეჭირა დანაო.
დავრჩით რიყეზე გლეხები—
წყეული იყოს მარადის,
ვინც შეგვიშალა ხელიო.
მაზრის გლეხკომო! მოგვხედე,
თორემ ალარ ვართ მეტიო!
ვინც კიდევ ღალატს გაბედავს,
მზადა გვაქვს დიდი კეტიო...

**პოპოკი.**





აღდგომა დღეს სავსე იყო სუფრა სავსე ჭანჭებით




შ. მესხსს (ზუგდიდი) თუ:

„ახალგაზრდა პოეტს დარასულიას ზაყაყები მუზას უფრთხო-ბენ და ლექსებს ვეღარ სწერს“,—

არც თქვენთვის დაუყრიით დიდი ხეირი იმავე ბაყაყებს. თქვენს წერილს ეტყობა, რომ იგი დაწერელია ბაყაყების კონცერტის მოსმენის დროს.

მ. **სიმონელს** (ქუთაისი) თქვენი „თავგადასავალი“. ცოლის შერთვის შესახებ, არის გოდორში გადასავალი დი, ამიტომაც, ნურას უკაცრავად თუ იგი არ დავბეჭდეთ. ესეც რომ არ იყოს, შე საწყალო, მაგნაირი ცოლი გყოლია და მისი მაინც აღარ გეშინია?! ეს წერილი რომ დაგვებეჭდა, არც ერთს კბილს არ შეგარჩენდა, (თუმცაღა რად გინდა კბილი,—რას სჭამ, როცა ყველაფერი შეუჭამია... კიდევ მეორე, თუმცაღა: ახლა ეკონომიის რეჟიმია და უკბილობა უკეთესია).

ხუშტარას (ქუთაისი) ხრეხილელ მღვდელზე გვწერთ:

„ფეხით მოგზაურობს ტერენტი,
რადგან არა ჰყავს ჯორია“.

არ გედავებით, ხუშტურავ,
რომ ეს ამბავი სწორია,
მაგრამ რასაც გვწერ სარებზე,—
ის უნდა იყოს ქორია.

ხრიალეთელს (სუფსა) „ძმები ქელეხაძეები“-ს შესახებ თქვენი ლექსი ასე იწყება:

„ორშაბათ დილა გათენდა
რა ავი დარი დგებაო“...

ხრიალეთელის ლექსი კი
გოდორში ჩავარდებაო.

ეს ორი უკანასკნელი სტრიქონი ჩვენი პასუხია თქვენდამი.

უკუდო ეშმაკს (ხაშური) სასწავლებლის ფეხისადგილის შესახებ თქვენ იწერებით:

სამი კედლისგან შესდგება,
წინ არ აქვს მოსაფარიო...
ნეტავი ვინ მოიპარა
ფეხისადგილის კარიო.
რომელსაც შიგა შეხვალო
უნდა დახუჭო თვალიო,
თორემ ხალხი დაგინახავს
და ვაი შენი ბრალიო...
სირცხვილის გუშებაში
ცუდ რამეს განიძრახავს...

შე დალოცვილო, სირცხვილი თუ კი იცოდი რა იყო, რაღას იწერებოდი ამ წერილს?!

დედა-ენაში კუდა ხარი სხვებს უგერიებდა ბუზებს, და თქვენც შეგიძლიათ ბუზები მოუგერიოთ სხვებს, რადგან:

„ფეხისადგილში ბუზების
არის მრავალი ჯარიო“.

**თიგრის** (ფოთი) მოგვბეზრდა ამდენი მღვდლები, მით უფრო ამ სააღდგომოდ. დესერტად სხვა რამე მოგვაწოდეთ.

**ახალ-მოსულს** (ბორჯომი) წაიკითხეთ თქვენს ზემოთ ჩვენი პასუხი თიგრისადმი; იგი თქვენც გეხებათ.

შალ-განს. თქვენ კი თქვენს ზემოთ წაიკითხეთ ჩვენი პასუხი ახალ-მოსულისადმი; იგი თქვენც გეხებათ.

. . . . . . . . . . . . . . .

ყველას... ყველას... ყველას..., მღვდელ-დიაკონზე წერა აკრძალულია მამისაგან ძისა და სულისა წმინდისაგან.... ამინ.

მიცვალებულებზე ან კარგს იტყვიან, ანდა არაფერს... მღვდელ-დიაკონიც ხომ ცოცხალი მიცვალებულები არიან!..

მათზე ხომ კარგის თქმა არ ეწყობა! ამიტომაც აწი მაინც სიჩუმე სჯობია.

იყო დრო, ტარტაროზს უყვარდა მათი ყლაპვა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი გაირიყენ და გაძვალტყავდენ, მათი ყლაპვა არც ისე გემრიელია. ცარიელი ძვლების ღვრღნა მგლის საქმეა და არა ტარტაროზის.



[illegible] — ვის ეგონა — ასეთ ქალი ჩავწვებოდით!?

კარგად დაიხსომეთ ეს... ასე ცუდ ძღვენს ტარტარო-ზი ამიერიდან არ მიიღებს... ქონი, ქონი მოაწოდეთ... ქონი კი მღვდელს და დიაკონს აღარ აქვთ... სპეც-გამგეებ-ადმინისტრატორები და ჩინოვნიკ-ბიუროკრატები არიან ეხლა მოსუქებული და ისინი გამოაგზავნეთ.

**შხანკოლას.** თქვენი წერილი დაგვიანებით მივიღეთ. საპირველმაისო ნომერი უკვე გამოსული იყო; შემდეგი ნომრის გამოცემა კი დაგვიანდა. მოგვაწოდეთ სხვა მასალები.

**ილისავ ეძავათს** თქვენი: **„ქალის გასინჯვა“** როცა გავსინჯეთ-განვიხილეთ, ისე დავიწუნეთ, როგორც თქვენ დაგიწუნებიათ საპატარძლო. არ იფიქროთ, თითქოს ეს იმიტომ, რომ შური ვიძიეთ,—ჩვენ არც კი ვიცნობთ დაწუნებულ საპატარძლოს, არამედ იმიტომ, რომ ისეთივე უვარგისი და მახინჯია თქვენი წერილი, როგორც დაწუნებული საპატარძლო.

**ჯუღუ** (ქუთაისი) არც ისე ცუდი საქმეა, თუ კი:

„ალმასკომი შეუდგა ფეხისადგილების კაპიტალურ რემონტს. მის მიერ გაცემულია ბრძანება, რომლის თანახმად ალმასკომის თანამშრომლებს ეკრძალებათ ბლომად სმა-ჭამა და ადგილობრივ აფთიაქებს კი—ალმასკომის თანამშრომლებზე „ოლეუმ რიცინი“-ს (საბალარათო) მიყიდვა“.

**ყინ-ჩილოს** (დვაბზუ. ქალა) რა საინტერესოა ჩვენთვის, თუ: **„როგორ შეირთე ქალი“.**

მაგრამ ჩვენ მაინც დავბეჭდავდით თქვენს მასალებს მიუხედავათ მათი უვარგისობისა; ხოლო საქმე იმაშია, რომ რა ფსავდონიმით გაგვეშვა ვერ გადავსწყვიტეთ.

თქვენ გვწერთ:

„ფსევდონიმს გაცნობებთ ორს: **„ყინჩიყო“-ს და „ბურუ-ლი“-ს,** რომელიც სჯობდეს, იმით გაუშვით“.

„ტარტაროზი“-ს სარედაქციო კოლეგიამ ამ საკითხის გადაწყვეტას სამი სხდომა მოანდომა, მაგრამ შედეგს მაინც ვერ მიაღწია:

ამ თქვენს ორ ფსევდონიმში ერთი ვერ ამოირჩია.

ამიტომაც ვერ დაიბეჭდა და გოდორში გადაგზავნა, ხოლო საკითხი კი გადასცა ერთა ლიგას, რომელიც განიხილავს და ალბად ერთ-ერთს ამ ორში ამოირჩევს. (თუმცალა თვითონ თქვენ ვერ ამოგირჩევიათ, თუ რომელი სჯობია მათში და სხვა როგორ ამოირჩევს).

**სიობლით დაჩაგრულს** (თერჯოლა) მასწავლებლებზე თქვენ გულს გაკლიათ, რომ:

„თუ ლექსია, გეტყვიან?
არ ვარგა ეს ლექსი;
პროზად სწერე წერილი
არის უკეთესი“.

ეს სრული ჭეშმარიტებაა, ძაან კარგადაც უსწავლებიათ და თუ მათ დაუჯერებ, მოიგებ. ეს ამბავი რომ პროზად დაგეწერათ და რომელიმე გაზეთში (მხოლოდ არა „ტარტაროზში“) გაგეგზავნათ, აუცილებლად დაბეჭდავდენ და თქვენს მასწავლებლებს უსაყვედურებდენ უსათუოდ.

ჩვენც გეტყოდით, რომ თქვენი ლექსი არ ვარგა, გამოუსადეგარია, მაგრამ ეს ჩვენი პასუხი უკვე მიგიღიათ თქვენს მასწავლებლიდან. ამისათვის მადლობა ჩვენგან მათ.

**„ჯოჯოხეთის მაშხალა“-ს** (შუა-სურები) ბევრ ამბებს იწერებით, მაგრამ ყველა აბდა-უბდაა... ალბად იმისი ბრალია, რომ:

„სიწყნარე იყო...უცბად ამოვარდა ცხელი ქარი“... და სხვა.

ალბად ეს ქარი, როგორც „სხვაგან ყველგან“, თქვენს თავშიაც „შევარდა“ და ააფორიაქა ისედაც აფორიაქებული აზროვნება.

**მგელს** (ფოთი) გვისაყვედურებთ და მოსთქვამთ, რომ:

„ჩემს გამოგზავნილ წერილებს
რატომ აგზავნი გოდორში?“

იმიტომ, რომ არ ვარგა.

„კომუნისტებთან გეახელ,
კვერცხები ჰქონდათ კალათში“.

თქვენი წერილიც ჩვენ ჩავსდეთ
სარედაქციო კალათში.

—:—

ტარტაროზი № 48



მსუნაგ მადას მდიდრების
თუ ვით შემოევლება
ეს იციან მუშების
დაკოჟრილმა ხელებმა.

სიმძიმე გაფიცვების
მათ ზურგს როგორ აწვება,
ეს იციან—მდიდართა
ცრემლით სველმა ლაწვებმა.

რაც მათ დღემდი მიირთვეს
შხამათ შენარგებია,
როგორც ხედავთ—მსუქან წელს
კაი მუშტი რგებია!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალ. კომიტ. სტამბა, კამოს ქ., 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე




№ 49 | კვირა, 23 მაისი, 1926 წელი. | № 49




გაუფრთხილდით კაპეიკს,— იგი მანეთის ფარია

# „მფლანგველი“



ახლოს ვარ კასსასთან
შიგ ბევრი ფულია.
ნერწყვი მდის პირზე და
ხშირად მცემს გულია.

მაგრამ რა?! რად მინდა,
ის ჩემთვის ფუჭია...
ტყუილად მოუხმობს
მას ჩემი კუჭია.

ცდა დარჩა ამაო,
რომ ვსინჯე წაღება...

ბოლოს სთქვა: მრცხვენია
ამ ფულის წაღება.

თქვენს სინდისს, პატიოსნებას ჩვენ ვუპასუხეთ ესაო:
„კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო,—პარასკევია დღესაო“.

# მომჭირნეთ--ასეთ სტუმრებს

„კიდევ არიან საბჭოთა წინა აღმდეგ განწყობილი ვაჟბატონები, რომელთაც საბჭოთა დაწესებულებებში მოუკალათებიათ და შიგნიდან სცდილობენ ციხის გატეხას“.

ამხ. ს. ორჯონიკიძის სიტყვიდან პარტთათბირზე.

— აი და, მრავალჟ, მრავალჟ ჟამიერ!..
ხმაჩახლეჩილი გაჰყვირის „ზავი“.
— შენ, ეი, ცინგლა, მეორე მითხარ—
ნუ ჩაგიქინდრავს მოწყენით თავი!
— ღმერთმა იინებოს, ღმერთმა იინებოს!..
უკრიმანჭულებს „ზავს“ თვით „ზამზავი“,
მოძრაობს სუფრა, ხმაურობს სუფრა,
ოთახის კედლებს გააქვს ზარზარი.
— დავოლნო, დუშკა!—წვრილი დისკანტით
მიმართავს ჩვენს „ზავს“ „ნაზი არსება“
...და იდუმალი თვალთა კავშირი
ამ ორთა შორის იმწამს არსდება.
— არ გავცვლი სალსა კლდეებსა!
ეს—ბუღალტერის მოისმის ბანი,
ხედავთ—„ზავკანცსაც“—ცეკვა მოუნდა,
აბა, გაუშვით, მიეცით განი!

ასე, ამგვარად და ამნაირად
კვირაში ხუთჯერ—ხტის კამპანია:
„ზავი“ ტენორობს, „ვიღაც“ მუხლზე ზის;
ბუღალტერისაც—ისმის ბანია.
...და როცა ვხედავ ამ „ხალხთა ლიგას“—
არ მინდა ვიქნე მთლად უმადური
და მსურს მოვუყვე მათ ეს ამბავი
თუ კი შესძლეს და დამიგდეს ყური;

— „ამ თავითვე ბოდიშს ვიხდი,
— რომ ამ მცირე, მოკლე ამბავს
პოლონეთის კრიზისსავით
პილსუდსკის არ გადავაბავ!
ერთ-ერთ სოფელს მოევლინა
„ფოკუსნიკი“ საგასტროლოთ
...და „ფოკუსი“ რაც მან შესძლო—
ყოველივე ნახეთ ბოლოს.
„ფოკუსნიკი“—ინგლისსაც ჰყავს
კარგა ბლომად—ნუ გაქვთ დარდი—
აი, თუნდა რად არა ღირს
ულვაშგრძელი მაკდონალდი?
მაგრამ ჩვენი „ფოკუსნიკი“
ვერ გუობდა სულაც ულვაშს,
და ეწვია გასტროლებზე
იმერეთის დაბა კულაშს.
„იფოკუსა“ იმ ზომამდე,
რომ აქცია პინპრათ ვარდი!
(გაფიცვებსაც უკეთებდა
ასეთ „ფოკუსს“ მაკდონალდი!)
ბოლოს როცა ფოკუსების
გასტროლებმა გაირბინა—
ჩვენ „ფოკუსნიკს“ ერთმა ვინმემ
შესთავაზა ღამით ბინა:
— ჯერ ავახშმა კარგა მაძღრათ,
შემდეგ თბილად დააწვინა!..

# საყვედური

„სურათ „ბელლა"-ში მონაწილეობის მისაღებად სახკინ-მრეწვი იწვევს ლერმონტოვის როლის ამსრულებელს პოეტის გარეგნობით".

(განცხადებიდან).



მოქალაქე (ლერმონტოვის სურათს): შე დალოცვილო, რა გიშავდა მე რომ მგვანებოდი?! გავკეთდებოდი-კაცი: სახკინმრეწვის მსახიობი გავხდებოდი...

# „წერილი დედას"

დედაჩემო! ეს წერილი
არ აჩვენო მამას!
შენი შვილი ბეგლარიე
გთხოვს შვილურად ამას.
ხომ კი იცი: მისი გული,
მისი მწარე ენა!
ასე რომ ვარ,—მეშინია
არ დაგიწყოს დევნა.
სანუგეშოს ველარაფერს
ველარ გეტყვი კიდევ—
არ მიშველა ყელზე კენჭმა
შენ რომ ჩამომკიდე.
ისევ—ისე უადგილოთ
ვარ და რა ვქნა, დედავ!
ჩემი საქმე რომ უკულმა
მიდის, კარგად ვხედავ.
არ მშრომდება უილბლობა—
შავი, სასიკვდილო!
მახსოვს, ერთხელ მითხრა მამამ:
არ ივარგებ შვილო.
რომ ყველაფერს კოჭში გატყობ,
გეუბნები მიტომ!
შენ გაჯობებს გლახა ჩვენი,
ლუკარუს მიტრო,—
და პასუხი უნდა აგოს,
დედაშენმა თვითონ!
შენ ფერებით გაგაფუჭა,
ჩვენ დაგვღუპა მითო...

ამას ახლა რომ ვიგონებ
ამნაირად, ასე—
სახლში მოსვლას ველარ ვბედავ
და ვარ ფიქრით სავსე.

დედაჩემო! მართლა ახდა
მისი სიტყვა დღესა!
მიტროიე დაემგვანა
ცხრათავიან დევსა.
სამსახურმა დაუმშვენა,
მას გული და მკერდი!
მე ფიცარზე წოლისაგან,
არ მაბია გვერდი.
ამ ზამთარში რაც ვეწამე,
ველარ ვიტყვი, ვერა!
ცალკე კუჭმა დამაობლა,
ცალკე გულის ძგერამ.
გაზაფხულდა და ქალაქიც
გადიმალა ვარდათ!
ყველა ბაღში დასეირნობს
შენი შვილის გარდა.
ათასნაირ გასართობებს
ვერ უსწორებ თვალებს!—
(ჩემი ბედი და იღბალი
ალბად გაყვა მთვარეს).
სიცხემ დაჰკრა... და ქალებმაც
გაიშიშვლეს ტანი!—
დედავ! შენ რომ მათ შეხედო,
თავს მოიკლავ დანით.
ამ ცხოვრებას ვერ გაუგე
თავი და ვერც ბოლო!
ზოგი მზესთან მხიარულობს,
ზოგი კვნესის მხოლოდ...
და დავდივარ მძიმე ფიქრით,
(თუმც სახლში ვარ ხშირად)
სულ ერთ ბეწვზე ავტომობილს,
გადაურჩი კვირას.

---

დილას, როცა ირაურაუა,
სტუმარი კი ისევ იწვა—
მასპინძელმა ფეხაკრეფით,
მორიდებით გაალვიძა.

და მიმართა:—ჩემო კარგო,
თქვენ ჯერ კიდევ ნუ ადგებით,
ცოტა საქმე გამომიჩნდა
სამტრედიას გეახლებით.

და სანამ თქვენ ადგებოდეთ,
მანამ კიდეც მოვისაქმებ,
საუზმისთვის—იმედი მაქვს,
რომ გავჩნდები დროით აქ მე".

გაემგზავრა მასპინძელი
მოისაქმა თუ რამ სურდა,
და უკანვე თავის კაჰკით
სახლში ადრე მორახუნდა.

გამოაღო სახლის კარი,
მაგრამ... შენს მტერს—ეცა ელდა:
— სანახავით იქ ნახულით
განცვიფრდა და გამოშტერდა:

— „ფოკუსნიკი"—დიასახლისს
ჩახვევია, კოცნის ვნებით,
პირდაფჩენით მასპინძელი
მას შესცქერის გაოცებით!

— „ფოკუსნიკო! რას სჩადიხარ
და რას შვრები—მითხარ ერთი?
კაცის მადლი თუ არ გახსოვს
დაგავიწყდა რატომ ღმერთი?"

ილრიალა მასპინძელმა
და გაჩერდა გაქვავებით,
— სსუ, გაჩუმდი!—რქვა სტუმარმა,
— მე ამ დილას „ფოკუსს" ვშვრები!

„ფოკუზს" შვრები? მაგ ფოკუსებს
სხვა ვერ შესძლებს, ურცხვო, განა?
და „სტუმარი" მასპინძელმა
პანღურისკვრით მიაბრძან!...

მორალი:—ზოგჯერ ბევრს გაუტკბება
მასპინძლის სახლში ლაღი სტუმრობა,
მაგრამ ზოგიერთს, განსაკუთრებით
ემჩნევა ლაღი უმადურობაც.

ის არ ჯერდება სარეცელს სუფთას,
გულუხვ მასპინძლის კარლია ბინებს
და არამზადა, თან უმადური
მასპინძლის ნამუსს ხელს უპოტინებს.

მაგრამ აი, ამ უმადურ სტუმრებს—
ვის დავიწყნია ზრდილობის—„ანი"—
აწ მასპინძლიდან ეკუთვნის მხოლოდ
„ერთი პანღური და მისი ჯანი!".

ურარდია.

ვწყეული ქალაქს, ტალღასავით
ბობოქარს და უნდოს!
ეს სისხლი და ეს სისოცხლე,
აბა ვით შეუნდო?!
დღეს მოდაში შემოვიდა,
თვითმკვლელობა უცებ!
(მაგრამ მაინც აღარავინ
არ იკარებს ხუცებს).
მტკვარში ჩუმად გადავარდნა—
ეს ხომ მუდამ არის!
ზოგს შველიან და ზოგი კი,
წყალსა მიაქვს მკვდარი.—
ქალაქელი ქალს თხოულობს
მხოლოდ ერთი კვირით!—
გაყრის შემდეგ, შენ გგონია,
ქალი ოხრავს, სტირის?!
ან ჯავრს იყრის, რომ დაკარგა
თავის „სიძვირფასე"?!
არა! ხვალ ის სხვას მიყვება—
და ბოლომდე ასე.
დასჭირდება ქმრიანია,
დასჭირდება უქმრო!
და ბუნებაც ეხმარება,
ნათელს აღარ უქრობს.

გუშინ ვნახე ნიკოლიეს
ბიჭი ანთიმოზე!—
(უკულმიდან რომ ჯდებოდა
მათე ხუცის ჯორზე).
ახლა დიდი კაცი არის—
(ვცადე წყალის ნაყვა)
მითხრა: „კარგი... ვნახოთ... მოდი...
მაგრამ"... დალაქს გაჰყვა.
ამ დროებით ასე მიდის
ამ ქალაქში ბედი—
თუ ვსულდგმულობ კიდევ ისევ:
ძმითა, დით და დედით.
სახლში მაინც ველარ მოვალ;
ვერც დღე და ვერც ღამე!—
მხოლოდ ჩუმად, არ გაიგონ,
გამოგზავნე რამე...
დედაჩემო! ეს წერილი,
არ აჩვენო მამას!
შენი შვილი ბეგლარიე,
გთხოვს შვილურად ამას.
ხომ კი იცი მისი გული,
მისი მწარე ენა!
ასე რომ ვარ, მეშინია,
არ დაგიწყოს დევნა. **ჰაგნელი ბზიკი.**

## ტყიბული

ტარტაროზ! ერთხელ მობრძანდი
მოინახულე ტყიბული;
ძველი—ახალი მაღარო
აკიბულ-ჩამოკიბული!

ათას ორასი მუშაა,
მშრომელი, მღვრელი ოფლისა;
შვილები გლეხი კაცისა
მწირე ოკრიბის სოფლისა.

ტყიბული მათი ძამუა;
სიცოცხლე არსებობისა,
შემოსავალის იმედი,
გამტკიცებელი ძმობისა!

ქალებიც არის აქა-იქ
ქვა-ნახშირისა მრჩეველი
და მათ ძმა მამა-კაცებთან
ერთათ უღელის მწეველი.

„ლორიგან-პუდრი-პამადა"
სძულთ თვალის დასანახადა,
მშრომელი ძმები ხარობენ,
რომ მის მახლობლად ნახა და!

**მუშა-ბაქურა.**

# სატარტაროზო

## ფოთი

ჯერ პორტში მოვინახულე.
მარგანეც-ქვა-ნახშირია;
მუშები სულ იაფია
სამუშაო კი ძვირია.
აქაურ ამბის აღწერას
უნდება მთელი კვირეა,
ჯერ კი ბაზარში ავკრიბე
ამბები გასაკვირია.

აქ გრამაფონის ხმა მესმა
რაღაცა უცნაურია.
ნაცნობს შევკითხე: რა ისმის
ასეთი საამურია?

ხომ არ ჰყიდიან გრამაფონს?
ხმაც მისი ჩვენებურია—
ახლოს მისვლა და მოსმენა
მე მეტის-მეტად მწყურია.

მან მიპასუხა: არ არის
საცარცვი ათასგვარიო,
შვიდ ნომრით მხოლოდ ერთს აგებს,
ექვსი კი მისი არიო.
ვიღაცა კაცი მოვიდა
(ჩხაიძე ჰქონდა გვარიო).
მან კამათელში წააგო
ცხრა თუმან ნახევარი.

იქ ვნახე ძველი ნაცნობნი:
ფარნა, ლევან და ილია;
ვერ გავაცინე ვერაფრით,
ვერ დავუნახე კბილია.
მითხრეს:—ხომ ხედავ, ძმობილო,
ვაჭრობა შეწყვეტილია.

წინ გადაგვიდგეს ბუტკები,
შიგ იყიდება ხილია;
დუქნების მიწის ბაქები
წინდაწინ გადახდილია. **ტანგო.**

## ს. აბაშა

გვაქვს სამკითხველო ლამაზი
ჩუქურთმით დანასერია;
შიგნიდან გაკრასკული გვაქვს,
ვარვარებს მაღლა ჭერია.
წინ ფოსტის ყუთი ჰკიდია,
გააქვს წერილებს შრიალი
და ყოველ წუთში აქ არის
ფოსტალიონის ტრიალი.
გაზეთს კითხულობს ამ ქოხში
ამ არე-მარის ერია;
ვინ გინდა აქ რომ არ ნახოთ,—
ყმაწვილი, თუ გინდ ბერია;
კარები შუშაბანდის აქვს
ფანჯრები მაღალ თაღებით
და არე-მარე მოცული
ედემის მსგავსი ბაღებით.

—:—

შეხმატკბილებით მუშაობს
გამგედა კულტკომისია;
(იმიტომ არის კიდევაც
წინ მიდის საქმე მისია)
აქ დარბის: ავტომობილი,
ფაეტონი და კარეტა.
იმათი შიშით ურემი
ველარ გამოდის გარეთა.

—:—

გამომელევიძა, რას ვხედავთ
ოთხ ბიჯგზე სამკითხველოსა,
ის წაიქცევა, რომ ახლოს
იქ ვინმემ დაახველოსა...
თხები ოთურმას თამაშობს,
ბუნაგს იკეთებს ღორები;
და სიბინძურეთ ნაგვისა
დამდგარი მთელი გორები.

**ოხტომესპირელი.**

---

ისევ შენთან ვარ, ტარტაროზ,
შენი ერთგული „ხვლიკია":
(თუ გახსოვს) შენთვის საკბილო
არას დროს არ დამიკლია.
ეხლა კვლავ გამოზაფხულდა
გახურდა ჭკუის სალარო.
და მეც მსურს ძველი ჩონგურით
მოვიდე, მოგესალამო.
ტყიბულში შენი ჩანგალი
აუცილებლათ გვჭირია;
რომ ოდნავ შეამსუბუქოს
[illegible] გაჭაჭრია.
შენც, თუ კი ჩამობრძანდები
ბაზარს დაივლი ფეხითა,
იქ საამური სუნი სდგას
გზები სავსეა ნეხვითა.
მრავლად იხილავ მიკიტნებს:
გამხდარს და ღიპიანებსა;
ისინი ფლობენ, ტარტაროზ,
ტყიბულის არე მარესა.
იყო დრო, როცა ტყიბულში
გვქონდა ჩვენ სამკითხველოცა,—
ქალ-ვაჟთა ვნების სადგური.
და ტრფობის სამლოცველოცა.
დღეს იმის კარებს ამშვენებს
ბოლქომი ახალ მოდისა.
აივნის ირგვლივ ბრძანებლობს
ღორები მრავალ მოდგმისა.
მაგრამ რა უშავს;—ეს ნაკლი
არც ისე დიდი რამეა.
გაზეთი რის მაქნისია—
„ვილოთოთ დღე და ღამეა",
ტარტაროზ, რაკი იხილო
ტყიბულის ბაზრის „მშვენება",—
სატარტაროზო არქივში,
ინებე გადაშენება.
ჯერ ეს იკმარე, ტარტაროზ,
შემდეგში მოგწერ მრავალსა;
თუ კი გაივლი „დრეზინით"
სულ სამი ვერსით სავალსა,—
ჩვენ მაღაროებს ვიხილავთ
და შავ გვირაბის მუშებსა;
შენ ჯავრი, ნუ გაქვს, იქ მრავალს
მე მოგინახავ მუშტრებსა. **„ხვლიკი".**

# „თემკომის კიბე“

საჯავახოს თემკომი მეორე სართულზეა მოთავსებული. შენობას დანგრეული კიბე ჰქონდა; გლეხები ძლივს-ღა ადიოდენ ზევით... ეხლა ის კიბეც აღარ არის... თავმჯდომარე მამალსავით ზევიდან გადმოდგება, გლეხები კი ქვეშიდან ასძახიან თავის გაჭირვებას....

თემკომის თავმჯდომარესთან სალაპარაკოდ საჭიროა გაყვანილ იქნას ტელეფონი, რომელიც უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე კიბის გაკეთება*)

მაუზერი.



თუმცა ზევით ასვლა
არის გასაჭირი:
დაეცემი ძირს და
დაგემტვრევა ცხვირი,—
(მარტო ცხვირი რაა,
კბილიც ჩაგემტვრევა...
ცოტა არის განა
ასეთი შემთხვევა?!)
**მაგრამ საქმე ითხოვს**
**ნახვას თავმჯდომარის,**
**რომელიც რომ ზევით**
**მეფესავით არის.**



კიბეც აღარ არის... და ზევიდან გლეხებს
ჩვენი თავმჯდომარე ისვრის წყრომის მეხებს...

გამოსძახა: სიტყვა თქვენი აქ არ მოდის...
ტელეფონსა დავდგამ,—არ ვიცი კი როდის.

*) ალბად თემკომის თავმჯდომარე „კარგად ატარებს“ მომჭირნეობის რეჟიმს და ამიტომაც არ აკეთებს კიბეს.




პიონკორი:—კოლიას მასწავლებლის სიტყვა არ ......

# ახალი „მესსია“

სოფელს გორისას შეიპყრობდა ჩუმი სიბნელე,—
მესსიად რომ არ მოვლენოდა ჭაჭუ თოდაძე.
ის არის ხალხის განათლების ძლევის სიმბოლო,—
საქმეებს აწყობს, აწესრიგებს თავის მოდაზე.

მრავალი წლები იძლევიან ერთს კაცს ნიჭიერს...
ჭაჭუ თოდაძით იამაყებს, ვიცი, არგვეთი;
თუ ის გვეყოლა ჯანით მთელი ჩვენ რაღა გვიჭირს!
ასაყვავებლად მოგვევლინა თითქოს დაკვეთით.

სასწავლებელში თუ კი მიხვალთ და მას ეწვევით,—
თქვენ გაგაკვირებს მისი ქცევა მოწაფისადმი;
თქვენ მისი შრომით სიხარულით ცას დაეწევით...
იტყვით: „ასეთი პედაგოგი არის თუ სადმე?!“

მე ასეთ მშრომელს მსურს მივუძღვნა ძღვენი: პორტ-
ფელით
გამოუგზავნი,—გადაეცი, „ბრატეც“ ტარტაროზ...
სახლში და კარში დარს-ავდარში ეჭიროს ხელით...
არ დაეკარგოს, ჩემს სახსოვრად მუდამ ატაროს...

ფოსფორი.

# ორი გმირი

სად. სკრა

ბესარიონი: კოტეს გამარჯვება ყველა მუშკორების წინაალმდეგ.

კოტე: გაგიმარჯოს, ჩემო ერთგულო ამხანაგო ბესარიონ.

**ბესარიონი:** იცი, კოტე, რას გეტყვი? შენისთანა სახელგანთქმული კაცი არ იქნება არამც თუ რკინის-გზაზე, არამედ მთელ ქვეყანაში.

კოტე: ეგი მართალია, ჩემო ბესარიონ,—მუშკორებს კი ვუტირე დედა; მათი ჯავრი კი ამოვიყარე; ყველაფერი საშუალება კი ვიხმარე მათ წინაალმდეგ რაც კი მოხერხდებოდა.

ბესარიონი: მეც იმიტომ გაქებ და მთელი ქვეყანაც, რომ მაგისთანა ყოჩაღი ხარ. ჯერ მოვიგონოთ შარშანდელი ამბები: მუშკორი უხილავი, რომ არ გაქცეულიყო, იგი შენი დანის წვერს იგემებდა.

კოტე: მართალია, ჩემო ბესარიონ, გამექცა, მაგრამ ისეთი „დანოსი“ მივეცი მის შესახებ დჩ-ს და დნ-ს, რომ ქვეყნის დამქცევად მოვნათლე.

**ბესარიონი:** ეგი, მართალია, მაგრამ მე, ონოფრეს და კარაპეტას, რომ შენთვის მოწმობა არ გაგვეწყია და სულ ტყუილები არ გვეჩვენებია, მარტო შენ ვერაფერს გახდებოდი შენი ცარიელი „დანოსით“,—და ის მუშკორი დღესაც აქ იქნებოდა.

**კოტე:** რა ვქნა, ჩემო ბესარიონ, ვაის გავეყარე და უის შევეყარეო, რომ იტყვიან, სწორედ ისე ითქმის ჩემზე... იგი ერთი მუშკორი გავაძევეთ, მაგრამ მეორე იმაზე უარესი ყოფილა დანა კიარა, ხანჯალიც კი ვიხმარე, მაგრამ მაინც ვერ შევაშინე და კიდევ უფრო უარესი დამიწერა გაზეთში... ეხლა არ ვიცი რა ვქნა.

ბესარიონი: რკინის გზაზე. რომ მსახურებდეს, მაშინ ისევ „დანოსი“ და ცრუ მოწმეები გასჭრიდა; მაგრამ რომ არ მსახურობს! ეხლა კი რა გითხრა; ისევ შენ თავი უნდა დაანებო მექრთამეობას და ლოთობას.

კოტე: არ შემიძლია ჩემი ოცი წლის ჩვეულება ისე უცბათ მივატოვო. რამდენიც უნდა მწერონ გაზეთში,— მეორე განყოფილების ადმინისტრაცია მაინც ჩემი მფარველი ანგელოსია.

ა—იანი.

—:—

# ტოგანიერი

ალმასკომი გვყავს ქებული:
ვანო-ვარლამი ძმებია.
სალათას ძილმა შეიპყრო—
არ გააკეთეს გზებია.
სკოლის შენობა დაიწყეს,
გლეხების შრომა დიდია.
მაგრამ, ეჰ! სკოლა რად გვინდა,—
ყუმურსაც არ აქვს ხიდია.

ქაღალდზე არის გლეხკომი,
სწერია შავი მელნითა.
ბიქტორი რაღას აკეთებს
ბევრს რომ ტრაბახობს ენითა?!
გლეხკომს რომ საქმე ბევრი აქვს
გლეხებში საკეთებელი,—
ეს იცის დიდმა, პატარამ,
და რა აქვს საყვედრებელი...
წარმოში რომ შეგვიჭამეს
რაღაც სულ ორი ათასი...
არც გვიკვირს:—გლეხკომს გლეხებში
რომ არა ჰქონდეს აწ ფასი. კიკო.

## სამტრედია. სანარდო შეფასების შესწორების გამო დეპოში



**დანიკ:** აი ხომ ხედავ, ჩემო ოტტო, ჩვენ ორი კვირა ვაგონში ვისხედით და ვანგარიშობდით თუ რამდენი მოგვეკლო; აქ კი მომატებას თხოულობენ.

**ოტტო:** მე რა!—ჩვენ ნუ ვიანგარიშებთ.—მაგათ მივანდოთ და თვით·იონ იანგარ იშონ.

**დანიკ:** მართალია, რაღა ჩვენ ვიტეხოთ თავი; დეე შ. ს. კ. იმტვრიოს თავი, და ჩვენ მაინც არ დავამტკიცებთ მაგათ შესწორებას.

---

## „მომჭირნეობა"

**თავმჯდომარე** (მდივანს): რა არის დღის წესრიგში?

**მდივანი:** (იღებს ქაღალდს და კითხულობს) მუშფაკელ სტუდენტის განცხადება: თხოულობს ათ მანეთის დახმარებას გაჭირვების გამო...

**თავმჯდომარე:** ვინაიდან ეხლა ტარდება მომჭირნეობის რეჟიმი, ამიტომ უარი ეთქვას (აწერს უარყოფით რეზოლიუციას).

მეორე საკითხი რა არის?

---

**მდივანი:** საბავშო ბაღის განცხადება დახმარებისათვის ეზოს და სახურავის შესაკეთებლად.

**თავმჯდომარე:** უარი ეთქვას ამავე მომჭირნეობის რეჟიმის პოლიტიკის მოსაზრებით.

(ყველა თავს აქნევს ნიშნად თანხმობისა).

---

**მდივანი:** კიდევ არის ერთი განცხადება ვამგეობის წევრი... თხოულობს ჯამაგირის მომატებას, ვინაიდან მას არ ჰყოფნის ის ასორმოცი მანეთი, რომელსაც იგი ღებულობს.

**თავმჯდომარე:** მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ გამგეობის წევრმაც იმდენი ჯამაგირი უნდა მიიღოს, რამდენიც მე... ამიტომ მას აუცილებლად უნდა მიემატოს ჯამაგირი... მე მგონია: თქვენ არ წახვალთ ამის წინააღმდეგ! დიახ! მიემატოს...

გამგეობის წევრს მოუმატეს ჯამაგირი.

**გულდამწვარი.**

—:—



ქე-რო-იცის (ფოთი) პირველად

ჩვენს მირიანეს ვესტუმროთ,
გლეხკომის თავმჯდომარეა;
წისქვილში ვნახავთ უთუოდ
ეარშიყება მაროსა.
ქალს ეუბნება: ნუ ჩქარობ,
ბევრი არ დაგაღონდება;
შენ გენაცვალოს, მაროჯან,
მთელი გლეხკომის ქონება...

დარდი ნუ გაქვთ,—ბევრს ვერაფერს ანაცვალებს გლეხკომის ქონებას, რადგან ასეთ თავმჯდომარეს აღარაფერი დარჩებოდა შენახული, ამდენხანს „გამოუყვანდა წირვას".

ბანკის დირექტორზე გვწერთ, რომ:

რასპუტინობას ჩემულობს,
„სპეცია" ძლიერ მაგარი...
ისეთ დღეს დავაყენებთ, რომ:
ყალყზე დაუდგეს ჯაგარი.

პატარა ბიჭიას (სუფსა) ვერაფერი ნიჭია.

ირასის და ტარტაროზის მონათესავეს (გორი)

ყველაფერი კარგია,
მაგრამ ჩვენ არ გვარგია,—
(ჩვენთვის მეტი ბარგია).

უტყუარს (ქუთაისი) ბოდიშს იხდით,

უკაცრავად ვარ, ტარტაროზ,
მე თქვენი კიდეც მრცხვენია,
რადგან დიდი დრო გავიდა
რომ არა მომიწერია...

ნეტავი ახლაც არ მოგეწერათ. სირცხვილი არ მოწერა კი არ არის, არამედ ასეთი წერილის მოწერაა სირცხვილი.

პატარა მეთვალყურეს (ზუგდიდი. შუა-ხორგა)

ზოგიერთსა ბოლო დროსა
დაემართა რაღაც სენი
მგონი ყველა უნდა იყოს
ამ ქალებთან მონალხენი...

ეჭვი ნუ შეგეპარებათ; უეჭველად მასე იქნება. ჩვენ მივიღებთ ზომებს, მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ: ადგილობრივი ხელისუფლება ხედავს თუ არა ამას?!

ძველს (დიდი-ჯიხაიში) ალბად თქვენც იცით, თუ რა არის ძველი კარგი!

„დიდ ყურადღებით ეძებდა
სანიტარული სექცია;
მაგრამ რა ჰქნას, რომ არა აქვს
ბაზრის სახვეტად ცოცხია".

აი, მაგავე მიზნით—სანიტარული მოსაზრებით ჩვენ თქვენი წერილი გოდორში მოვათავსეთ... ჩვენ ეს ადვილად შევსძელით, რადგან გვაქვს ცოცხი, რომელიც არ ჰქონებია თქვენს სანიტსექციას.

(ჩვენს შორის რომ ვსთქვათ, ყოვლის უმალ მაგნაირ სანიტსექციიდან უნდა გასუფთავდეთ და მხოლოდ შემდეგ შეიძლება ბაზარში სისუფთავის დაცვა.

—:—

# „ჩვენი კორები“





მუშკორი:—ნათქვამია—ერთი ვინტიც რომ მოაკლდეს მთელი მანქანა ველარ იმუშავებსო. აქ ვინტები კი არა, ქარხანას ადმინისტრაციის ყურადღებაც აკლია და მიკვირს—ან როგორ მუშაობს მანქანები?

სამხკორი:—ველარ გავიგე—კალმით ამოვიღო თუ ყოვზით ამ „ბორშში“ მოცურავე ხორცი?





ახკორი:—მღვდელი და დიაკონი! დიაკონი და მღვდელი! „ტარტაროზმა“ იხსნას ამათი „სმიჩკისაგან“ სოფელი!

ტარტაროზკორი:—ყველა მიწყვია კალათში.
—ვაჭრები, მღვდლები, ბერები;
მაგრამ თუ შემხვდა—გწამდეთ არც
სოვდაგარს მოვეფერები!

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. 68.